# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 229 (6086)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


მწარე რეალობა 4



## ჰუმანიტარული დახმარებაა თუ სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია?

ლოგიკურია, კაპიტალისტი ფულს ტყუილად არ გადაყრის, სარგებელი თუ არ ნახა. აქაც მისი სარგებელი მის მოჯამაგირედ გახდომაა



## გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II

## არის თუ არა ალიანსში ჩვენი გაწევრება ახლო მომავლის საკითხი? 3

## ეჰ, ჯულიეტო, ჯულიეტო, ძველ ხელობას დაუბრუნდი? 10



## ვინ შეუკვეთა ფილმი კუსტურიცას და რამ აღაშფოთა ქეთი დოლიძე? 2

ყურადღებით 11

## ფრთხილად, მამრებო!



## აგრესიული ქალები ბიჭებს ბაძებენ 11

გვირჩევენ...

ყოფა 6

## თბილისში მალე სავაჭრო ურიკების ბუნტია მოსალოდნელი?!

ყოფა 7

## მყიდველი როგორ იქნება, როცა გასაყიდი აღარაფერია?

## სანდროსა და ბანჯოს ორივეს გაუმარჯოს! 15



## როგორ გვეხმარება კანონი მემკვიდრეობის უფლების დაცვაში 14

???????

# გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II

**გუშინ** დილით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II გარდაიცვალა.

79 წლის პატრიარქი პერედელკინოს რეზიდენციაში გარდაიცვალა.

მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ეს 7 დეკემბერს დაკრძალავენ.

პატრიარქის გარდაცვალება მოსკოვის ყველა, 600-ზე მეტ ტაძარში ზარების დარეკვით აღნიშნეს.

რუსეთის საპატრიარქოს ინფორმაციით, პატრიარქმა 4 დეკემბერს



რუს მოქალაქეებს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის დღე მიულოცა და სადღესასწაულო მღვდელთმსახურება აღავლინა.

რუსული სააგენტოების ცნობით, 2002 წელს პატრიარქს უმძიმესი ინსულტი ჰქონდა, პატრიარქმა ორჯერ კლინიკური სიკვდილიც გადაიტანა.

ალექსი მეორე რუსეთის მე-15 პატრიარქი იყო. ერისკაცობაში ალექსი მიხეილის ძე რიდიგერი 1929 წლის 23 თებერვალს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, ღრმადმორწმუნე ოჯახში დაიბადა.

ადრეულ ბავშობაშივე ალექსი რიდიგერმა ეკლესიური ცხოვრება სულიერი მამის, იოანე ბოგოიავლენსკის, შემდგომში ტალინისა და ესტონეთის ეპისკოპოს ისიდორეს ხელმძღვანელობით დაიწყო.

1947-1949 წლებში ალექსი რიდიგერი ლენინგრადის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა; 1950 წელს დიაკვნად, შემდეგ მღვდლად აკურთხეს და ტალინის ეპარქიაში, ბოგოიავლინსკის სახელობის ტაძარში წინამძღვრად დანიშნეს.

1953 წელს მამა ალექსიმ სასულიერო აკადემია დაამთავრა და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. 1961 წელს კი არქიმანდრიტი ალექსი ტალინისა და ესტონეთის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1986 წელს ალექსი მე-2 ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი გახდა და ჰქონდა უფლება, ეხელმძღვანელა ტალინის ეპარქიისთვის.

1990 წლის 7 ივნისს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებაზე იგი მოსკოვის საპატრიარქო ტახტზე აირჩიეს. ამავე წლის 10 ივლისს კი მისი ინტრონიზაცია შედგა.

ალექსი მეორე თანამეგობრობის ქვეყნების რელიგიათაშორისი კავშირის საპატიო თანათავმჯდომარე და რუსეთის პრეზიდენტთან არსებული რელიგიურ გაერთიანებათა ურთიერთმოქმედების კავშირის წევრი იყო. დაჯილდოებული იყო მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წესდების მიხედვით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ახალი პატრიარქი არა უგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში უნდა აირჩიონ.

პატრიაქის ტახტის გათავისუფლებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა წმინდა სინოდი, წესდების მეორე განყოფილების მეორე პუნქტის მიხედვით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარჩევად კრებას იწვევს, — ნათქვამია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წესდებაში.

პატრიარქობის კანდიდატი უნდა იყოს ეპარქიის წინამძღოლი, ჰქონდეს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება, საკმარისი გამოცდილება საეპარქიო მმართველობის და არ უნდა იყო 40 წელზე ნაკლები ასაკის.

წესდების მიხედვით, პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ კრუტინსკისა და კოლომენსკის მიტროპლოიტი მოსკოვის ეპარქიის მართვას დროებით ჩაიბარებს. 1977 წლიდან მიტროპოლიტის ეს თანამდებობა მეუფე იუვენალიის უკავია.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვეს ვატიკანშიც.

— დასრულდა ერთი ეპოქა რუსეთის ეკლესიის ისტორიაში და უწმინდესის, პატრიარქის ღვაწლიც, რომელიც უპირველესად ხალხში რწმენის დაბრუნებას და ქრისტიანთა დაახლოებას უკავშირდებოდა, — განაცხადა რომის პაპის საბჭოს ხელმძღვანელმა, კარდინალმა ვალტერ კასპერმა.

ბრიფინგი

# საქათმე, კოტეჯი თუ სახლი?

## კობა სუბელიანმა დევნილთა ჩასახლების პროცესს წარმატებული უწოდა

**კარგი იყო, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანს პრესკონფერენცია ასეთი სიტყვებით დაეწყო — დევნილებს საახალწლოდ საკუთარ სახლებში დავაბრუნებთო, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, მაგრამ ქართული მძიმე რეალობა ამის საშუალებას არ იძლევა და სამწუხაროდ, ალბათ არც დიდხანს მოგვცემს.**

მინისტრმა აგვისტოს ომის დროს დაზარალებულების შესახლების პროცესსა და საერთო მდგომარეობაზე დიდხანს ისაუბრა. ყველა ჟურნალისტს გულისყურით უსმინა და უხსნიდა კიდეც (თვალსაჩინოებების მოშველიებითაც), თუ რაოდენ დიდი მიღწევაა სახელმწიფოსთვის, მითუმეტეს, ჩვენნაირისათვის, ლტოლვილთა განსახლების პროცესი.

სულ 24 ათასი ახალი დევნილია რეგისტრირებული. ახალგორიდან დევნილები ხან შედიან, ხან გამოდიან, ამიტომ ზუსტი ციფრი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ მინისტრი ვარაუდობს, რომ 30 ათასს არ გადასცილდება.

ბინათმშენებლობა ფაქტობრივად დასრულებულია, — აღნიშნა კობა სუბელიანმა, — ბიუჯეტიდან 180 მილიონი ლარი გამოიყო, აქედან 27 ათასი ლარი დასჭირდა თითოეული სახლის აგებას. გორის, ქარელის, კასპის, თეთრიწყაროს, გარდაბნის და მარნეულის რაიონის სოფლებში დევნილებისთვის 6 ათასი სახლი აშენდა, რომელიც ექვსსულიანი ოჯახისთვის არის განკუთვნილი. რვასულიან ოჯახს ორი სახლი დაეთმობაო.

მინისტრმა თქვა, რომ შესახლებულია 1120 ოჯახი, შესასახლებელი დარჩა 4000 ათასამდე ოჯახი. თუმცა, რაც მთავარია, კარვები დაიშალა და არც საბავშვო ბაღებში ან უარეს პირობებში აღარ იცხოვრებენ დევნილები, ახალ წელს ახალ კერიაში შეხვდებიანო.

სუბელიანმა განაცხადა, რომ თურმე თავიდან „ფინური“ სახლების მშენებლობა ყოფილა ჩაფიქრებული, მაგრამ ამას ტრადიციული კაპიტალური სახლის აშენება ამჯობინეს, რადგან ასეთი ტიპის სახლებს მიშენებისა და დაშენების პერსპექტივა აქვთ. თან სამშენებლო მასალა ქართულ ბაზარზე შეიძინეს და ადგილობრივი მუშახელი დაასაქმეს, ხოლო „ფინური სახლის“ შემთხვევაში, ფული უცხოელებისთვის უნდა გადაეხადათ და ასაწყობი კონსტრუქციები საზღვარგარეთიდან შემოეტანათ.

ფული შეგვეძლო მიგვეცა დევნილისთვის და ის თვითონ შეიძენდა ბინას, თუმცა გავითვალისწინეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ბინის ფასი კატასტროფულად ავარდებოდა, ინფლაციასაც გამოიწვევდა, ზამთარი კი კარს იყო მომდგარი. და შეიძლებოდა უმეტესობა უბინაოდ დარჩენილიყოო, — აღნიშნა ბატონმა კობამ.

სახლების აშენება კი დამთავრდა, თუმცა, როგორც ბრიფინგზე ითქვა, დევნილთა დახმარების პროცესი გრძელდება. ახლა უმთავრესია, ლტოლვილების სტატუსის მინიჭება მოხერხდეს, რომელიც სავარაუდოდ ერთ თვეში დასრულდება. დევნილთა იდენტიფიკაცია რთულია, შეიძლება ვინმეს სტატუსი უსაფუძვლოდ მივანიჭოთო. ამის გამოცდილება წინა წლებიდან გამომდინარე გვაქვს, რადგან მაშინ ბევრმა სულ ტყუილად მიიღო ეს სტატუსი და დახმარებასაც იღებდაო.

ჩასახლებულ დევნილებს ხვდებათ არა ცარიელი სახლი, არამედ ავეჯი, ინვენტარი, პირველადი საჭიროების ნივთები, მათ შორის, გაზქურა, მაცივარი, შეშის ან გაზის გამათბობელი, ტელევიზორი, პროდუქტი: პურის ფქვილი, შაქარი, მაკარონი და სხვა. მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ რამდენიმე პურის თონეც კი შეუძინეს დევნილებს, პურის გამოსაცხობადო. 10 დღეში კი დევნილები 200 ლარს მიიღებენ დამატებით საჭირო ნივთების შესაძენად. ხოლო გაეროს „მსოფლიო სასურსათო პროგრამა“ არ წყვეტს მუშაობას და ერთი წლის განმავლობაში მოამარაგებს ჩასახლებულებს.

ჩასახლების პროცესის დაწყებამდე, რამდენიმე პროექტი განვახორციელეთ, — თქვა კობა სუბელიანმა, მაგალითად, საპირველსექტემბრო დახმარებები ბავშვებს, როცა 100 ლარი გადავეცით თითო ბავშვს და სახელმძღვანელოებიც უფასოდ შევუძინეთ. მინისტრმა ჩასახლების პრიორიტეტად მიიჩნია ისიც, რომ ბინათმშენებლობები სოფლებთან ახლოს დაიწყეს, რადგან ახალმოსახლეებმაც ისარგებლონ სოფლის გამგეობით, სკოლით თუ სხვა დაწესებულებებით. გაცილებით შორ მანძილზე ჩასახლებულ ბავშვებს ავტობუსი მოემსახურება. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სტუდენტებს ერთი წლის სწავლის საფასური სახელმწიფომ დააუფინანსა.

მინისტრი დასაქმების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ იმ დევნილებს, რომლებიც მუშაობდნენ, ხელფასი ახლაც აუნაზღაურდებათ, ხოლო ჩასახლების შემდეგ რაიონის მიხედვით უნდა გამოცხადდნენ შესაბამის უწყებაში და დასაქმდებიანო. ისინი, ვინც არ მუშაობდნენ, და დაკავებული იყვნენ მიწათმოქმედებით, უსასყიდლოდ დაურიგდებათ მიწა და გა-



ზაფხულზე სოფლის სამუშაოების წარმოებაში დავეხმარებითო. სახლები დევნილებს საკუთრებაში გადაეცემათ და სურვილის მიხედვით, რეალიზაციასაც შეძლებენ.

სუბელიანი თვითკმაყოფილი რომ არ იყო, ეს რამდენჯერმე აღნიშნა და დასძინა, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები გვირჩევენ და ჩვენც ასე ვფიქრობთ, რომ სახლების შემოღობვა აუცილებელიაო.

სამწუხაროდ, კონფლიქტის ზონაში შეპარული ჟურნალისტების სიუჟეტებიდან ჩანს, რომ იქ დაბრუნებულ მოსახლეობას არანაკლებ უჭირს. მართალია, სუბელიანმა თქვა, კონფლიქტის ზონაში მყოფი ადამიანები სოციალურ დახმარებას იღებენო, მაგრამ რეალობა საპირისპიროს მეტყველებს. იქ დაბრუნებულები ვერც ლტოლვილის სტატუსითისარგებლებენ. ის სახლები, რომლებიც რეაბილიტაციას ექვემდებარებოდა, შეურემონტებიათ, ხოლო უსახლკაროდ დარჩენილებს სახელმწიფოსაგან თანხის აღება აურჩევიათ — ჩვენს საცხოვრებელს თვითონ მივხედავთო.

ბრიფინგზე „ძველი დევნილების“ თემაც ამოტივტივდა. სუბელიანმა თქვა, რომ მათთვისაც იგეგმება საცხოვრებლის აგება, ეს შეიძლება იყოს კომპაქტურად ჩასახლებული ადგილების მიხედვითო. ამ საკითხზე ვმუშაობთ, საბოლოო კონცეფცია ჩამოყალიბებული არა გვაქვს, ამიტომ წინასწარ დეტალებზე საუბარს ნუ დამაძალებთო. თუმცა აღნიშნა ისიც, რომ დონორთა კონფერენციაზე გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარიდან, ძველი დევნილების განსახლებისთვის სავარაუდოდ 700 მილიონი ლარი დაიხარჯებაო. სამწუხაროდ, აგვისტოს ომი რომ არა, ივლისში უკვე დამტკიცებული იყო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გეგმა, რომელიც სწორედ ამ მიმართულებით იმუშავებდაო.

ზოგადად სუბელიანმა ჩატარებულ სამუშაოებს წარმატებული უწოდა. ჩვენი სახელმწიფოს ძალისხმევამ საერთაშორისო ორგანიზაციებიც კი აღფრთოვანებაში მოიყვანაო.

**თეა მოსია**

**P. S. კონფლიქტის შემდგომ ევროსაბჭომ საქართველოსთვის 6 მილიონი ევრო გამოყო. არადა, ომამდე 2 მილიონი გამოყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყველაზე უფრო დაზარალდნენ. ეს მილიონები სწორედ „ძველი დევნილებისთვის“ უნდა დახარჯულიყო. თუმცა რამდენად გამჭირვალე და სანდოა ძველი თუ ახალი ხარჯვის პროცესი, ეს სხვა თემაა.**

**თ. მ.**

???????

# ვინ შეუკვეთა ფილმი კუსტურიცას და რამ აღაშფოთა ქეთი დოლიძე?

**ქართველი რეჟისორი ქეთი დოლიძე სერბ კოლეგას ემირ კუსტურიცას მოუწოდებს, ოსეთის შესახებ ფილმის გადაღებამდე საქართველოში ჩამოვიდეს და ორივე მხარის ფაქტებს გაეცნოს. ქეთი დოლიძემ სერბ რეჟისორს ამ შინაარსის ღია წერილით მიმართა.**

ცნობილი რეჟისორობა კარგია, მაგრამ ძალიან საპასუხისმგებლო და სახიფათოა. თუ ორივე მხარის ფაქტებს არ გაეცნობით, შესაძლოა, დიდი ფულის მახეში აღმოჩნდეთ, — მიმართავს ქეთი დოლიძე კუსტურიცას.



წერილში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სწორი გათვლა გააკეთა, როცა ოსეთის შესახებ ფილმის რეჟისორად ცნობილი და ნიჭიერი კუსტურიცა შეარჩია. დოლიძე კუსტურიცას კითხვით მიმართავს, თუ რა შეიძლება მან იცოდეს ქართველებისა და ოსების შესახებ.

ქართველი რეჟისორი სერბ კოლეგას ეკითხება, იცის თუ არა მან, რომ არაოკუპირებულ საქართველოში, ქართველების გვერდით, უამრავი ოსი მშვიდად ცხოვრობს და ახლა მათ რუსული ტანკებისა და ბომბებისგან დევნილი ოსებიც შეემატნენ.

„ემირ, თქვენ ხომ გამოიარეთ ეს ყველაფერი თქვენს სამშობლოში. თქვენი საუკეთესო ფილმები „მამა მივლინებაშია“ და „გახსოვს თუ არა დოლი ბელი“ სისტემის წინააღმდეგია. ნუთუ თქვენ არ იცით, ვინ ხელმძღვანელობს აღლუმს?“ — ნათქვამია დოლიძის წერილში.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ მისმა მამამ, რეჟისრომა სიკო დოლიძემ ერთადერთი ოსური ფილმი-შედევრი „ფატიმა“ გადაიღო და დიდ ოს პოეტს კოსტა ხეთაგუროვს საუკუნო ძეგლი დაუდგა.

ჰკითხეთ თქვენს მომავალ თანაავტორებს, როგორ აპატიეს მათ მოსკოვს ბესლანი. როცა 1998 წელს მე და ჩემი ძმა ვლადიკავკაზში „ფატიმას“ 40 წლისთავზე მიგვიწვიეს, მთელი რესპუბლიკა ხელის გულზე გვატარებდა, დიდი ოსი მსახიობი ბიბო ვატაევი კი ჩვენს ხალხს დიდ ქართველ ძმად მოიხსენიებდა, — ნათქვამია ქეთი დოლიძის წერილში.



ქართველი რეჟისორი აცხადებს, რომ მისი უახლოესი მეგობრები — ფილმების მემონტაჟე როზა ჯიკაევა და პოეტი მზია ხეთაგური ეროვნებით ოსები არიან.

ამ ფილმისთვის, შესაძლოა, დიდი ფული გადაგიხადონ. თქვენ მხატვრული ფილმის გაკეთებასაც კი შეძლებთ. ისინი ყველაფრისთვის გადაიხდიან, ააშენებენ ცხინვალს, გათხრიან სანგრებს, გადაწერენ ისტორიას; ისარგებლებენ თქვენი ავტორიტეტით და, შესაძლოა, რუსი გენერლებისა და ჯარისკაცების როლები ჯონი დეპმა ან ბრედ პიტმა ან სულაც დე ნირომ ითამაშონ. მაშინ თქვენი ფილმი მსოფლიოს ფესტივალებზე მოგზაურობას დაიწყებს და ცრუ ცრემლებით ატირებს მაყურებელს, რომელმაც არაფერი იცის არც საქართველოსა და არც ოსებზე“, - წერს ქეთი დოლიძე.

2 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცნობილი სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცა ოსეთის შესახებ ფილმს გადაიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ განსჯა

# არის თუ არა ალიანსში ჩვენი გაწევრება ახლო მომავლის საკითხი?

## „მრგვალი მაგიდა“ ნატოს სამიტის შედეგებზე

***ბრიუსელში 2-3 დეკემბრის ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომის შედეგების თაობაზე თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტში“ შალვა ფიჩხაძემ, ივლიანე ხაინდრავამ, აკაკი ასათიანმა, კახა გოგოლაშვილმა და გოჩა ფიფიამ „მრგვალი მაგიდა“ გამართეს. დისკუსიის მსვლელობისას მათ განიხილეს ალიანსის მინისტერიალის გადაწყვეტილება და იმსჯელეს იმაზეც, თუ რა გავლენას მოახდენს ეს გადაწყვეტილება რუსეთსა და საქართველოს შორის სამომავლო ურთიერთობებზე.***

— რაც უფრო სწრაფად ვივლით ნატოსკენ, ბუნებრივია, მით უფრო ნაკლები დრო ექნება რუსეთს, რომ უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში პროცესებზე, თუმცა ბრიუსელის სხდომამ ერთმნიშვნელოვნად ცხადყო, რომ ალიანსში ჩვენი გაწევრება ახლო მომავლის საკითხი არ არის, — განაცხადა შალვა ფიჩხაძემ.

მისგან განსხვავებით, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ივლიანე ხაინდრავა, ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრისას, გაცილებით უფრო პესიმისტური იყო. მისი თქმით, ბუქარესტის სამიტის შემდეგ საქართველომ არათუ წინ ვერ წაიწია ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ, არამედ ის შანსებიც დაკარგა, რაც აქამდე ჰქონდა.

— შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბრიუსელის სხდომა საქართველოს ნატოსთან კიდევ უფრო დაახლოების დასტური იყო. პირიქით, ამან კიდევ უფრო ცხადყო ის, რომ ჩვენ მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე ალიანსის წევრი ვერ გავხდებით. და, საერთოდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და ნატო ერთმანეთთან შეუთავსებელი „პროექტებია“, — დასძინა ივლიანე ხაინდრავამ.

უცნაური შესავლით დაიწყო საუბარი პარტია „ქართული პოლიტიკის“ თავმჯდომარემ გოჩა ფიფიამ, რომელიც საქართველოსთვის მაპის არმინიჭებით უკმაყოფილო სულაც არ ჩანდა.

— უწინარესად, ვულოცავ სრულიად საქართველოს მოსახლეობასაც, რომ მაპი არ მოგვცეს...

...რაც შეეხება საზოგადოებრიობაში გაჩენილ კითხვას: რატომ არ გვღებულობენ ნატოში, ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ასეთია: მიზეზი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ ხელისუფლებისა და მისი გარემოცვის გარკვეული ჯგუფების არაადეკვატურ ქმედებებში, არამედ იმ ადამიანებშიც, რომელთაც მეტისმეტად ეჩქარებათ საქართველოს ალიანსში გაწევრება...

მოვლენათა შეფასებისას განსაკუთრებით მკაცრი იყო ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი, რომელმაც, როგორც რადიკალურ ოპოზიციონერებს სჩვევიათ, საქართველოს ნატოში არმიღება მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების უვარგისობით ახსნა.

— ჩვენი უპირველესი დაბრკოლება ნატოში შესვლის გზაზე სწორედ ეს ხელისუფლებაა, და რაც უფრო მეტ ხანს დავრჩებით ამ მდგომარეობაში, მით უფრო დავშორდებით ნატოს. იმის მიზეზი, რომ ალიანსის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა საქართველოს არ მიიჩნევენ სათანადოდ მომზადებულ ქვეყნად ბლოკში მისაღებად, სწორედ ჩვენშია და ჩვენ უნდა ვეძებოთ ეს მიზეზები. სხვა შემთხვევაში, სულ მოლოდინში ვიქნებით და რეალურ შედეგს ვერასდროს მივიღებთ, — დასძინა მან.

**ჯაბა ჟვანია.**

◎ ფინანსურიც, ეკონომიკურიც...

# ახლანდელის მსგავსი საფინანსო კრიზისი 100 წელიწადში ერთხელ ხდება

## ასეთია აშშ-ის ხაზინის თავკაცის დიაგნოზი. რა გველის?

**აშშ. ახლანდელის მსგავსი ფინანსური კრიზისი 100 წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხდება, — განაცხადა აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ჰენრი პოლსონმა.**

აშშ-ს ხაზინის მეთაურმა კალიფორნიაში სიტყვით გამოსვლისას აღიარა, რომ საფინანსო კრიზისს საფუძვლად რამდენიმე ფაქტორი დაედო, მათ შორის „ხელისუფლების უმოქმედობა და მცდარი ნაბიჯები, აშშ-სა და დანარჩენ მსოფლიოში საფინანსო რეგულირების მოძველებული სისტემა, საფინანსო ინსტიტუტების ზედმეტად სარისკო ინვესტიციები“.

ამასთანავე, ჰ. პოლსონმა თავი შეიკავა მეტისმეტად მკაცრი ანტიკრიზისული ზომებისაგან. „თუ არასწორად განვსაზღვრავთ ავადმყოფობის მიზეზებს და ნაჩქარევად ვიზრუნებთ ამ მიზეზთა რაოდენობაზე და არა თვისობრიობაზე, უფრო მეტად ვიზარალებთ“, — თქვა მან.

**„უმართებულოა ფულის ხარჯვა იქ, სადაც სიცოცხლისუნარიანობა გარანტირებული არაა“** — მოჰყავს სააგენტოს აშშ-ს ფინანსთა მინისტრის სიტყვები.

ჰ. პოლსონი ხელისუფლებიდან მიმავალი პრეზიდენტ ჯ. ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურაა და 700 მილიარდი დოლარის ფასად ამერიკული ეკონომიკისათვის უპრეცედენტო დახმარების გაწევის გეგმის მთავარ არქიტექტორად ითვლება. ეს თანხა აშშ კონგრესმა წლეულს, ოქტომბერში გამოჰყო. ჯერ მიაჩნდათ, რომ იგი ბანკებისაგან პრობლემური იპოთეკური აქტივების გამოსყიდვაზე დაიხარჯებოდა, მაგრამ ჰ. პოლსონმა ახლახან აქცენტი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების პირდაპირ რეკაპიტალიზაციაზე (გადახდისუნარიანობის აღდგენაზე) გადაიტანა. ანტიკრიზისული პაკეტის პირველი ნახევრიდან 40 მილიარდი დოლარი მიმართული იქნა კრიზისული დამზღვევის — Amrican International Group-ის დასახმარებლად, ხოლო 250 მილიარდ დოლარს დანარჩენ ბანკებს დაპირდნენ მათი აქციების გამოსასყიდად.

ამ დღეებში **კი პერუს დედაქალაქ ლიმაში** მიმდინარე აზიაწყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის მონაწილეები უკვე შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ საჭიროა მსოფლიო საკრედიტო ორგანიზაციების — საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და მსოფლიო ბანკის (მბ) რეფორმირება. ეს განცხადება „დიდი ოცეულის“ ქვეყნების ადრინდელი სამიტის შეთანხმების ერთგვარი გამეორება და დასტურია. დასახელებული მსოფლიო საკრედიტო ორგანიზაციების რეფორმირების საჭიროება უკავშირდება მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო შექმნილ სერიოზულ პრობლემებს, რომლის თავიდან ასაცილებლად ამ ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებები ვერ გაატარეს.



**რუსეთი. გადარჩენის რეცეპტი. მთავრობამ აღიარა, რომ ქვეყანაში ფინანსური კრიზისი ეკონომიკურში გადაიზარდა** და ეკონომიკის რეალური სექტორის გადარჩენას საგადასახადო შეღავათებით ცდილობს. ქვეყანაში ყველაზე მასშტაბური სახელისუფლებო ნოვაცია გახლავთ მოგებაზე დაწესებული გადასახადის იმ ნაწილის შემცირება, რომელიც ფედერალურ გადასახადად ითვლება, რაც საწარმოებს 400 მილიარდი რუბლის (15,63 მილიარდი დოლარის) შეღავათს მისცემს.

ამასთან, **პრემიერი ვ. პუტინი საწარმოებს ჰპირდება, რომ გადასახადით დაბეგრავენ ფაქტობრივ და არა „ქაღალდზე“ არსებულ მოგებას (რაც საკმაოდ ორაზროვანი ფორმულირებაა!)**. გათვალისწინებულია სხვა ხასიათის შეღავათებიც, რომელთა ერთობლიობა, რუსეთის ფინანსთა სამინისტროს გათვლით, 689,9 მილიარდ რუბლს (26,78 მილიარდ დოლარს) მიაღწევს. მანამდე კი, როგორც ქვეყნის პრემიერმა განაცხადა, მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტებისათვის გაწეულმა დახმარება-შეღავათებმა უკვე 5 ტრილიონ რუბლს (195,3 მილიარდ დოლარს) მიაღწიეს.

**მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით სწორედ „ქაღალდზე არსებული“ დაპირებები ან რუსეთის ეკონომიკისათვის ზღვაში წვეთია. სინამდვილეში, ეკონომიკის კრიზისის ციებ-ცხელება უკვე დაწყებულია.** კომპანიების 42 პროცენტი (ორი მეხუთედი) თანამშრომელთა შტატების შემცირებას გეგმავს (დიდმა ნაწილმა უკვე შეამცირა). ასეთი სურათი უჩვენა **საკადრო ჰოლდინგ „ანკორის“** მიერ ამას წინათ (ნოემბერში) რუსეთის 8 მსხვილი ქალაქის (მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ნიჟნი-ნოვგოროდის, როსტოვის, ეკატერინბურგის, პერმის, ომსკის, ნოვოსიბირსკის) სამრეწველო დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების პროდუქციის მწარმოებელი, აგრეთვე ლოგისტიკის, ფარმაცევტიკის, საცალო ვაჭრობის, პროფესიული მომსახურებისა და სხვა სფეროს 371 კომპანიაში ჩატარებულმა გამოკვლევამ. დანახარჯების შემცირების მიზნით კომპანიები ძირითადად ამცირებენ მუშა-პერსონალს, მათ ხელფასს, სამუშაო საათებს, საკომპენსაციო პაკეტს. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, **საერთო ანგარიშით, კომპანიები ფიქრობენ პერსონალზე დანახარჯების სულ ცოტა 10 პროცენტით შემცირებას.**

მოამზადა
**ამირან გაბისონიამ**

◎ ინფორმაცია

### გაერომ და ეუთომ თავიანთ როლს უნდა გადახედონ

**აგვისტოს მოვლენების გათვალისწინებით, შესაძლოა, გაეროს და ეუთოს რეგიონში საკუთარი როლის გადახედვა მოუწიოს, — ამის შესახებ საუბარია მიმართვაში, რომელიც გენერალურმა მდივანმა ბენ კი მუნმა ეუთოს ჰელსინკის სამიტის მონაწილეებს გაუგზავნა.**

**— საქართველოში მომხდარი ტრაგიკული საომარი მოქმედებების კვალდაკვალ, შესაძლოა, გადავაფასოთ ის როლი, რომელსაც გაერო და ეუთო რეგიონში ვასრულებთ, — აღნიშნულია დოკუმენტში, რომელიც გაეროს ოფისში გავრცელდა.**

### პუტინი თურმე სასურველ კითხვებზე უპასუხებდა

**რუსული მედიის მტკიცებით, გუშინდელი პირდაპირი სატელეფონო კავშირი ვლადიმერ პუტინთან ფალსიფიცირებული იყო.**

**ამის შესახებ „ეხო.მოსკვის“ წამყვანი ალექსანდრე პლიუშჩევი საკუთარ ბლოკში წერს.**

**მისი ინფორმაციით, ხდებოდა მოქალაქეების კითხვების კორექტირება, რის შემდეგაც, პირდაპირი ეთერის დროს, მათ ურეკავდნენ და სასურველი კითხვის დასმას სთავაზობდნენ.**

**ერთ-ერთი კითხვის შესახებ, რომლის დასმასაც ნიჟნი ნოვგოროდიდან აპირებდნენ, ქალაქის მერმა რამდენიმე საათით ადრე იცოდა. რძის საწარმოების დახურვაზე გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ მან პირდაპირ სატელეფონო ხაზამდე რამდენიმე საათით ადრე ადგილობრივი ტელეეთერით განაცხადა.**

**იმ მოქალაქეებს კი, რომლებსაც პუტინისთვის დაუგეგმავი კითხვების დასმას აპირებდნენ, მიკროფონთან არ უშვებდნენ.**

**ანალოგიური შემთხვევები პუტინის წინა პირდაპირი ეთერების დროსაც ფიქსირდებოდა.**

### ოსეთის მხარეში ეუთოს დამკვირვებლებს რუსეთიდან შეუშვებენ

**ცხინვალი ეუთოს დამკვირვებლებს მხოლოდ რუსეთის ტერიტორიიდან შეუშვებს.**

**როგორც სააგენტო „ოსინფორმი“ იუწყება, ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალან პლიევმა განაცხადა.**

**— იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთი ახლა აღიარებული სახელმწიფოა, ჩვენთან ეუთოს ოფისის არსებობა რეალური მდგომარეობის ასახვას შეუწყობდა ხელს. ეუთოს წარმომადგენლებს ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ რუსეთის ტერიტორიიდან მივიღებთ, — განაცხადა პლიევმა.**

**მისივე განცხადებით, ეუთოს დამკვირვებლებს რეალური სურათის დაფიქსირებისა და ობიექტური შეფასების საშუალება უნდა ჰქონდეთ.**

**პლიევმა ამგვარი კომენტარი საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დორა ბაკოიანის განცხადებაზე გააკეთა. ბაკოიანის თქმით, საბერძნეთი, როგორც ეუთოს მომავალი თავმჯდომარე ქვეყანა, შეეცდება, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ეუთოს დამკვირვებლები დააბრუნოს.**

ინტერპრესნიუსი

მწარე რეალობა

# ჰუმანიტარული დახმარებაა თუ სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია?

## ანუ რატომ არ სურთ „განათლებულ-განვითარებულ" ქვეყნებს ჩვენთან პარტნიორული ურთიერთობა



**საყოველთაოდ გავრცელდა აზრი, რომ ჰუმანიტარული დახმარების გარეშე დავიღუპებოდით. დღევანდელი გაჭირვების პირობებში ალბათ ძნელია საწინააღმდეგო აზრის არსებობა, მაგრამ კარგად უნდა გავიაზროთ, თუ რას მოგვიტანს პურითა და მედიკამენტებით დატვირთული ეშელონები.**

1991 წელს, ჩემი ლოს-ანჯელესში ყოფნისას, ერთი ამერიკული გაზეთი წერდა, თუ როგორ დაღუპა ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა ჰუმანიტარულმა დახმარებამ აფრიკის ქვეყნები. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპელმა კოლონიზატორებმა აფრიკის კონტინენტი დასტოვეს, მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა. წარმოქმნის პროცესს კი ძველის ნგრევა და ეკონომიკური გაჭირვება მოჰყვა. საჭირო გახდა მათი შველა და ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა (მათ შორის საბჭოთა კავშირმაძ ჰუმანური თუ პოლიტიკური მიზნით გაშალეს დახმარების ფრონტი. დახმარების პროგრამა კი ძირითადად აფრიკის ქვეყნების საკვებითა და მედიკამენტებით მომარაგებას შეიცავდა.

გაირკვა, რომ აფრიკის ამ ახლად შექმნილ ქვეყნებში 10 წლის განმავლობაში თითქმის 90 %-ით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ნაყოფიერი მიწა უდაბნომ დაიკავა. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავდა, ესპანელების მიერ მიტოვებულ რანჩოზე მუშაობა ჩაკვდა. თუ ადრე ესპანელები აიძულებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ემუშავა და პროდუქცია შეექმნა, კოლონიზატორების წასვლის შემდეგ მოსახლეობა, უფასო პურის მოლოდინში, აქტიურ საქმიანობას ჩამოსცილდა, გაზარმაცდა. ამავე დროს, ჰუმანიტარული დახმარების თითქმის 30 % ადგილობრივი ბელადების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც ვილები აიშენეს ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. ამდენად, უპირველესად, სწორედ ისინი აღმოჩნდნენ დაინტერესებულნი ჰუმანიტარული დახმარების არსებობით და ალბათ ხელსაც კი უშლიდნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, რათა მათთვის ეს მომგებიანი დახმარება არ შემცირებულიყო.

მაგრამ ჰუმანიტარული დახმარება რომც არ შემცირდეს, ის ქვეყნის კრიზისულ მდგომარეობას გაამწვავებს, რადგან პურით დახმარება ამ ქვეყანაში კვების პროდუქტის საკუთარი წარმოების შემცირებას იწვევს და აუცილებლად დაიწყება „შიმშილის ერა". ამისი მოწმე დღეს ყველა ვართ: ვხედავთ, შიმშილით როგორ იღუპება მილიონობით აფრიკელი.

იქნებ სწორედ ესაა განვითარებადი ქვეყნების მთავარი სტრატეგიული მიზანი? ერთი მხრივ, ძალზე იაფი მუშახელის შექმნა განვითარებული ქვეყნებისთვის და, მეორე მხრივ, გაზარმაცებული და, ამდენად, მათთვის გამოუსადეგარი.

ჩვენც აფრიკის ქვეყნების „განვითარების" გზას დავადექით და უკვე ვხედავთ, თუ როგორ დაგვიცარიელდა სოფელი. დამშეული გლეხი ქალაქს მოადგა და სპეკულაციით ან ყაჩაღობით თავის გადარჩენას ცდილობს. ქვეყანაში კი დაუმუშავებელი მიწის ტრამალებია და ამ მოტოვებულ მიწას ალბათ გადამთიელი დაეპატრონება.

აფრიკის ქვეყნების მაგალითი (ჩვენც ხომ განვითარებადი თუ განსავითარებელი ქვეყნის სტატუსი გვიბოძესძ ნათლად გვიჩვენებს, თუ რატომ სურს ჰუმანიტარული დახმარების ზოგიერთ ქართველ მესვეურს საკუთარი ქვეყნის წარმოების მოშლა და განადგურება. თუ საკუთარი საწარმოო რესურსები ამოქმედდა, მაშინ უცხოური დახმარება შემცირდება, ან მათი შავ ბაზარზე გაყიდვის ფასი დაეცემა. ამიტომ ურჩევნია საკვების შემოტანა, ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოზიდვას და საწვავით, სასუქით თუ შხამქიმიკატებით გლეხების უზრუნველყოფას. მიწის პრივატიზაციამ ტრაქტორი თოხით შეცვალა და დიდი მოსავლის იმედი არ უნდა გვქონდეს. თოხით მხოლოდ საკარმიდამო, მცირე ზომის ნაკვეთების დამუშავება შეიძლება, ხალხის გამოკვებას კი ის ვერ შესძლებს.

ჰუმანიტარული დახმარება წარმოებას (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოებასძ სჭირდება, რათა მისი ეფექტურობა გაიზარდოს. მართალია, ჰუმანიტარული გზით შემოსული საკვებისა და მედიკამენტების გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი მაინც იყიდება შავ ბაზარზე თუ კომერციულ აფთიაქებში. ფასების განთავისუფლება მხოლოდ კერძო სექტორის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე შეიძლება. რაც შეეხება სოციალურად დაუცველ ფენას (დევნილებს, პენსიონერებს, ინვალიდებს, ბავშვთა სახლებს და ა.შ.ძ, მათი დახმარება უფასო საკვებით კი არა, მათზე იმ რაოდენობის თანხის გაცემით უნდა მოხდეს, რომ აარჩიონ – ჰუმანიტარული საკვების ყიდვა სურთ თუ საკუთარი წარმოების საკვებისა. ეს კი ჰუმანიტარებს ხელს სულაც არ აძლევთ!

სამწუხაროდ, ჩვენი საბაზრო ეკონომიკა ისე აიგო, რომ საქართველო თურქეთის, ირანისა თუ დასავლეთის ქვეყნებში ჩაწოლილი ნაწარმის გასაღების ბაზრად იქცა. „სნიკერსმა" ჩვენი ბაზრიდან მასზე გაცილებით უკეთესი ხარისხის ქართული წარმოების შოკოლადი გააძევა, ხოლო „კოკა-კოლამ" ქართულ ლიმონათს და ლაღიძის წყალს მომავალი გადაუწურა. ჩვენს მიერ შექმნილი საბაზრო ეკონომიკა დამღუპველი აღმოჩნდა სამამულო ეკონომიკისთვის. სამწუხაროდ, ჰუმანიტარული დახმარება სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ამერიკელებთან თუ ევროპელებთან საუბარში არაერთგზის მითქვამს, რომ „ჩვენთვის წიგნით დახმარება პურით დახმარებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან პურით დახმარების შემთხვევაში ჩვენ თქვენი სარჩენი მათხოვარი ხალხი გავხდებით, ხოლო თუ წიგნით დაგვეხმარეთ, შეიძლება თქვენი პარტნიორობაც შევძლოთ".

მაგრამ ჩვენთან პარტნიორობა არავის სურს. მთავარია, საქართველო მათი გასაღების ბაზრად იქცეს და რუსეთის ის ბაზრებიც დაგვატოვებინონ, რაც ადრე დაკავებული გვქონდა. ძირითადად აქეთაა მიმართული მსოფლიო ბანკის „რეკომენდაციები". ჩვენთვის მხოლოდ არაკვალიფიციური შრომაა გამიზნული და ამისათვის საჭიროა პირველ რიგში მეცნიერებისა და განათლების განადგურება.

ერთი შეხედვით, ჰუმანიტარული აქტია „სოროსის ფონდის" ის მოღვაწეობა, რომელმაც მრავალი მეცნიერი შიმშილით დაღუპვისგან იხსნა 1990-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ ამ მეცნიერებში ძირითადად ბუნებისმეტყველები აღმოჩნდნენ. მათ შორის მეც ორგზის მივიღე დახმარება და სწორედ ამ ფონდის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი გავხდი. ამისთვის ჩვენ საკმაოდ მოზრდილი მოცულობის ანკეტების შევსება დაგვჭირდა, სადაც სრულად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია ჩვენი სამუშაოების შესახებ. ამ ინფორმაციის წყალობით კი ხდება მეცნიერული პოტენციალის დადგენა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, თუ ვინ რას წარმოადგენს! ცხადია, ეს საკმაოდ ძვირადღირებული ინფორმაციაა ამერიკის სადაზვერვო სამსახურებისთვის. იმას, რაც ბატონმა სოროსმა სამეცნიერო გრანტების დაწესებით გააკეთა, ვერავითარი სადაზვერვო სამსახური ვერ შესძლებდა!

ბატონ სოროსის კონკურსის პირობით, ჩვენ დაწვრილებით უნდა დაგვეწერა არა მხოლოდ ის, თუ რის გაკეთებას ვაპირებდით უახლოესი ორი წლის განმავლობაში, არამედ ისიც, თუ როგორ ვაპირებდით ამ მეცნიერული ამოცანის გადაწყვეტას. ასეთი ინფორმაციის მიღება კი ამერიკული დაზვერვის ამოცანაა. როგორც ჩანს, სოროსი ჩვენი მეცნიერების ლატაკი მდგომარეობის გამოყენებით მრავალი მილიარდი დოლარის ღირებულების ინფორმაციას დაეუფლა.

მე შევავსე განაცხადი და სოროსის ფონდიდან მივიღე წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ პრობლემა მათ მოეწონათ, მაგრამ პროექტში ნათლად არ ყოფილა წარმოდგენილი, თუ როგორ ვაპირებდი ამ ამოცანის გადაწყვეტას. მე მივწერე, რომ ეს ჩემი საიდუმლოა და სანამ ამოცანას ბოლომდე არ მივიყვან, მას ვერ გამოვაქვეყნებ.

ამის შემდეგ ყოველგვარი ურთიერთობა სოროსის ფონდთან შეწყდა. განა ბატონ სოროსის მიზანი „ცეერუ"-ს მიზნებისგან განსხვავებულია? შემდეგ სოროსმა „პროფესორების შემწეობები" დაარიგა, თუმცა მე მათ აღარ გავეკარე.

ამდენად, ისევ და ისევ, როდესაც ვინმე ჰუმანიტარულ საქმიანობას ეწევა, ამ საქმიანობას ჰუმანიზმთან ძალზე მცირე შეხება აქვს: მთავარი იმ მიზნის მიღწევაა, რასაც ეს „ჰუმანიტარული დახმარება" ემსახურება.

დღეს ცხადი გახდა, რომ როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ისე მეცნიერება და განათლება სავალალოდ კატასტროფულ მდგომარეობაშია. ძნელია გვქონდეს მომავლის იმედი, და მეცნიერებისა და განათლების სრულ მოსპობამდე მივდივართ. მეცნიერების უგულებელყოფა ეკონომიკის განადგურების საფუძველია. არცაა გასაკვირი: რადგან „განვითარებადი ქვეყნის სტატუსი" გვიბოძეს, ეს დაბალგანვითარებულ ეკონომიკასთან ერთად მეცნიერებისა და განათლების დაბალ დონესაც გულისხმობს და ჩვენი დასავლელი „მეგობრების" დახმარებაც, სამწუხაროდ, ძირითადად ამ მიზანს ემსახურება. სწორედ ამიტომ, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების თანახმად, ჩვენმა სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს. სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციებს უფრო ბრძანებების ფორმა აქვს. ამ შემთხვევაში კი მათი ჰუმანიტარული დახმარება უფრო სახელმწიფოებრივი კორუფციის სახეს იღებს. გამოდის, რომ თუ გვსურს ჰუმანიტარული უფასო პური და მედიკამენტები მივიღოთ, უარი უნდა ვთქვათ საკუთარი ერის განათლებასა და მეცნიერებაზე, ვიცხოვროთ ისე, როგორც გვიკარნახებენ და გვიბრძანებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევძლებთ „განვითარებადი ქვეყნის" მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას, რაც მსოფლიო ბანკის და დასავლეთის „განვითარებული" ქვეყნების უკმაყოფილებას გამოიწვევს. გადასარჩენად ფული რომ გასესხონ, მათ უნდა დაუჯერო, რასაც გეტყვიან, ის გააკეთო. განა ეს საქართველოს კოლონიად, დასავლეთის დანამატად, მათ მომსახურე ქვეყნად გადაქცევას არ ნიშნავს?

ლოგიკურია, კაპიტალისტი ფულს ტყუილად არ გადაყრის, სარგებელი თუ არ ნახა. აქაც მისი სარგებელი მის მოჯამაგირედ გახდომაა. თანაც, თუ მათხოვარი ხურდა ფულს გთხოვთ, რათა მან ფული დააგროვოს და „მერსედესი" შეიძინოს, თქვენ მას არაფერსაც არ მისცემთ, მაგრამ თუ იგრძენით, რომ მას შიმშილისგან თავის დახსნა უნდა, მაშინ გაცილებით უფრო დიდ მოწყალებასაც გაიღებთ.

ასეა ქვეყნებს შორის დამოკიდებულებებშიც. ინტელექტუალური, სულიერი, ტექნიკური ან ეკონომიკური განვითარებისთვის ფულს არავინ მოგვცემს. ჩვენ კი მათხოვარი ქვეყანა გავხდით, რომლის ხელგაწვდილი პრეზიდენტი სხვადასხვა ქვეყნებს მოსდებია ჰუმანიტარული მოწყალების სამათხოვროდ.

და მაინც, ყველაზე საშიში და დამანგრეველი ის სამხედრო დახმარებაა, რომლის გზითაც მილიარდი დოლარის იარაღი შემოვიდა საქართველოში. სწორედ ამ იარაღის „წყალობაა" გადაბუგული ზემო ქართლის ქალაქები და სოფლები. ღმერთმა არ ინებოს, რომ იარაღით ახალ ასეთ „დახმარებას" საჯავახოს აოხრება მოჰყვეს.

ხოლო თუ რა სტრატეგიულ მიზანს ემსახურება იარაღით ასეთი თავგამოდებული „დახმარება", ამის შესახებ წინა წერილში მოგახსენეთ („ორ ზღვას შუა საომარი იყო ლელო", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №225ძ.

**მერაბ ჯიბლაძე,**
„ქართული აკადემია"

ინფორმაცია



# „მაესტროს" გახსნამ „ივერიას" იმედი ჩაუნერგა

**ტელეკომპანია** „ივერიის" დამფუძნებელი გიორგი ანდრიაძე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს გიორგი არველაძეს ღია წერილს უგზავნის. ანდრიაძე კომისიის თავმჯდომარეს კიდევ ერთხელ სთხოვს სატელევიზიო სიხშირის გამოყოფას.

– ცნობილი გახდა, რომ 2 დეკემბერს თქვენმა კომისიამ ლიცენზიის მოდიფიცირება გაუკეთა ტელეკომპანია „მაესტროს", რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია და კიდევ ერთხელ ვულოცავთ მათ ამ წარმატებას. ყოველივე ამან იმედით აღგვავსო ჩვენც და გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ მოგმართოთ თხოვნით, რათა ქართულ ტელემაუწყებლობა „ივერიას" გამოუყოთ სატელევიზიო სიხშირე. თუ ჩვენი ეს წინადადება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, იქნებ, პირველ ეტაპზე მაინც, მოხერხებულიყო საკაბელო ქსელში მაუწყებლობის ლიცენზიის მიღება. თუ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა საზოგადოების მოთხოვნილების გარკვევა, გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს 60 ათასი მოქალაქის ხელმოწერა ზემოაღნიშნული მოთხოვნით, – ნათქვამია ანდრიაძის ღია წერილში.

იქვე აღნიშნულია, რომ დემოკრატიის განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა, თუნდაც ერთი-ორი დამოუკიდებელი ტელევიზიის არსებობა მაინც.

ХО-ЭОВ-ЭНО

**პირველად ქართულად**

# ბარაკ ობამა

# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა

თითოეულ საზოგადოებაში (თითოეულ ადამიანშიც) ყოველთვის ებრძვიან ერთმანეთს დაპირისპირებანი — პიროვნული და საზოგადოებრივი, ავტონომიური და სოლიდარული — და ამერიკას ძალიან გაუმართლა, რომ მისი დაბადების ვითარებებმა შექმნეს ამ დაპირისპირებათა უკეთ მოწესრიგების საშუალება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ჩვენ არ მოგვიწია განგვეცადა სისხლიანი ძალადობა, რისი გავლაც მოუწია ევროპას, როდესაც თავის ფეოდალურ წარსულს აღწევდა თავს. ჩვენი გადასვლა აგრარულიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე მნიშვნელოვნად გაიოლდა ჩვენი ტერიტორიის მოცულობის წყალობით, ვრცელი მიწებითა და რესურსების სიუხვით, რამაც ემიგრანტებს მეორე სიცოცხლე უბოძა.

ამ დროს არ შეიძლება ხელი ჩაიქნიო იმ ფაქტზე, რომ ბრძოლა არსებობს. ზოგჯერ ჩვენი ღირებულებანი შედიან კონფლიქტში, ვინაიდან თითოეულ ადამიანს აქვს მიდრეკილება დაამახინჯოს ისინი, ანდა გადაჭარბებულად შეაფასოს. თავისი თავის იმედსა და დამოუკიდებლობაზე ანგარიში შეიძლება შემობრუნდეს თავის თავზე შეყვარებისკენ და ყველაფრის უფლებისკენ, მიზანსწრაფულობა — სიძუნწისკენ ან წარმატების სურვილისკენ ნებისმიერ ფასად. ხშირად ჩვენს ისტორიაში პატრიოტიზმი იქცევა შოვინიზმად, ქსენოფობიად და სხვაგვარად მოაზროვნესადმი მტრობად, ჩვენს თვალწინ რწმენა იქცეოდა საკუთარი უცოდველობის სიჯიუტედ, აზროვნების სივიწროვედ და სიმკაცრედ სხვებთან დამოკიდებულებაში. ქველმოქმედებისკენ სწრაფვაც კი შეიძლება იქცეს ქედმაღლობად და აშკარა ფაქტებისადმი უთანხმოებად, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავად იზრუნონ თავიანთ თავზე.

როცა ასეთი რამ ხდება, ესე იგი, როდესაც თავისუფლებით ამართლებენ კომპანიის გადაწყვეტილებას ჩაყარონ უახლოეს მდინარეში ტოქსიკური ნარჩენები ან როცა ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობაში საერთო დაინტერესების საბაბით ამართლებენ ვინმეს სახლის დანგრევას, უნდა მოვიკრიფოთ მთელი ჩვენი ძალები, დავაცხროთ მღელვარე ვნებები და გამოვძებნოთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილება.

ზოგჯერ ეს შედარებით იოლად გამოგვდის. ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, ვთქვათ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება შეზღუდოს პიროვნული თავისუფლება, როდესაც იგი ემუქრება სხვა ადამიანებს. პირველი შესწორება არ მოგვცემთ ნებას იყვიროთ „ხანძარია!“ გადავსებულ თეატრში; უფლება რელიგიური დღესასწაულების მოწყობაზე სულაც არ გულისხმობს ადამიანის მსხვერპლად შეწირვას. ზუსტად ასევე ყველა ვეთანხმებით, რომ სახელმწიფომ ყოველ წუთს უნდა გვაკონტროლოს, თუნდაც ჩვენივე კეთილდღეობისთვის. ბევრი ამერიკელი ვერ იგრძნობს თავს მშვიდად იმის გამო, რომ ვთქვათ, მთავრობისთვის ცნობილია, თუ რას ჭამენ ისინი, თუმცა ბევრი სიკვდილი და მკურნალობისთვის დახარჯული დიდი თანხები მოწმობენ ზედმეტი წონის მავნეობაზე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218, 220, 227.

ხშირად დაპირისპირებულ ღირებულებათა ბალანსის დაცვა — ერთობ რთული საქმეა. კონფლიქტი წამოიჭრება არა იმიტომ, რომ ჩვენ არასწორი კურსი ავირჩიეთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ვცხოვრობთ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოში. მაგალითად, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ 11 სექტემბრის შემდეგ ჩვენ მეტად სხვადასხვაგვარად დავიწყეთ ტერორიზმთან ბრძოლაში კონსტიტუციური პრინციპების განმარტებანი. მაგრამ ამასთან ერთად მე ვაღიარებ, რომ უბრძნესი პრეზიდენტიც კი და ყველაზე წინდახედული კონგრესიც უმალვე ვერ მოიფიქრებდნენ, თუ როგორ შეუხამონ ერთმანეთს კოლექტიური უშიშროების მოთხოვნები და მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის აშკარა აუცილებლობა. ვფიქრობ, ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია არ ითვალისწინებს საკმაო ღონისძიებებს მრეწველობის მუშათა გამოდევნისა და სამრეწველო ქალაქების დაცემის წინააღმდეგ. თუმცა არ შემიძლია უგულებელვყო ეკონომიკური უსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ინტერესები.




ვაი რომ, ხშირად ჩვენს საერთო ეროვნულ დებატებში ამ რთული გადაწყვეტილებების განხილვამდეც ვერ მივდივართ. ამის ნაცვლად ვიწყებთ ჩვენთვის მიუღებელი პოლიტიკური ხაზის საშიშროების გაშუქებას, ანდა სულაც ვჩუმდებით, როდესაც ჩვენგან არჩეული პოლიტიკური ხაზი არაფრით არ ეთანხმება მოპირდაპირე მხარის ღირებულებებს. ვთქვათ, კონსერვატორები ყოველთვის ყალყზე დგებიან, როდესაც განიხილება სახელმწიფოს ჩარევა ბაზრის მოწესრიგებაში ან იარაღის ტარების უფლება. ამ დროს ბევრ მათგანს სრულებითაც არ აღელვებს სატელეფონო საუბრების არასანქცირებული მოსმენა ან სექსუალური მიდრეკილების კონტროლის მცდელობა. პირიქით, არ არსებობს უფრო იოლი საშუალება, გამოიწვიო ლიბერალების რისხვა, ვიდრე შეეხო პრესის თავისუფლებას ან ქალის სურვილს არ ჰყავდეს ბავშვები. მაგრამ თუ წამოიწყებთ საუბარს იმავე ლიბერალებთან მცირე ბიზნესის მოწესრიგების შესაძლო ღირებულებაზე, მაშინ, ალბათ, აუცილებლად, გადაეყრებით ცივ გაუგებარ მზერას.

ისეთ ნაირგვაროვან ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, არასოდეს ჩაცხრება დავები იმის შესახებ, თუ სად უნდა გადიოდეს სახელმწიფოს ჩარევის საზღვარი. ასეა მოწყობილი ჩვენი დემოკრატია. მაგრამ მისი არქიტექტურის მოწესრიგება შეიძლება, თუ ვაღიარებთ, რომ ყველა ჩვენი ფასეულობა პატივისცემას იმსახურებს; თუ ლიბერალები თუნდაც დათანხმდებოდნენ, რომ მონადირე დასვენების დროს თავისი იარაღის მიმართ გრძნობს იმასვე, რასაც თავისი ბიბლიოთეკის წიგნებისადმი, ანდა თუ კონსერვატორები გაიგებენ, რომ ქალების უმეტესობა გრძნობს თავს დაცულად აბორტზე ისევე, როგორც მორწმუნეები — რწმენის თავისუფლების დროს.

ასეთი ცდების შედეგები შეიძლება აღმოჩნდეს რამდენადმე მოულოდნელი. იმ წელს, როდესაც დემოკრატებმა კვლავ მიიღეს უმრავლესობა ილინოისის სენატის არჩევნებზე, მე მხარი დავუჭირე კანონპროექტს იმ საქმეების დაკითხვისა და აღიარებათა აუცილებელი ვიდეოჩანაწერების შესახებ, რომლებზეც კანონით შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა. თუმცა თავად ცხოვრება მარწმუნებს, რომ ეს ზომა სულაც არ უწყობს ხელს დანაშაულობათა ზრდის შემცირებას, მიმაჩნია, რომ მთელ რიგ დანაშაულებებზე — მასობრივი ჟლეტა, ბავშვის გაუპატიურება ან მოკვლა, ესე იგი ყველაზე შემზარავი, ყველაზე საზიზღარი დანაშაულებანი — საზოგადოებას აქვს სრული უფლება, მოითხოვოს სიკვდილით დასჯა, როგორც თავისი რისხვის აბსოლუტური გამოხატულება. მეორე მხრივ, მსგავსი შემთხვევების განხილვას ილინოისში იმ დროს ისე ხშირად ახლდა შეცდომები, პოლიციელთა საეჭვო მოქმედებანი, რასობრივი მღელვარებანი, მიკერძოებული სამართალწარმოება, რომ მოგვიწია გაგვეთავისუფლებინა ციხეებიდან ცამეტი სიკვდილმისჯილი, ხოლო რესპუბლიკელმა გუბერნატორმა მორატორიუმიც კი დაადო განაჩენების სისრულეში მოყვანას.

თუმცა სიკვდილით დასჯის სისტემა მოითხოვდა დაუყოვნებლივ რეფორმას, ბევრი მეუბნებოდა, რომ კანონპროექტი არ გავიდოდა. გადაჭრით წინააღმდეგ გამოვიდნენ ბრალმდებლები შტატის სახელით და პოლიციელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვიდეოჩანაწერი — ეს ძალიან საძნელოა და ძვირი, თანაც მან შეიძლება გააძნელოს სასამართლო დევნის შეწყვეტა. ის, ვინც გამოდიოდა სიკვდილით დასჯის გაუქმების მხარდასაჭერად, შიშობდა, რომ თუნდაც მცირე სერიოზული რეფორმა იმოქმედებს განაჩენის სიმკაცრეზე. ჩემს კანონმდებელ კოლეგებს ეშინოდათ, ვაითუ ბრალი დაგვდონ დამნაშავეების მიმართ ზედმეტ ლმობიერებაშიო. ახლად არჩეულმა დემოკრატმა გუბერნატორმა კი წინასაარჩევნო კამპანიაში გამოთქვა დაკითხვების ვიდეოჩანაწერების აშკარად საწინააღმდეგო აზრი.

ჩვენი დღეების პოლიტიკოსებმა ამგვარ შემთხვევებში, ალბათ, ზუსტად უნდა განსაზღვრონ თავიანთი პოზიციები: სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგენი დაიწყებდნენ მტკიცებას რასიზმზე, პოლიციელთა არასწორ საქციელზე, სამართლებრივ ძალდატანებაზე, დაარწმუნებდნენ ყველას და თითოეულს, რომ ჩემი კანონპროექტი ხელს უწყობს დამნაშავეებს. ამის ნაცვლად ჩვენ რამდენიმე კვირის განმავლობაში ვაწყობდით თათბირს თათბირზე ბრალმდებლებთან, სახელმწიფო დამცველებთან, სიკვდილით დასჯილ მოწინააღმდეგეებთან, პოლიციელებთან. ამ თათბირებზე პრესას უშვებდნენ მეტად შეზღუდულად.

მე არ დავიწყე აქცენტის გაკეთება ჩვენს შორის აზრთა სერიოზულ სხვადასხვაობაზე, ვსაუბრობდი ყველასთვის საერთო ღირებულებაზე, ჩვენი პირადი შეხედულებების მიუხედავად, სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, ესე იგი იმის შესახებ, რომ უდანაშაულო ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით და რომ, პირიქით, ის, ვინც დაიმსახურა სიკვდილით დასჯა, ვერ უნდა გაექცეს შურისგებას. როდესაც პოლიციელებმა მიუთითეს პროექტის იმ დებულებაზე, რომლებიც მათ მუშაობას გაურთულებდა, ჩვენ შევიტანეთ შესაბამისი ცვლილებები. როდესაც პოლიციელებმა შემოგვთავაზეს ჩაგვეწერა მხოლოდ აღიარების მომენტი, ჩვენ გადაჭრით წავედით წინააღმდეგი, ვინაიდან კანონპროექტის მიზანი იყო საზოგადოებისათვის სწორედ დამადასტურებელი მასალების წარდგენა, რომ აღიარება არ ყოფილა მიღებული ზემოქმედებით. ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივედით გადაწყვეტილებამდე, რომელიც ყველას ხელს აძლევდა. პროექტი ერთსულოვნად მიიღეს ილინოისის სენატში და მან მიიღო კანონის სტატუსი.

გასაგებია, რომ საკითხების გადაწყვეტის ახალი მეთოდი ყოველთვის როდია შესაბამისი. ზოგჯერ კონფლიქტი სხვადასხვა ჯგუფებს შორის აუცილებელია საერთო იდეოლოგიური მიზნის მისაღწევად. მაგალითად, აბორტის მოწინააღმდეგეებმა აშკარად გადაათქმევინეს კანონმდებლებს მოეხსნათ განხილვიდანაც კი ის კომპრომისული ზომები, რომლებსაც შეეძლოთ მნიშვნელოვნად გაეფართოებინათ პროცედურები სახელწოდებით — „ორსულობის შეწყვეტა გვიან ვადებში“, იმიტომ რომ ამ პროცედურის სახით, რომელიც საზოგადოებრივ შეგნებაში დამკვიდრდა, მოეპოვებინათ ბევრი მომხრე.

ზოგჯერ კი ჩვენი იდეოლოგიური წინააღმდეგობა ზედმეტად უხეშია და ვერ ვხედავთ იმასაც კი, რაც თვალში საცემია. ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ ილინოისში ვმუშაობდი, ვუსმენდი რესპუბლიკელ კოლეგას, რომელიც ქაფმორეული გამოდიოდა სასკოლო კვების სკოლამდელებზე გავრცელების გეგმის წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ ეს გეგმა დაარღვევდა იმათ რწმენას საკუთარ თავში. პასუხად შევნიშნე, რომ ჯერ არ მინახავს ხუთი წლის ბავშვები ამდენად დარწმუნებულები თავიანთ თავში, ხოლო თუ წლებში, როდესაც ისინი იზრდებიან, ბავშვები იშიმშილებენ და კარგად ვეღარ ისწავლიან, მაშინ, სავსებით შესაძლებელია, რომ აღმოჩნდნენ სახელმწიფო დამნაშავეები.

მაშინ ჩემი მცდელობანი წარმატებით ვერ დაგვირგვინდა: ილინოისელი სკოლამდელები გარკვეული დროის განმავლობაში დაცული იქნენ მუსისა და რძის გამოსაშტერებელი მოქმედებისაგან (მოგვიანებით გავიდა კანოპროექტის რამდენიმე სახეშეცვლილი ვარიანტი). მაგრამ ჩემი კანონმდებელი კოლეგის სიტყვა გვეხმარება გამოვავლინოთ ერთ-ერთი სხვაობა იდეოლოგიასა და ღირებულებებს შორის: ღირებულებანი უსიტყვოდ მიემატება ფაქტებს, ეს მაშინ, როდესაც იდეოლოგია ნებისმიერ ფაქტს ამწყვდევს მკაცრი თეორიის ჩარჩოებში.

ბევრი გაურკვეველი რამ დავებში პენსიების შესახებ წამოიჭრება როგორც პოლიტიკოსების, ისე ფართო საზოგადოებრიობის ყალბი წარმოდგენიდან იმის შესახებ, რომ პოლიტიკა და მთავრობა — ეს ერთი და იგივეა. თქვა, რომ ღირებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ემორჩილება კანონს ან რომ იგი სხვა მთავრობის დამსახურებაა. პირიქით, თუ ღირებულება კანონგარეშეა, ეს არ ნიშნავს, რომ მისი განხილვა არ შეიძლება საზოგადოებაში.

**(გაგრძელება იქნება)**

ყოფა

# თბილისში მალე სავაჭრო ურიკების ბუნტია მოსალოდნელი?!

**ბუნტი გამიგია, მაგრამ ურიკების ბუნტი? — იკითხავს, ალბათ, მკითხველი და სამართლიანადაც.**

დიახ, თბილისში მალე ნაირფერად შეღებილი ბორბლებიანი დახლ-ურიკების ბუნტი დაიწყება. ვაჭარბებ? ჩაიკითხეთ ეს წერილი ბოლომდე და დამეთანხმებით, რომ ეს აუცილებლად მოხდება.

საქმე ის არის, რომ ამ კერძო შემთხვევაში, აბუნტებას, ანუ უკმაყოფილების „პროვოცირებას", თავისდაუნებურად მერია უწყობს ხელს.

აი, რაშია საქმე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა თბილისში გარევაჭრობასთან დაკავშირებით აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით, შესაბამისი კანონპროექტი შეიმუშავეს. პარლამენტმა იგი ორი მოსმენით უკვე მიიღო. თუმცაღა კანონები და დადგენილებები ადრეც ბევრჯერ მიუღიათ, მაგრამ გარევაჭრობის საკითხი არა და არ მოწესრიგებულა.

განსახილველი კანონპროექტის მიხედვით კი, რომელიც მესამე მოსმენით უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, გარევაჭრობა ასეთი სქემით წესრიგდება: თბილისში საამისოდ განკუთვნილი ტერიტორია დაიყოფა ლოტებად, მერია მათ აუქციონზე გაიტანს და ვინც მეტ თანხას გადაიხდის, ის იყიდის ამ ტერიტორიას. ლიცენზიას ვინც მიიღებს, ის გახდება გარევაჭრობის მფლობელი.

ლიცენზიით განისაზღვრება პირობები, თუ რა ადგილზე რამდენი ბორბლებიანი ურიკა დაიდგმება, სხვადასხვა უბნის დახლებს სხვადასხვაფერად შეღებავენ. ვინ გახდება გამყიდველი? ის, ვინც იქ ვაჭრობდა, ან ვაჭრობის სურვილი აქვს, თუ ტერიტორიის მფლობელი მოიყვანს თავის ნაცნობს, ან ახლობელს? შეიძლება მოვაჭრეებსაც სხვადასხვა ფერის სპეცტანსაცმელი ჩააცვან; მათ სხვა ადგილზე გადანაცვლების უფლება არ ექნებათ და, რაც მთავარია, პროდუქტები გასაყიდად მესაკუთრემ უნდა მოიტანოს.

მერიაში ამბობენ, რომ გარევაჭრობის შესახებ კანონი აუცილებლად შესრულდება. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ფიზიკურ პირს 20-დან 50 ლარამდე ჯარიმა და პროდუქტის ჩამორთმევა ემუქრება, განმეორების შემთხვევაში ვაჭრობა ორმაგდება. გადასახადს კომპანია დაუწესებს გამყიდველს, თან ბიუჯეტის სასარგებლოდაც ექნებათ გადასახდელი.

კანონპროექტის ავტორების თქმით, გარევაჭრობა აუცილებლად ცივილურ ფორმას მიიღებს და მომხმარებელთა უფლებებიც დაცული იქნება. მოძრავი დახლურიკებით ვაჭრობენ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და ჩვენც მათ მსგავსად უნდა ვივაჭროთო.

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, კანონპროექტი და იქ ჩაწერილი სანქციები მხოლოდ დეპუტატ გიორგი თარგამაძეს გაუკრიტიკებია და უთხოვია, როგორც სალარო-აპარატებით სარგებლობა გადაევადა გარემოვაჭრეებს ორი წლით, იქნებ ამ კანონის აღსრულებაც გადაიდოსო, მაგრამ მისი აზრი არ გაუთვალისწინებიათ. ხმათა უმრავლესობით, ალბათ, მალე კანონპროექტი რეალობად იქცევა.

კი, ქალაქი მოსაწესრიგებელია, სახელდახელო ბაზრობებზე ყველგან ანტისანიტარიაა, არ შეიძლება კვების პროდუქტების, მათ შორის განსაკუთრებით კი მალფუჭებადის, ქუჩა-ქუჩა ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ...

რა ქნან უმუშევარმა, შვილების პატრონმა მამამ, ან დედამ, სად წავიდნენ, სად იშოვონ სახსარი, ოჯახი რომ არჩინონ? მართლა ყველა უცხოეთში ხომ არ წავა სამუშაოდ?

ჰოდა, ჩვენო პატივცემულო, გაჭირვებული ადამიანის ბედზე დღედაღამ მოფიქრალო და ახლადგარემონტებული კაბინეტების თუ ძვირფასიანი სამსახურებრივი მანქანების სავარძლებში ჩაფლულო დეპუტატებო, ჯერ შეუქმენით ამ ადამიანებს სამუშაო ადგილები, დაასაქმეთ და თუ ვინმე არ წავა და მაინც ქუჩაში ყიდვა-გაყიდვით დასაქმდება, მაშინ აამუშავეთ ეს კანონი. ხომ კარგად იცით, გარევაჭრობას ძირითადად გაჭირვებული, ხშირად მოხუცი, ან ინვალიდი ადამიანი ეწევა, როგორ იმოძრაონ ამ დახლურიკებით?

დაკვირვებული ვარ, როცა რაიმე საგანგაშო, ანდა ხალხის სურვილის საწინააღმდეგო კანონის მიღება უნდათ პარლამენტში, სულ ასე იმოწმებენ — ამერიკაში ასე არის, ევროპაში ასე აკეთებენო. რატომ ხელფასებით და „პრივილეგიებით" არ ვბაძავთ ამ ქვეყნებს? დამისახელეთ ევროპის რომელიმე განვითარებული ქვეყანა, სადაც დეპუტატს მარტო ხელფასის სახით 2500 ლარი ჰქონდეს, კიდევ მანქანები, ტელეფონები და ათასი სხვა შეღავათი, ხოლო ინვალიდ ადამიანს 65 ლარი? თქვენ ხომ ხშირად დადიხართ უცხოეთში, იკითხეთ, დაინტერესდით, რამდენი აქვს პენსია არა მარტო ინვალიდს, ჩვეულებრივ პენსიონერსაც? ნუთუ გგონიათ, რომ 65 ან 85 ლარით შეიძლება ერთი თვე თავის გატანა? წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ამ მდგომარეობაში. საბერძნეთი ხომ ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, ნახევარი საქართველო მგონი იქ არის წასული. ჩემი ოჯახის მეგობარიც წავიდა 90-იან წლებში თავისი ოჯახით. ორივე ვაჟმა ცოლი მოიყვანა, ორივეს სესხად მისცეს ფული, რომ სახლები აეშენებინათ, კაფე-ბარში მუშაობენ მიმტანებად და კრედიტსაც იხდიან, მანქანებიც აქვთ, კომპიუტერიც. წლეულს ჩამოვიდნენ სტუმრად. პენსიის შესახებ ვკითხე. ასაკის მიხედვით პენსიონერებს თვეში 1000 ევრო ჰქონიათ, I ჯგუფის ინვალიდებს კი 1600 ევრო, გარდა ამისა, ყველანაირი შეღავათი აქვთ მკურნალობისა და სანატორიუმებში დასვენების ჩათვლით.

ჩვენთანაც ასეა? პენსია 5 ლარი მოგვემატა, მეორე 5 ლარს კი თურმე მომავალ ნოემბერში მოგვიმატებენ. მეტი საშუალება ვერ გამოვნახეთო, გვიჭირსო.

კი, ბატონო, ქვეყანას თუ უჭირს, თქვენც გაიჭირვეთ ჩვენთან ერთად. მარტო 2007 წელს პარლამენტარებისთვის ახალი მანქანების შესაძენად 1 მილიონ 300 ათასი ლარი დახარჯულა. ახლაც, გარემონტებული პარლამენტის ბევრ ოთახში კვლავ სარემონტო სამუშაოებია, ესაა ქვეყანას უჭირსო?

ჩვენ ხომ ცივილური სახელმწიფო ვართ, ანდა უნდა ვიყოთ მომავალში მაინც, მაგრამ მარტო თქვენს თავზე ნუ იფიქრებთ, იფიქრეთ ხალხზე, თორემ რა გამოდის, პარლამენტის წევრები, უმეტესად უმრავლესობის ფრაქციიდან, როცა დეპუტატები აღარ არიან, ვერ ურიგდებიან ჩვეულებრივ ცხოვრებას, და... იწყება კრიტიკა, პარლამენტი არ გვივარგა, მთავრობა ვერ მუშაობსო, ერთი თუ ორი მაგალითია ასეთი? დავფიქრდეთ ამაზეც.

ახლა გაგაცნობთ რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ხილითა და ბოსტნეულით მოვაჭრე რამდენიმე ადამიანის ნაამბობს, როცა მათ ამ მოძრავი ურიკების შესახებ შევეკითხე:

**თამარ ცნობილაძე**, ჭიათურელი, 3 შვილის დედა: მოძრავი ურიკებით როგორ უნდა ვიმუშაო, როცა ერთ ადგილზე ძლივს ვმუშაობ? მთელი დღე ფეხზე ვდგევარ, ჭიათურაში სამუშაო არაფერია, თორემ აქ როდი ჩამოვიდოდი. ახლა აღარ სჭირდებათ ჩვენი ხმები? რატომ ყოველთვის არჩევნების შემდეგ მოიფიქრებენ ახალ რამეს, რომ გაგვანერვიულონ?

გვესმის, რომ ასე არ შეიძლება, მაგრამ გამოგვიყონ ტერიტორია და მოგვცენ უფლება ჩვეულებრივად, როგორც ახლა ვვაჭრობთ, ისე ვივაჭროთ, დღეში 8-10 ლარი მრჩება, ისიც თუ ამათ მივეცი, სახლში რა წავიღო?

**გენადი ცომაია**, აფხაზეთიდან ლტოლვილი: ავადმყოფი კაცი ვარ, მაგრამ მაინც ვმუშაობ, დილის 5 საათზე უკვე სადგურში ვარ, იაფად რომ ვიყიდო ხილი. სხვისი ნაყიდი მე როგორ უნდა გავყიდო? ან ქუჩა-ქუჩა ვიწანწალო 60 წლის კაცმა? ბორბლებიან ურიკებზე თვითონ დასხდნენ და ნახონ როგორ ივლიან. ნუ გაგვამწარებენ, თორემ მოვა კიდევ არჩევნები...

**მარო სალაყაია**: კი, გვითხრეს ურიკების შესახებ, მაგრამ არც ერთი მოვაჭრე არ დათანხმდება ასეთ ვაჭრობაზე. ახალწლამდე, ალბათ, დაგვაცდიან, მერე კი აგვყრიან აქედან, მაგრამ, გთხოვთ, დაწეროთ — ჩვენ ურიკებით ვერ ვივლით. ან სამუშაო მოგვცენ, დაგვასაქმონ, ან ადგილი შეგვირჩიონ, სადაც ერთმანეთის გვერდით დავდგებით და ვივაჭრებთ. არ დაგვეთანხმებიან და ნახავთ, ქალბატონო, რას ვიზამთ.

— შეაშინებთ ვინმეს?

— შიში რა შუაშია. ჩვენს ძალას ვაჩვენებთ მთავრობას, მეტს არაფერს. ისედაც ასე გამწარებულ ყოფაში ვართ, ბევრს ვითმენთ, მაგრამ მოთმინებასაც ხომ საზღვარი აქვს? ბუნტი უნდათ? მიიღებენ ბუნტს.

**ნაზი იმნაიშვილი**

თვითმხილველი იხსენებს

# ტრაგედია, რომელიც 20 წლის წინათ მოხდა

**დიახ, 7 დეკემბერს 20 წელი სრულდება სომხეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრისგან. ვიხსენებ იმ ტრაგიკულ დღეს, როგორც თვითმხილველი (8 დეკემბერს ქართველი მაშველები უკვე ადგილზე ვიყავით), რათა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ჩვენი ხალხების ისტორიულ ძმობასა და კეთილმეზობლობას.**

საქართველომ პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი მოძმე სომეხ ხალხს მისთვის მძიმე ჟამს. მეორე დღესვე უბედურების რეგიონში ჩავიდა 6 ათასზე მეტი ქართველი სპეციალისტი. გაიგზავნა დიდძალი ტექნიკა, სასწრაფო დახმარების სხვადასხვა დარგის და პროფილის ბრიგადები. მაშინ საქართველომ შეიხიზნა 80 ათასამდე დაზარალებული, ქართველთა ხელით აშენდა ულმობელი სტიქიით დანგრეული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სკოლამდელი აღზრდისა და სამედიცინო დაწესებულებები, აღსდგა გზები, ხიდები, რკინიგზის მომსახურე ობიექტები, საკომუნიკაციო ქსელები. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები დაუყოვნებლივ და შეუზღუდავად შეასახლეს საქართველოს კურორტების მომსახურე შენობებში, ჯანმრთელობის კერებში, საერთო საცხოვრებლებში, სასტუმროებში.

იმ გაჭირვების ჟამს სომხეთის დახმარების შტაბს ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამაგალითო პიროვნება, აწ განსვენებული ზურაბ ჩხეიძე. თავად შტაბში კი გაერთიანებული იყვნენ საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირები.

მახსოვს, უბედურების საწყის ეტაპზე, როცა სომხეთში სატელეფონო კავშირებიც კი მოშლილი იყო, ადგილზე სიტუაციისა და აუცილებელ მოთხოვნათა დასადგენად, ჩემთან ერთად, ყოველ მესამე დღეს, სპიტაკში ჩადიოდა მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი მერაბ ესვანჯია, რომლის ლამაზი ცხოვრების ნაადრევად დასრულებაში გავლენა, ვფიქრობ, უბედურების რაიონში ნანახმა და განცდილმა უთუოდ იქონია.

სომხეთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დაჩქარებაში მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ ისახელა თავი. იმათგან გამორჩეული იყო აწ განსვენებული სანდრო გლურჯიძე, რომელმაც სამაშველო სამუშაოების ადგილობრივი შტაბის მუშაობას წარმატებით გაართვა თავი. ჩვენ შორის აღარ არი-



ან აგრეთვე იმჟამინდელ ტრაგედიასთან ვაჟკაცურად მებრძოლი ქართველები გივი გამყრელიძე, გივი ჩოხელი, ლევან თოფურია, შოთა ეცადაშვილი, მიხეილ ლვინჯილია, შალვა ლუხუტაშვილი, ზეზვა ღულუნიშვილი და სხვები. ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას.

უბედურების რეგიონში ამოქმედდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილი ტრესტი „სომხეთმშენი", რომლის მმართველი ზაურ მაჭავარიანი მიწისძვრით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად დიდი თავდადებით ილვწოდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ტრესტი მანქანა-მექანიზმებით, მასალებით, კონსტრუქციებითა და კადრებით ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო.

აღდგენითი და სამაშველო სამუშაოების წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით იოსებ ხარატიშვილს, ომარ მარგველაშვილს, დამირ მანჯგალაძეს, თეიმურაზ დავითაშვილს, ირაკლი მენაღარიშვილს, ოთარ კერესელიძეს, ანდრო ზოდელავას, ბორის ჭილვარიას და მრავალ სხვას.

დიდი იყო მოძმე სომხეთისადმი აჭარის, აფხაზეთის, ცალკეული ქალაქებისა და რაიონების თანადგომა, რაშიც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქუთაისის, ბათუმის, გორის, სენაკის, ფოთის, გურჯაანის, ხარაგაულისა და საგარეჯოს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. დრომ ამ შემთხვევაშიც შეასრულა მკურნალის როლი, აღსდგა დანგრეული ქალაქები და სოფლები, ცხოვრება იქ დიდი ხანია ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, დავიწყებას არასოდეს მიეცემა ურთიერთთანადგომისა და დახმარების გაკვეთილები, რომელიც ორი მოძმე ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. ამ ტრადიციისადმი ერთგულების გამოვლინებაა ოფიციალური სომხეთის რეაგირება ავანტიურისტთა ერთი ჯგუფის მიერ ბოლო პერიოდში გაღვივებულ პრეტენზიებზე ტერიტორიული თუ სასულიერო ნაგებობათა კუთვნილების თაობაზე. მჯერა, რომ ორი უძველესი მეზობელი ერის ურთიერთპატივისცემასა და სუვერენიტეტს ასეთი გამოხდომები ზიანს ვერ მიაყენებს.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.**

ყოფა

# „ვანოს შოუ“ სახალხო ბანკში

**ისეთ სისულელეებს ლაპარაკობდა ბაჩო გობეჩია, რომ „ვანოს შოუს“ შეშურდებოდა (ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა მიხეილ ამირიძე). ისხდნენ და უსმენდნენ პენსიონერები და ქალაქის პატარა სკვერს თანდათან ეპარებოდა ბინდი, თუმცა, რაღა „სისულელეს“? — ალალად გამოთქვამდა კაცი თავის გულისტკივილს და, არ იყო ეს ნათქვამი ჰაერში გამოსაკიდი, ტკიოდა კაცს და მტკივანს ვინ აუკრძალა კვნესა?**

— „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...“ — სპირიდონ დონდუზაშვილი კი, ცალკე იჯდა და ხმამაღლა ითვლიდა რაღაცას.

— რას ითვლი სპირიდონ, ჩემო?.. რა გაგიხდა დასათვლელი? — სევდიანი ღიმილით ჰკითხა პერტაიამ, თანამოსაუბრენი „პერტას“ რომ ეძახდნენ.

— რას ჩემო „პერტა“ და, ბანკებს ვითვლი!.. რამდენი ბანკია ახლა საქართველოში, თუ იცი, შენ?

— არასოდეს არ დამითვლია, შე კაცო!.. რაც „ზევითაა“ სამი იმდენი „ქვემოთ“ იქნება, ალბათ!.. მე იმაზეც მადლობელი ვარ საარჩევნოდ ხელი რომ გამიმართეს! — თქვა „პერტამ“

— ა, ბატონო, „პერტას“ რამდენიმე კაპიკი მისცეს და თავისი ხმა გაყიდა... ამიტომაც ვართ ასე!.. — „აიტაცა“ ბაჩო გობეჩიამ თავისი „აგიტაცია“.

— რა გინდათ, ხალხო, ამ ბანკებისგან?.. იცით რაოდენ ძნელია საბანკო საქმე? — კატეგორიულად შენიშნა არმენ ილიჩმა, — მე 50 წელიწადი ვიმუშავე ამ დარგში და ვიცი!

— მუშაობდი, თორემ, შენც ბანკის მმართველი იყავი, რაღა!.. კარებში იდექი დარაჯად...

— რომ ვიდექი, შე კაცო, 50 წელიწადი ისე მაინც მოვკრავდი ყურს ბევრ რამეს!.. — იხტიბარი არ გაიტეხა არმენ ილიჩმა.

გამომწვევად თქვა: რეკლამებს მაინც არ უყურებთ, რამხელა ქველმოქმედებას და აქციებს აწყობენ ბანკები?..

— რეკლამებს კი!.. მოგეცა ლხენა! — ჩაიქირქილა ბიჭია ბოჭორიშვილმა.




— იმას რატომ არ იკითხავთ, საიდან მოიტანეს ის მილიონები, რომლითაც თავიანთი საქმე დაიწყეს? — იკითხა სპირიდონმა.

— საიდან და... ა, შეხედე „ს...“-ს (იმ სახელს არ გავამჟღავნებ, რომელიც დიდი მოწიწებით წარმოთქვა ბაჩომ და ყველა იქ მყოფმა იცოდა ისედაც! — **ზ. ფ.**ძ დილიდან აქ ზის, პურის ნატეხი და ბოთლით წყალი უდგას გვერდით და იმითია მთელი დღე! არავის აწუხებს, არის თავისთვის, არადა, პროფესორი იყო ეს კაცი, თავის საქმის უბადლო ოსტატი... ფულიც საკმარისი ჰქონდა და დაფასებაც. სალაროშიც საკმაოდ ჰქონდა ანაბარი, სიბერის ჟამს გამომადგებაო, იტყოდა, ხოლმე. ჯერ ისევ ჯეელი იყო ცოლი და ორი შვილი რომ დაეღუპა ავტოკატასტროფაში და მერე ოჯახი არ შეუქმნია!.. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული სახელმწიფომ „შეიტყაპუნა“!.. პენსია კი წამლებისთვის არ ყოფნის!..

...ვიღაცამ „ააროხროხა“ „სალამოს ბაღი“. მაღალი, სქელულვაშა, ჯანმაგარი მოხუცი შემოუერთდა „მობაასეებს“.

— აბა, გამარჯობათ, ძმებო! როგორა ხართ, ხომ გიდგათ სული? რაზე ბჭობთ, თქვე საცოდავებო? ჭამეთ რამე დღეს, თუ გუშინდელივით მშიერი ჰყრიხართ დღესაც?..

— ო, „როხროხ“, შენა ხარ?.. ვართ რა, არა გვიშავს, არა გვიშავს!.. ეგ რა გიჭირავს ხელში?

— აი, სახალხო ბანკმა, აქცია დაიწყო!.. — და „როხროხამ“ ხმამაღლა წაიკითხა „ბუკლეტი“ — „აქციის მთავარი პრიზია 2-კაციანი საგზური ეგვიპტეში!.. ხელიდან არ გაუშვათ მოგების შანსი!..“

— რას გაძლევენ, „როხროხ“, ამ აგიტაციაში?..

— რას მაძლევენ და ხურმის წიპწას! რა უნდა მომცენ ამ მათხოვრებმა, ახლაც არჩევნები ხომ არ არის?.. გოგუაძეს ვენდოზითო“ გააკრეს ბილბორდები ისნის რაიონის ყოველ გაჩერებაზე და ჩამოხსნა დაავიწყდათ... ბევრი დაუჯდა, ეტყობა, სახალხო ბანკს გოგუაძის არჩევნები.

— რაღა სახალხო ბანკი?! ყველა ბანკმა შემოიღო ე. წ. მომსახურებისათვის საგადასახადო...

— ჰოდა, ჩვენ გვახდევინებენ ახლა!.. ბანკის სერვისიო და დენის, გაზის, წყლის და სხვა გადასახადებზე ცალ-ცალკე 50 თეთრს რომ გვაწერენ ყოველთვე!..

— 500.000-მდე ოჯახიაო გადამხდელი თბილისში!.. ახლა მთელი საქართველო დაუმატეთ!.. მარტო თბილისიდან მილიონ ლარზე მეტი შესდით ყოველთვიურად!.. იმის მაგივრად, რომ „თელასს“ და „თბილწყალს“ გადაახდევინონ ის 50 თეთრი, ხალხს ფცქვნიან!..

...ისხდნენ ბერიკაცები და გულს იოხებდნენ.

ღამე ილეოდა თანდათან. ჩვენმა „გმირებმაც თანდათან აიკრიფეს გუდანაბადი და „ვანოს შოუს“ მიაშურეს. ტელევიზორში თავისივე სისულელეზე თვითონ იცინოდა გადაცემის წამყვანი. სანამ ჩაეძინებოდათ, იცინოდნენ ჩვენი გმირებიც...

**ზაურ ფიფია**

მედიასიცრუე

# მყიდველი როგორ იქნება, როცა გასაყიდი არაფერია?



**ენგურჰესი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურია. იგი არა მხოლოდ ზომითა და სიმძლავრითაა გამორჩეული, არამედ ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შედეგად მსოფლიოში ერთ-ერთ უნიკალურ ენერგეტიკულ ობიექტად გადაიქცა, რომლის კაშხლის ტანი კონფლიქტის მონაწილე ერთ მხარესაა, სამანქანო დარბაზი კი, ანუ მართვის პულტი — მეორე მხარეს.**

ბოლო დროს რუსეთული მედიის ზოგიერთი გამოცემის ასევე რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობით, საქართველომ რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური გამოიტანა გასაყიდად, მათ შორის ენგურჰესიც და ამ წინადადებამ თითქოს აზერბაიჯანი დააინტერესა. თუმცა ამის წინააღმდეგია სოხუმი, რის შესახებ ცოტა ხნის წინათ იუწყებოდა, მაგალითად, „ნეზავისიმაია გაზეტა“.

ასევე რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ სს „აზერენერჟის“ თავკაცის მარლენ ასკეროვის განცხადებას, თითქოს აზერბაიჯანს შეუძლია გახდეს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროსადგურების პრივატიზების პროცესის მონაწილე. ბაქო, პრინციპში, მზად არის ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროსადგურების გასხვისებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ, ვინაიდან ამ სადგურების შესაძენად საჭიროა დიდი ოდენობის თანხები, საკითხი აზერბაიჯანის მთავრობაში უნდა გადაწყდესო.

ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთული მასმედიის გამოცემებით გავრცელებული ეს ინფორმაცია უარყვეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, სადაც, კერძოდ, განაცხადეს, რომ **ყველა საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ჰიდროელექტროსადგური უკვე გასხვისებულია, ხოლო რაც შეეხება ენგურჰესს, იგი სახელმწიფო საკუთრებაში და ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში რჩება. ასევე არ დაადასტურეს რუსეთული გამოცემის ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში, სადაც აღნიშნეს, რომ ჰიდროელექტროსადგურების პრივატიზების პროცესი ქვეყანაში სადღეისოდ მთლიანად დასრულებულია.**

ეს რაც შეეხება საკითხის არსს, მაგრამ საქმე სხვა რამ არის. ჩვენი აზრით, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რაში სჭირდება „დამოუკიდებელ“ თუნდაც „ნეზავისიმაია გაზეტას“, სხვა საინფორმაციო საშუალებებს, დეზინფორმაციის გავრცელება, რომელიც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს საქართველოში ისედაც უკიდურესად დაძაბულ ვითარებას? ანდა სად არის ჟურნალისტური კეთილსინდისიერება და პროფესიული ეთიკა? თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ნეზავისიმაია გაზეტას“ მასალაში აღნიშნულია, რომ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის შამბას თქმით, აზერბაიჯანი ყველა შემთხვევაში უარს მიიღებდა და რომ ეს პოზიცია „პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული“.

ვფიქრობთ, თქმა არ უნდა, რომ ამგვარი პროვოკაციული მასალების გამოქვეყნება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, რაც სამხრეთ კავკასიაში ვითარების ყველა შესაძლო ხერხით დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად.

**ოთარ ტურაბელიძე**

მხარე

# დედოფლისწყაროში გაუდაბნოებასთან ბრძოლა დაიწყეს

**გაეროს ექსპერტების მიერ მომზადებული სკანდალური დასკვნიდან გაირკვა, რომ საქართველოში რამდენიმე რაიონში გაუდაბნოების საფრთხე რეალურია. ექსპერტები ამბობენ, რომ გაუდაბნოების თითქმის ყველა პარამეტრი მხოლოდ დედოფლისწყაროში გამოვლინდა: შეიცვალა კლიმატი, იმატა გვალვებმა, ქარის სიჩქარემ და სიხშირემ, ნიადაგები ეროზირებულია და დაბალნაყოფიერი, გაჩეხილია ტყეები, აღარ არსებობს ქარსაცავი ზოლები, სისტემატურად ირღვევა ძოვების რეჟიმი, რამაც დაბალნაყოფიერი გახადა საძოვრებიც. მოსახლეობისთვის ყველაზე დიდი პრობლემა წყალია, მათ შორის — სასმელი ...**



როგორც დედოფლისწყაროს გამგეობაში განაცხადეს, რაიონის ბედით, ბოლო დროს სერიოზულად დაინტერესდნენ კომპეტენტური ორგანოები. გამოიკვეთა პერსპექტივები დედოფლისწყაროში ტყის პლანტაციების, ქარსაცავი ზოლების გაშენებისა და სარწყავი სისტემების აღდგენის თვალსაზრისით. ამაში გარკვეული წვლილი შეიტანა ადგილობრივმა ექსპერტმა ირა გაიპარაშვილმა, რომელმაც ფერმერებთან თანამშრომლობით უტყუარი მასალები მოიპოვა არსებული მდგომარეობის შესახებ.

მართალია, გამგეობაში მიიჩნევენ, რომ დედოფლისწყაროს გაუდაბნოებასთან საბრძოლველად რაიონის ხელმძღვანელობამ ქმედითი ღონისძიებები დასახა, მაგრამ ადგილობრივები ასეთ შეფასებას გაზვიადებულს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ გაუდაბნოების საფრთხე ყოველწლიურად იზრდება და გაცილებით სერიოზული მუშაობაა საჭირო. დედოფლისწყაროელები აცხადებენ, რომ იმხანად, სემინარზე მისულ გამგეობის თანამშრომელთა უმრავლესობამ, არაკომპეტენტურობის გამო ბევრი ვერაფერი გაიგო...

„დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობამ უპირველეს პრობლემად სწორედ მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება ცნო და ახალი წყალსადენების მშენებლობა დაიწყო, რისთვისაც მიმდინარე წლებში მილიონობით ლარი გაიხარჯა. ქალაქ დედოფლისწყაროს 22-წლიანი პაუზის შემდეგ სასმელი წყლის მიწოდება 24-საათიანი რეჟიმით ახლახან აღუდგა, — აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებლის პრესმდივანი ანა ბენაშვილი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანადგომით დაუკავშირდა ადგილობრივი ხელისუფლება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (გტზძ, რომელმაც საკმაოდ მასშტაბური თანხები გამოყო აღნიშნული პროექტის დედოფლისწყაროში განსახორციელებლად.

„ამ საქმის წამოწყებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტროსაც. ამ ცოტა ხნის წინათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ჰესენის მიწების სატყეოს და სანერგე მეურნეობის უფროსი ბატონი დიტერ მიულერი, ამ პროექტის ინიციატორი, ქალბატონი მარინა შვანგირაძე და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ბატონი გიორგი კოლბინი. ეს შეხვედრა ურთიერთგაცნობას და ცალკეული საკითხების დაზუსტებას ეხებოდა. გამგებელმა ლევან ბალაშვილმა მიიღო ის საჭირო ინფორმაცია, რაც ორი მხარის ურთიერთთანამშრომლობის წარმატებით წარმართვისთვის იყო საჭირო.“ — გვითხრეს გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

რამდენიმე დღის წინათ, დედოფლისწყაროს ვაშლოვანის ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან. გერმანულ მხარეს ბატონ მიულერთან ერთად, ამჯერად, გტზ-ის ექსპერტი ქალბატონი ბარბარა ლენგიც წარმოადგენდა. პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე, მის შინაარსზე ყურადღება გაამახვილა ბატონმა გიორგი კოლბინმა.

პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ქარსაფარი ზოლების აღდგენა, გაშენება, შემდეგ 46 ჰექტარზე ტყის საფარის, ხოლო საძოვრებზე ტყის კორომების გაშენება, რაც შეაჩერებს ნიაღვრებისგან საძოვრების დამეწყვრას, შეაკავებს და გაამრავლებს გრუნტის წყლებს, რომლებსაც ფერმერები საქონლის დასარწყულებლად გამოიყენებენ. ეს ყველაფერი კი ეკოლოგიური თვალსაზრისით, უკეთესობისკენ შეცვლის კლიმატს. პირველ რიგში მოწესრიგდება საკანონმდებლო საკითხები, რადგან ყველამ უნდა იცოდეს, ვის რა ეკუთვნის და რაზეა პასუხისმგებელი.

**ილია მარტყოფლიშვილი, კახეთიდან**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №136





## 4 დეკემბერი ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული იყო

# „გასაკვირვებლად მთელი იერუსალიმისა“...

**როგორ გამოიყურებოდა მარიამი, როგორი იყო უფლის დედის გარეგნული ხატი?**

წმინდა მამების, თეოფანესა და ნიკიფორეს თხზულებებში შემორჩენილია წმ. მარიამის გარეგნობის დეტალური აღწერა.

სასურველია ვიცოდეთ, რომ დახასიათებისას და აღწერისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ აღწერს, ვინ ახასიათებს ვინმეს თუ რაიმეს, პიროვნებასა თუ საგანს, როგორია მისი ჭვრეტის უნარი თუ მიზანი...

ბუნებრივია, რომ წმინდა მამები, როცა უმზერდნენ მარიამს და მის გარეგნობაში აღბეჭდილ სულიერებას ხედავდნენ, გარეგნულში შინაგან ბუნებას ჭვრეტდნენ, **„მარიამი იყო საშუალო სიმაღლის, ქერა, ოდნავ ოქროსფერი რომ გადადის, თვალები ნათელი, სუფთა, დაწმენდილი. გამოხედვა სწრაფი, გამჭოლი, წარბები ოდნავ დაშვებული მუქი ფერის, ცხვირი საშუალო, ბაგეები ვარდისფერი და ტკბილმოუბარნი. სახე არც მთლად მრგვალი, ხელის თითები მოგრძო.**

**მასში არ იყო არავითარი სიამაყე. ყველაფერში უბრალოება, ოდნავი მოჩვენებითობის გარეშეც კი. არავითარი განებივრება, გააზიზება. ყველაფერში სრული მორჩილება. ტანსაცმელს ატარებდა უბრალოს. უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივ ფერებს. ყოველ მის საქმეში ღვთიურად ანათებდა უხვი მადლი“.**

ქალწული მარიამის სულიერებით განმსჭვალული გონება და სიბრძნე მისივე გარეგნობაზე ირეკლებოდა.

ცხადია, წმინდა მამებისთვის სიბრძნის და განსწავლულობის მხოლოდ ამგვარი გამოვლინებაა მნიშვნელოვანი. ისინი ჯერ კიდევ ბავშვი მარიამის განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას, როგორც ღვთიურ ნიშანს, აღიარებდნენ: **„მარიამის გონება ღვთიურ საქმეებში ფლობდა ისეთ სიბრძნეს, რომელიც არავის კაცთაგანს არ გააჩნდა და არც არავის ექნება მომავალში“.**

წმინდა მღვდელმთავარი ეგნატე განმარტავს: **„სახელწოდებით „სული“ აღინიშნება ადამიანის გონიერი ნაწილი: მისი გონება, აზრი, გულისხმისყოფა, რაც უცხოა მხეცებისა და პირუტყვებისათვის, მაგრამ საერთოა ადამიანურ და ანგელოზებრივ ბუნებათათვის. ღმრთისმშობელი მარადქალწული მარიამი უმაღლესია ყველა ქმნილ გონიერ არსებათა შორის. იგი შეუდარებლად აღემატება თვით უმაღლეს ანგელოზებსაც – ქერუბიმებსა და სერაფიმებს, ყველა წმინდა ადამიანს. იგი – ყველა მიწიერი და ზეციური ქმნილების მფლობელი და დედოფალია“...**

* * *

მარიამი იყო სამი წლის გოგონა, როდესაც მშობლებმა **იოაკიმემ** და **ანამ** უფლისადმი მიცემული აღთქმა გაიხსენეს. ისინი ხომ წლების მანძილზე შესთხოვდნენ უფალს მიენიჭებინა მათთვის შვილი და მას ღმერთის სამსახურისთვის შესწირავდნენ.

რა ძნელი იქნებოდა სამი წლის მარიამის მშობლებთან განშორება, მაგრამ კარგად იცოდნენ – უფლისადმი მიცემული ფიცი უნდა აღსრულდეს.



სამი წლის მარიამი

იოაკიმემ და ანამ, რომლებიც ცხოვრობდნენ ნაზარეთში და სამეფო დინასტიის და მღვდელმთავრის შთამომავლები იყვნენ, მიიწვიეს ნათესავები, ახლობლები, სხვადასხვა ასაკის ბავშვები. მოამზადეს სანთლები... მარიამი ულამაზესი მეფური სამკაულებით შემოსეს...

გაემგზავრნენ და მესამე დღეს ჩავიდნენ ქალაქ იერუსალიმში. ეკლესია, რომელსაც უახლოვდებოდნენ, თითქოს შორიდანვე იხმობდა ამ კრებულს. ეს იყო ამაღელვებელი სანახაობა. **„სამი წლის მარიამს წინ მიუძღოდა პატარა გოგონების გუნდი, ანთებული სანთლებით. უკან მშობლები, ნათესავები, მეზობლები მიჰყვებოდათ, სანთლებით, გალობით... „გარს ეხვეოდნენ მარიამს, ვითარცა ვარსკვლავნი კაშკაშა მთვარესა, გასაკვირვებლად მთელი იერუსალიმისა“...** წერს დეკანოზი დ. ღამბაშიძე.

წმ. თეოფილაქტე ხატოვნად აღწერს ამ საოცარ მოგზაურობას: **„ბრწყინვალედ გამოდის ის მამის სახლიდან, დიდებით აცილებენ მას მონათესავენი, მეზობლები და მშობლების მეგობრები... ქალწულნი ღაღადებით მიუძღვიან ქალწულ მარიამს, მსგავსად მთვარესთან ერთად მნათობ ვარსკვლავთა დასისა. მთელი იერუსალიმი გამოეფინა სამი წლის ქალწულის საკვირველი მოგზაურობის საყურებლად. არა მარტო ქვეყნიური იერუსალიმის მცხოვრებნი, არამედ წმინდა ანგელოსნიც გამოცხადდნენ, რათა იხილონ დიდებული ტაძრად მიყვანება“.**

იოაკიმი და ანა უკან, სახლში გამგზავრებისას, დალოცეს მღვდელმთავრებმა და მღვდელებმა...

**მარიამი იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს აღსაზრდელად. თვითმხილველები წმინდა ამბროსი და წმინდა ეპიფანე მოწმობენ: „იგი იყო მახვილგონიერი და სწავლა უყვარდა. ხშირად კითხულობდა საღმრთო წერილს და მასზე ფიქრობდა. მისი გონება ყველას აკვირვებდა. ხშირად ართავდა მატყლს, ქარგავდა... განსაკუთრებით უყვარდა ისეთი ტანსაცმლების ქარგვა, რომლებსაც მღვდლები ხმარობდნენ ხოლმე ღვთისმსახურების დროს“...**

გადიოდა წლები... ძლიერდებოდა მარიამის ლოცვა.

* * *

ერთხელ შუაღამისას, ლოცვისას, მაღლიდან უჩვეულო ნათელი გამობრწყინდა და მოესმა იდუმალი ხმა: **„შენ შობ ძესა ჩემსა“...** ეს მამა ღმერთის ხმა იყო... მარიამის გული მოულოდნელი და უჩვეულო სიხარულით აღივსო.

დრო გადიოდა... ქალწული მარიამი აგრძელებდა მხურვალე ლოცვას.

ცნობილია, რომ ლოცვის დროს ხდება იდუმალი შეერთება ღმერთთან. ლოცვის პროცესში იცვლება ადამიანი და მის წინ იშლება ღმერთის შეცნობის უსაზღვრო შესაძლებლობანი. სულის მთელი ენერგია უხილავი მადლისკენ მიედინება. ჭეშმარიტი, გულწრფელი ლოცვა არ შეიძლება იყოს ცალმხრივი. როგორც მოციქული პავლე ამბობს: **„არამედ, მადლია იგი ღმრთისაი“...**

ქალწული მარიამი კითხულობდა ხელით გადაწერილ წინასწარმეტყველთა სქელტანიან წიგნებს. გულისყურით უსმენდა მათ საოცარ გამონათქვამებს.

ბრძენი წინასწარმეტყველები, ღმერთის შთაგონებით, საუბრობენ ახლო თუ შორეული მომავლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე. ბავშვმა მარიამმა უკვე იცოდა, რომ წინასწარმეტყველთა არსებობა და წარმოთქმული სიტყვები ადამიანთა ერთგვარი გაფრთხილებაა, ღვთის ნების გამოცხადებაა, მოცემული ნიშანია, რაც ერთდროულად უნდა დავინახოთ და ვიგრძნოთ...

და ქალწულმა მარიამმა დაინახა მისი მომავალი ცხოვრების მისია...

# ჭაჭის ხსოვნისთვის, საჭურბლოსთვის, ჭეშმარიტებისთვის...

**ბერონტი ქიქოძის ქალიშვილი რუსულენოვან ინტერნეტსაიტზე 2008 წლის 31 აგვისტოს განთავსებული ერთი ფალსიფიცირებული ინფორმაციის შესახებ**



2008 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში, როდესაც რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ საქართველოს სანიმუშოდ დასჯა განიზრახა, როდესაც რუსეთის სამხედრო ავიაცია უმოწყალოდ ბომბავდა საქართველოს ქალაქებს, სოფლებს, ანადგურებდა საქართველოს ინფრასტრუქტურას, მიწასთან ასწორებდა მამა-პაპათა ნაფუძნარზე აგებულ სახლებს, სათუთად მოვლილ ბაღ-ვენახებს, პურისა და სიმინდის ყანებს, ტყის რელიქტურ მასივებს, ხოლო მშიერ-მწყურვალი რუსი ჯარისკაცები გააფთრებით იტაცებდნენ ყოველივეს, რაც ხელში ხვდებოდათ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა საქართველოს, ფაქტობრივად, მეორე ფრონტი გაუხსნა. რუსეთის ტელე-რადიო მაუწყებლობა, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია გეგმაზომიერად აყალბებდა არა მხოლოდ აგვისტოს უპრეცედენტო მოვლენებს, არამედ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ძალზე მნიშვნელოვან ასპექტებს. ამგვარი, ყოვლად უზნეო, ერთ-ერთი ფალსიფიკაციის შესახებ „საპატრიარქოს უწყების“ 11-17 სექტემბრის №131-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან შევიტყვე, რომლის

→

ავტორმა მარიამ გაგუამ, იგი ასე დაასათაურა: „საქართველო და ქართული ეკლესია საინფორმაციო ომის ქარცეცხლში“. **საკითხი ეხება ერთ-ერთ რუსულენოვან ინტერნეტსაიტზე (www.osinform.ru) 2008 წლის 31 აგვისტოს ნომერში განთავსებულ ფალსიფიცირებულ ინფორმაციას, რომელიც, ავტორის მტკიცებით, თითქოსდა გერონტი ქიქოძის მიერ 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის ფრაგმენტს წარმოადგენს. იგი შემდეგი შინაარსისაა:** „Î òðûâîê èç ñòàòüè îäíîãî ãðóçèíñêîãî ó÷åííîãî, ôèëîñîôà, äîêòîðà èñòîðè÷åñêèõ íàóê, ïðîôåññîðà Ãåðîíòè Êèêîäçå: Äî ñèõ ïîð íå óñòàíîâëåíî, êòî ìû è îòêóäà íàñ íåñåò íàøà ñóäüáà, ãäå ìû æèëè. Íàñ íå ëþáèëè è íå äàâàëè æèòü ñîñåäè. Îíè íåíàâèäåëè íàñ. Ìû íå çíàëè íà ÷òî íàì íàäååòñÿ. Âîò òàê ìû ïðîâîäèëè íàøè äíè â îäèíî÷åñòâå – ñëîâíî ñïóñòèëèñü ñ íåáà. Íàø ÿçûê îòëè÷àåòñÿ îò ÿçûêîâ äðóãèõ íàðîäîâ, îòëè÷àåòñÿ íå ìèðîâîççðåíèå,íàø õàðàêòåð, ó íàñ åñòü ñâîè îñîáåííîñòè è òðàäèöèè ïðàâäà ìû áûëè èçãíàíè èç íàøèõ çåìåëü íàøèìè ñîñåäÿìè, îíè íå îñòàâèëè íàñ òàì, à Àëàíû (ïðåäêè íûíåøíûõ îñåòèí) íàñ ïîæàëåëè, ïðèþòèëè,äàëè íàì çåìëè è ïðèëàñêàëè. Îíè îáó÷àëè íàñ ñâîåìó âîåííîìó äåëó, ïåðåäàëè ñâîþ êóëüòóðó, ñâîè îáû÷àè, çàùèòèëè íàñ îò âíåøíèõ âðàãîâ. Ãåðîíòè Êèêîäçå, ãàç. „Ñàêàðòâåëî“, 1917.“ (სტილი დაცულია).

# მამის ხსოვნისთვის, სამშობლოსთვის, ჭეშმარიტებისთვის...

**მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ მოყვანილი ინფორმაცია თავიდან ბოლომდე შეთხზულია. დავიწყოთ იქიდან, რომ გერონტი ქიქოძე არც ისტორიკოსი ყოფილა, არც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და არც პროფესორი. შემდეგ: ვინც მის მოღვაწეობას, შემოქმედებას, მოქალაქეობრივ პოზიციას, აზროვნებისა და წერის სტილს მეტ-ნაკლებად მაინც იცნობს, ვერასოდეს დაიჯერებს, რომ მოყვანილი ფრაგმენტი (რომელიც ალბათ საგანგებოდ საკმაოდ მდარე რუსულითაა შესრულებული!) მის კალამს ეკუთვნის. უფრო მეტიც, არც მის პირად არქივში, არც გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე, არც სხვა რომელიმე გამოცემაში, არც 1917 წელს, არც მანამდე და არც შემდგომ მოყვანილი შინაარსის ტექსტი გერონტი ქიქოძის ავტორობით საერთოდ არ არსებობს.** პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის №124-ში მართლაც გამოქვეყნდა გერონტი ქიქოძის პოზიციის ამსახველი სტატია, სათაურით: **„ოსების საკითხი“**, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, იგი აბსოლუტურად სხვა შინაარსისაა და არაფერი საერთო რუსულ ინეტრნეტსაიტზე (www.osinform.ru) განთავსებულ, უხეიროდ შეკოწიწებულ ფრაგმენტთან არა აქვს. აი, რას წერდა გერონტი ქიქოძე 1918 წელს გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე: **„ჩვენ არ ვიცით სად გადაწყდება ოსობის საკითხი, პარლამენტში თუ ბრძოლის ველზე, ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ეს საკითხი საქართველოს შინაური საკითხია. ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ ჩვენ ისტორიულ ტერიტორიაზე. ჯავის ხეობის ოსები ისევე შედიან ამ ტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აბხაზები ან ბორჩალოს მაზრის თათრები... ოსებს აქვთ თავიანთი ენა, მაგრამ არა აქვთ ლიტერატურა და ეროვნული კულტურა. ამიტომ შეუძლებელია ოსურ კულტურულ ან ტერიტორიულ ავტონომიაზე ლაპარაკი. მით უმეტეს, შეუძლებელია, რომ ცალკე ოსური სახელმწიფო მოეწყოს, რომელიც ჯაველი ფანტაზიორების გეგმით, საქართველოს რესპუბლიკას უნდა შეუკავშირდეს ფედერაციულად. ცალკე სახელმწიფოს დაარსება ისე ადვილი საქმე არ არის, როგორც ოსის მეჯოგეებს წარმოუდგენიათ... და საკმარისია, რომ საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ მართლაც „ღია დასტოვოს სამხრეთ ოსეთის საკითხი“, რომ ჯავის ხეობამ მწვავედ იგრძნოს მთელი უბედურება უპატრონოდ დარჩენილი პირველყოფილი თემისა.“**

რადგან ერთიდაიმავე პიროვნებას, ერთიდაიმავე გაზეთში, ერთიდაიმავე საკითხზე, ასე დიამეტრულად განსხვავებული თვალსაზრისები უბრალოდ არ შეეძლო გამოეთქვა, ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია! რუსული ინეტრნეტსაიტის ავტორის ყოვლად უზნეო საქციელი, რასაკვირველია, შემეძლო ყოველგვარი კომენტარისა და რეაგირების გარეშე დამეტოვებინა (სხვათა შორის, ამას ბევრი ჩემი ახლობელიც მირჩევდა), მაგრამ, როდესაც რუსეთის სახელმწიფო მანქანის დაკვეთით რუსი ვაიჟურნალისტები საქართველოსათვის დიდად დამაშვრალი მოღვაწეების ღირსებას ხელყოფენ, მათთვის სასარგებლო, სპეციალურად შეთხზულ ინფორმაციას საერთაშორისო საზოგადოებასთან ამ მოღვაწეთა ნააზრევად „ასაღებენ“, მიმაჩნია, რომ დუმილი ჩვენი წინაპართა ხსოვნის ღალატის ტოლფასია!

რაც შეეხება რუსული ინტერნეტსაიტის ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას ქართველთა პირველსაცხოვრისისა და სამხრეთ კავკასიაში ოსთა წინაპრების უძველესი დროიდან ვითომდა განსახლების შესახებ, იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიული გეოგრაფიის მონაცემთა საფუძველზე დიდი ხანია დასაბუთებულია სამხრეთ კავკასიაში, ანუ საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე, ქართველთა ავტოქტონობა. ასე რომ, არც არსაიდან მოვსულვართ და არც არავინ დაგვხვედრია. ინტერნეტსაიტის ავტორს იმასაც შევახსენებ, რომ ძვ.წ. IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის ტერიტორიაზე, ქართული სახელმწიფო უკვე არსებობდა, იმ დროს როდესაც სამხრეთ კავკასიაში ვითომდა ჩვენი „მასპინძლები“ ალან-როქსო-ალან-ირონ-ოსებიოვსები-იასები, არა ქართული, არამედ ოსური და რუსული სამეცნიერო ლიტერატურის მოწმობით, ძვ.წ. I საუკუნეში ჯერ კიდევ აზოვისპირეთისა, მდინარე დნეპრის ქვემოწელსა და სამხრეთ ურალს შორის გადაჭიმულ ტერიტორიაზე არაბინადარ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, ხოლო ახ.წ. IV საუკუნეში მათი ერთი ნაწილი ჰუნებთან ერთად, სამხრეთ ევროპის მიწა-წყლის თარეშით ირჩენდა თავს. აშკარაა, რომ რუსული ინტერნეტსაიტის ავტორს ცოდნის საკმაოდ დიდი დეფიციტიც აქვს და თანაც უკეთური დაკვეთების „ბეჯითი“ შემსრულებელიცაა. მისატევებელი არც ერთია და არც – მეორე!

**მანანა ქიქოძე,**
ისტორიკოსი.
თბილისი, 2008 წლის ოქტომბერი



გერონტი ქიქოძე



ნათია ამირაჯიბი,
მანანა ქიქოძე,
როდამ ამირაჯიბი

**მანანა ქიქოძის კომენტარი:**

**„ეს ფოტო თბილისის ერთ ძველ ფოტოატელიეში გადავიღეთ. ნათია და როდამ ამირაჯიბები არა მარტო ჩემი მკვიდრი ბიძაშვილები, არამედ უახლოესი ადამიანები არიან... იმ დროისთვის ნათია ე. წ. „გიკში“ (მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიული ინსტიტუტი) სწავლობდა... როდამი სახკინოში მუშაობდა... მე უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი მქონდა დამთავრებული...**

**ძალიან მეძვირფასება ეს ფოტოსურათი“...**

ქალბატონ მანანას გარეგნულ თუ სულიერ მშვენიერებასთან დრო და წლები უკან იხევს... ის ძალიან ბევრს კითხულობს, წერს... ამჟამად მუშაობს მოგონებათა წიგნზე, პირობითი სათაურით: „მამაჩემი – გერონტი ქიქოძე“.

**ჩანართზე მუშაობდნენ**
**ნინო ხოფერია**
**და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნატოს გენერალური მდივანი რუსეთის შესახვედრად ნაბიჯს ამართლებს




**ნატოს გენერალური მდივანი ამართლებს ნაბიჯს რუსეთის შესახვედრად, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, როდესაც უკეთებს კომენტარს ალიანსის გადაწყვეტილებას მოსკოვთან ურთიერთობის განახლების შესახებ.** „რუსეთი იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რომ ნატოს არ გააჩნია რუსეთთან კონტაქტების ალტერნატივა“, – განაცხადა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა. ამავე დროს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ურთიერთობა რუსეთთან ძნელი მოსაწესრიგებელია, ვიდრე მას თავი უსამართლობის მსხვერპლად მიაჩნია.

გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატოს პირველი კონტაქტები რუსეთთან იქნება არაფორმალური და შეეხება მხოლოდ პოლიტიკის საკითხებს. ამ კონტაქტების შედეგების მიხედვით იგი მოახსენებს ალიანსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს თავის აზრს იმის შესახებ, ღირს თუ არა ურთიერთობათა გაღრმავება. დე ჰოოპ სხეფერის აზრით, ალიანსის ურთიერთობა რუსეთთან არ დაბრუნებია ნორმალურ კალაპოტს, თუმცა თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ავღანეთის პრობლემა, კონტრტერორისტული საქმიანობა და ბრძოლა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით გრძელდება.

„თანამშრომლობა შეუძლებელია ისეთი ცნების კონტექსტში, როგორიცაა გავლენის სფერო. უნდა გავერკვეთ, გახდა თუ არა საქართველოს მოვლენები წყალგამყოფი – მე პირადად იმედი მაქვს, რომ არ გამხდარა და შევეცდები არ დავზოგო ძალ-ღონე, რომ ეს არ მოხდეს“, – აღნიშნავს დე ჰოოპ სხეფერი.

ნატო დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მოსკოვმა შეასრულოს თავისი აგვისტოს ვალდებულებანი ჯარების გამოყვანის შესახებ ომამდელ პოზიციებზე, აღნიშნავს ავტორი.

„საბოლოო კომუნიკეში, რომელიც 22-ჯერ გადასცეს, ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთხმად მოიწონეს ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების გეგმა ევროპაში და მოუწოდეს რუსეთს მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება თანამშრომლობის გაფართოების შესახებ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში“, – წერს გამოცემა.

დოკუმენტში არ არის ნახსენები ობამას სკეპტიკური გამონათქვამი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ და სარკოზის განცხადება იმის შესახებ, რომ ეს სისტემა არაფრით არ განამტკიცებს უშიშროებას, უფრო მეტიც, გამოიწვევს რეგრესს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

შეხვედრის მონაწილეებმა დაგმეს რუსეთი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების შეჩერების შესახებ და განაცხადეს, რომ დღევანდელი სიტუაცია, როდესაც ხელშეკრულებას ასრულებენ ევროპელი მონაწილეები და არა რუსები, არ შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ.

ევროპაში უშიშროების ახალი სტრუქტურის შესახებ მედვედევის წინადადების კომენტირების დროს ალიანსის გენერალურმა მდივანმა განაცხადა: „ნატოს გაუქმება მოლაპარაკებათა შედეგად, რის შესახებაც იყო საუბარი, აბსოლუტურად შეუძლებელია“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა, რომელიც მართავდა პრესკონფერენციას დე ჰოოპ სხეფერთან ერთად, გამოთქვა კმაყოფილება მინისტრების შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით, მათ შორის, გადაწყვეტილება, დააჩქარონ ალიანსის პროგრამის განხორციელება უკრაინასა და საქართველოში რეფორმებისთვის ხელშეწყობის შესახებ.

რუსეთის სრულუფლებიანმა ელჩმა ნატოში დიმიტრი როგოზინმა კმაყოფილება გამოთქვა რუსეთთან კონტაქტების განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. ტელეკომპანია „ვესტი-24“-ის საიტზე მან განაცხადა, რომ ნატოში შეიქმნა აშკარა ბზარი, რომელიც გაიზრდება ალიანსის შემდგომი გაფართოების მცდელობის დროს.

„იააპ დე ჰოოპ სხეფერმა თქვა, რომ როგოზინმა შეიძლება ილაპარაკოს რაც მას სურს, ხოლო ამერიკის ადმინისტრაციამ რუსეთის წარმომადგენლის გამონათქვამს ყალბი ლაყბობა უწოდა, რომელიც გათვლილია რუსეთის აუდიტორიაზე“, აღნიშნავს გამოცემა.

შეხვედრის მონაწილეებს არ უდავიათ ნატოს მოქმედებაზე ავღანეთში, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი პრეზიდენტია. „მაგრამ ყველამ იცის, რომ ობამა მოითხოვს ევროპელი მოკავშირეებისგან გამოყოს მეტი ჯარები, ფული და სპეციალისტები ეკონომიკის აღსადგენად.

**სტივენ ერლანგერი.**

The New York Times

ქართველი ექსპერტის აზრი



# ეხ, ჯულიეტო, ჯულიეტო, ძველ ხელობას დაუბრუნდი?

**რუსეთი იგებს ჩვენთან ინფორმაციულ ომს და ეს უკვე ცხადია. დღე არ გავა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა გაზეთში არ გამოქვეყნდეს ანტიქართული ინტერვიუ ან სტატია.** ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, მწვავე კრიტიკა მიმართულია მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ და არ შეეხება საქართველოს. ვერ დავეთანხმებით ამ თვალსაზრისს, ვინაიდან რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არეული ჭუჭყი სვრის მთელ საქართველოს.

რუსეთის ძალისხმევით ევროპასა და ამერიკაში მიმდინარეობს მძაფრი დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გაისროლა პირველმა და ვინ დაიწყო „აგვისტოს ომი“. ის კი, თუ რატომ არ სრულდება სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ყველა პუნქტი, რატომ ახორციელებს რუსეთი საქართველოს ანექსიას და რა უნდოდა ათასობით რუს ჯარისკაცს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, „ძველი ევროპის“ ლიდერებს უკვე აღარ აინტერესებთ.

რუსეთის ხელმძღვანელობისთვის დეზინფორმაციის მნიშვნელობის სწავლა ჩვენი საქმე არ არის. მით უმეტეს საბჭოთა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მიერ აღზრდილი ვლადიმერ პუტინისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ ვერ გამოძებნეს ახალი მეთოდები და ხერხები მსოფლიოს დასაბნევად და ჯერ კიდევ იყენებენ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მოძველებულ მეთოდებს. ადრე ხდებოდა ასე: რომელიმე ქვეყნის პატარა გაზეთში, რომელსაც აფინანსებდა საბჭოთა დაზვერვა, ქვეყნდებოდა ანტიამერიკული სტატია. მას უმალვე ბეჭდავდნენ საბჭოთა ცენტრალური გაზეთები, შემდეგ კი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის კომუნისტური გაზეთები იტაცებდნენ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის კაბინეტში შექმნილ სიცრუეს და „უმაღლესი დონის სენსაცია“ უკვე მზად იყო. იგი დღესაც ანალოგიურად მოქმედებს და იყენებს ზეგავლენის ძველ გამოცდილ აგენტებს. ნაფტალინიდან ამოღებულ ხანდაზმულ უცხოელ მწერლებს, ჟურნალისტებს ან პოლიტიკოსებს, რომლებიც ემსახურებოდნენ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, ახეტიალებენ ქვეყნიდან ქვეყანაში, რომლებიც უხვად იძლევიან ინტერვიუს და იქცევიან როგორც კლოუნები, რათა აჩვენონ მთელ მსოფლიოს, თუ როგორი ცუდები არიან ქართველები და როგორ ვერაგულად გაანადგურეს უბედური აფხაზები და ოსები.

მაგრამ დღეს ჩვენ ვისაუბრებთ რუსეთის „იძულებით მეგობარზე“ – იტალიაზე. იტალიელთა დიდმა ნაწილმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ მათი შესანიშნავი ქვეყნის პოლიტიკური მომავალი ათეული წლების განმავლობაში იგეგმებოდა მოსკოვში. 1920-იანი წლებიდან დაწყებული, იტალია გახდა საბჭოთა სპეცოპერაციების დაგეგმისა და განხორციელების ერთგვარი შტაბ-ბინა... საბჭოთა სპეცსამსახურები აფინანსებდნენ, წვრთნიდნენ და წარმართავდნენ ტერორისტული ორგანიზაციის „წითელი ბრიგადების“ მთელ საქმიანობას. არსებობს ინფორმაცია, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრის ალდო მოროს მოტაცება და მკვლელობა დაიგეგმა სწორედ კრემლში.

დღეს ჩვენთვის საინტერესოა იტალიელი ევროპარლამენტარის ჯულიეტო კიეზის ანტიქართული აქტიურობა. 2008 წლის 11 აგვისტოდან დაწყებული, არ გავა დღე, რომ კიეზამ არ გამოაქვეყნოს სტატია ან ინტერვიუ, სადაც საქართველო და ქართველები დახატული არიან, როგორც მოძალადეები და ბარბაროსები. მისი სტატიები და ინტერვიუები „შემთხვევით“ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ რუსეთის ხელისუფლების მიერ მოგონილ ბრალდებას ჯერ კიდევ 8 აგვისტოდან საქართველოს წინააღმდეგ. ჯულიეტო კიეზა, რომელიც ახალგაზრდობიდანვე იყო გატაცებული მარქსისტული იდეოლოგიით, 1960 წლიდან იყო იტალიის ახალგაზრდა კომუნისტთა ხელმძღვანელი, 1980-90-იან წლებში იყო იტალიელთა კომუნისტების მთავარი გაზეთის „უნიტას“ კორესპონდენტი მოსკოვში, ხოლო 1990-2000 წლებში ხელმძღვანელობდა იტალიური გაზეთის „ლა სტამპას“ მოსკოვის ბიუროს. საერთო ჯამში მან მოსკოვში 20 წელი გაატარა. 2004 წელს კიეზა გახდა ევროპარლამენტის წევრი იტალიის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიისგან. ჯულიეტო არასდროს მალავდა თავის აღფრთოვანებას საბჭოთა და რუსეთის ხელისუფლების მიმართ და გამოაქვეყნა ამ „საყვარელ“ თემაზე დაახლოებით 10 წიგნი და ასეულობით სტატია.

კიეზას განსაკუთრებულ აღტაცებას პუტინი იწვევს და ის ამას არც მალავს. ის პათოლოგიურად ვერ იტანს ამერიკის შეერთებულ შტატებს და ამ ქვეყნის ყველა სტრატეგიულ მოკავშირეს. უკანასკნელი 6-9 წლის განმავლობაში კიეზა მეტად აქტიური გახდა.

**ბესიკ ალადაშვილი**

Грузия Online
информационно-аналитический портал

# ევროკავშირი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს განიხილავს მხოლოდ როგორც პარტნიორებს

**ევროკავშირის ხელმძღვანელობამ განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ, გახსნას „ახალი თავი“ ექვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან, მაგრამ არ შესთავაზა მათ ევროკავშირთან მიერთების გზა.**

ევროკომისიამ განაცხადა, რომ ევროკავშირის „აღმოსავლური პარტნიორობის“ ინიციატივით, ექვს ქვეყანას – სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსიას, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას – შეუძლიათ დადონ ყოვლისმომცველი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მართვის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით და თანდათანობით განახორციელონ ინტეგრაცია ევროკავშირის ეკონომიკაში.



რუსეთის ჯარების საქართველოში შეჭრით შეშფოთებული ევროკავშირის ლიდერები პირველ სექტემბერს სთხოვდნენ ევროკომისიას, დააჩქაროს მუშაობა პარტნიორობის პრინციპებზე.

გეგმის ძირითადი მიზანია, რომ გამოიკვეთოს ევროკავშირის როლი და განმტკიცდეს რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რომელიც მდებარეობს ევროპის ბლოკსა და რუსეთს შორის და რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საქართველოში შეჭრის შემდეგ გავლენის სფეროს „პრივილეგია“ უწოდა.

„ამჟამად არ არის ცივი ომი. არ უნდა იყოს არავითარი გავლენის სფეროებიც“, – განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ.

ბელორუსის მონაწილეობა დამოკიდებული იქნება ევროკავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, რომელმაც ოქტომბერში შეარბილა ზოგიერთი სანქცია, ამ ქვეყანას რომ დაადეს 2006 წელს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ რეპრესიებთან დაკავშირებით.

უკრაინისა და საქართველოსთვის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ზუსტი დაპირებების არ ქონა, რომ ისინი ოდესმე გახდებიან ევროკავშირის წევრები. ნატომაც ამ კვირაში გადაწყვიტა, არ გადაედგა რაიმე ოფიციალური ნაბიჯები ალიანსში ამ ორი ქვეყნის გაწევრებასთან დაკავშირებით.

ამის ნაცვლად პარტნიორობა ემყარება ისეთ წინადადებებს, როგორიცაა „პაქტები მობილურობისა და უშიშროების შესახებ“, რომლის თანახმადაც ექვსი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის გაიოლდება ევროკავშირში მოგზაურობა. აგრეთვე მიღებული იქნა დამატებითი ზომები კორუფციასთან, ორგანიზებულ დანაშაულობასთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის შესახებ.

კომისია დაჰპირდა, რომ შეისწავლის ევროკავშირის შრომის ბაზარზე შეღწევის გაიოლების შესაძლებლობას ექვსი სახელმწიფოსთვის.

**ტონი ბარბერი.**

FINANCIAL TIMES

როგორ მოვუაროთ თავს?

# ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელთ არის

## გვირჩევენ, გავითვალისწინოთ





## ფრთხილად, მამრებო!

**მამაკაცის უნაყოფობის 14 მიზეზი:**

ინფექციები, რომლებიც გადადის სქესობრივი გზით;

რეპროდუქციული სისტემის ანთებითი დაავადებანი: ორქიტი (საკვერცხის ანთება), ეპიდიდიმიტი (საკვერცხის დანამატის ანთება), პროსტატიტი (წინამდებარე ჯირკვლის ანთება);

შარდსასქესო სფეროს განვითარების ანომალია;

სისხლძარღვთა დაავადებანი: ვარიკოცელე (სათესლე ჯირკვლის ვენების ვარიკოზული გაგანიერება), ათეროსკლეროზი;

ინფექციური დაავადებანი: პაროტიტი (ყბაყურა), ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, მუცლის ტიფი, მალარია, სეფსისი;

სასქესო ორგანოების ტრავმები;

გარემოზუნების არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედება და პროფესიული მავნეობანი: რადიაცია, ტყვიით, მანგანუმით, ფოსფორით, გოგირდმჟავით, ამონიუმით, ბენზოლით და ა. შ. მოწამვლა;

მავნე ჩვევები: მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია;

ენდოკრინული სისტემის სხვადასხვა დაავადებანი: ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზედა, კუჭქვედა ჯირკვლების, ჰიპოფიზის, ღვიძლის, თირკმელების დაავადებანი;

სხეულის გადახურება: ნებისმიერი წარმომავლობის ციებ-ცხელება, მუშაობა მაღალი ტემპერატურის პირობებში (მეფურნეები, ფოლადის მდნობელები, ჩამომსხმელები, ცეცხლფარეშები);

ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის მიღება (ანტიბიოტიკები, სულფინილამიდები, ცისტოსტატიკები, ჰორმონები, ანაბოლიკები);

დაუბალანსებელი კვება, ა, ბ, ც, დ, ე, ვ ვიტამინების, თუთიის უკმარისობა, შიმშილი;

სისტემატური სტრესი და ზედმეტი ფიზიკური გადაღლილობანი;

აუტოიმუნური დარღვევები.

* * *

ქორწინება ითვლება უნაყოფოდ, თუ ფეხმძიმობა არ დაიწყო 12 თვის შემდეგ რეგულარული სქესობრივი ცხოვრებიდან. ეს ვადა განსაზღვრულია სტატისტიკურად. დადასტურებულა, რომ ჯანსაღი ცოლქმრული წყვილის 30 პროცენტს ფეხმძიმობა ეწყება ერთობლივი ცხოვრების პირველი 3 თვის პერიოდში, 60 პროცენტს შემდგომ 7 თვის განმავლობაში, დანარჩენ 10 პროცენტს – 11-12 თვის შემდეგ სქესობრივი ცხოვრების დაწყებიდან.

## რჩევები ტურისტებს

**იმათ, ვინც ეგზოტიკურ ქვეყნებში აპირებენ დასვენებას, სპეციალისტები ურჩევენ:**

ტროპიკულ ქვეყანაში დალიონ მხოლოდ ბოთლის წყალი;

ბაზარზე შეძენილი ეგზოტიკური ხილი ან უნდა გაიფცქვნას, ან უნდა მოიხარშოს;

საჭმელად გამოიყენონ მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებმაც გაიარეს თერმული დამუშავება, ნედლი გაყინული დელიკატესები სათქვენო არაა;

როდესაც პლაჟზე მიდიხართ, არ დაივიწყოთ პირსახოცი და პლაჟის ჩუსტები. ფეხშიშველა სიარული, ტროპიკულ ქვიშაზე ჯდომა ან წოლა – დიდი სარისკო საქმეა;

იგივე შეეხება სხვადასხვა პარაზიტებით სავსე ტროპიკულ მტკნარ წყალსაცავებში ბანაობას. თუ ერთხელ ჩაყვინთავთ თვალისმომჭრელ ტბაში ან მდინარეში სადმე ცენტრალურ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში ან ინდოეთში, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ საქართველოში დაბრუნდებით შისტოსების (ეგზოტიკური პარაზიტების მეტად საშიში სახეობაა, რომელიც აღწევს შარდსასქესო ორგანოებში და სწორი ნაწლავის სისხლძარღვებში) მთელი კოლექციით;

შეძლებისდაგვარად, ეცადეთ თავი აარიდოთ კოღოების კბენას (იმ ქვეყნებში, სადაც ისინი საშიშია). ტურისტული მგზავრობის წინ მოიმარაგეთ რეპელენტების (ცუდი სუნის მქონე პრეპარატები, რომლებსაც იყენებენ მწერების დასაფრთხობად), ადგილზე ჩასვლის შემდეგ კი რეგულარულად წაისვით ისინი ტანზე. ძილი ჯობია ფარდის ქვეშ (ასე უფრო საიმედოა), ღამით კი ჩართეთ ფუმიგატორი;

ეგზოტიკური ვოიაჟიდან დაბრუნების შემდეგ თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, თუ სისუსტე გაგიჩნდათ, ან თუნდაც უმნიშვნელოდ აგიწიათ ტემპერატურამ, ნუ გადადებთ – მიაკითხეთ ექიმს. გახსოვდეთ: ეგზოტიკური დაავადებები ხშირად გვევლინებიან საყოველთაოდ ცნობილი ავადმყოფობის ნიღბით და დიდხანს თავს არ ავლენენ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც დასვენების დროს შეძენილი სენი თავს ავლენდა ეგზოტიკურ ქვეყანაში მოგზაურობიდან რამდენიმე წლის შემდეგ.



* * *

გამგზავრების წინ აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან, რათა იცოდეთ, თუ რა საფრთხე შეიძლება გელოდოთ, და თუ საჭირო გახდება, დაიზღვიეთ თავი პროფილაქტიკური აცრებით. ყველაზე გავრცელებული და აუცილებელია – ყვითელი ციებ-ცხელების (ის აუცილებელია აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების უმეტესობისათვის), ა და ბ ჰეპატიტის (ის აქტუალურია კულტურის დაბალი დონის სამხრეთის რეგიონებისათვის, ავსტრალიისა და სინგაპურის გარდა), მუცლის ტიფის (ჩრდილოეთ აფრიკა, ინდოეთი, შუა აზია) აცრები;

იმათ, ვინც მიემგზავრება ხანგრძლივი ეგზოტიკური მივლინებით, ასევე ხშირად სთავაზობენ გაიკეთონ საბავშვო ინფექციების (წითელა, დიფტერია, ტეტანუსი), მენინგიტის, იაპონური ენცეფალიტის აცრები. აცრების შესახებ უნდა ვიზრუნოთ ადრევე – გამგზავრებამდე ერთი თვით, მინიმუმ – ათი დღით ადრე. როდესაც კომერციულ სამედიცინო ცენტრებს მიმართავთ, მოითხოვეთ ლიცენზია, რომელიც იძლევა ვაქცინაციის ნებართვას.

ვიდრე ვაქცინაციას გაიკეთებდეთ, ექიმი ვალდებულია აილოს სინჯი. თუ აღმოჩნდა, რომ პრეპარატზე პაციენტს აქვს ალერგია, ექიმმა უნდა განსაზღვროს რისკები.

## ნაყოფის რისკი შეიძლება ნულამდე დავიყვანოთ

**მინდა ბავშვი გავაჩინო. მაგრამ აღმომიჩინეს, ჰეპრესის ვირუსი. სახიფათო ხომ არ არის?**

**თამუნა ც. სიღნაღი**

**უპასუხებს ექიმი იმუნოლოგ-ალერგოლოგი ჟანა ფოფხაძე.**

– ჰერპესის ვირუსი ფართოდ გავრცელებული ვირუსული ინფექციაა. ზოგიერთი შეფასებით, მოზრდილი მოსახლეობის 90 პროცენტამდე ჰერპესის მატარებელია. ვირუსისაგან მთლიანად გათავისუფლება შეუძლებელია. თავისი „აშკარა“ კლინიკური სახით ჰერპესის ვირუსი ჩნდება ორგანიზმის წინააღმდეგობის შემცირების, ე. ი. იმუნური სტატუსის დროს. ორსულობაზე არასასურველ გავლენას ახდენს არა ვირუსის არსებობის ფაქტი, არამედ მისი აქტიურობა. ამიტომ ფეხმძიმობის დაგეგმვის დროს უნდა გაიაროთ გამოკვლევა, რომელიც საშუალებას მოგცემთ განსაზღვროთ ორგანიზმში ჰერპესვირუსული ინფექციის აქტიურობა და მიმდინარეობა. ვირუსის არამშვიდი მდგომარეობის დროს ინიშნება მკურნალობა, რომლის მიზანია სისხლის მაჩვენებლების სტაბილიზაცია და იმუნიტეტის შენარჩუნება. ფეხმძიმობის დროს უნდა აკონტროლოთ ვირუსის აქტიურობა. ამ დროს სათანადო პროფილაქტიკური კურსი საშუალებას მოგცემთ, თავიდან აიცილოთ ნაყოფისა და ახალშობილის ინფექცირება აქტიური ჰერპესი ვირუსის დროსაც კი. თუმცა ფეხმძიმობის დროს აქტიური ვირუსსაწინააღმდეგო თერაპია უნდა მოხდეს ფრთხილად და მხოლოდ მკურნალი ექიმის კონტროლის ქვეშ. მაგრამ შობისა ნუ შეგეშინდებათ! ნაყოფის ინფიცირების რისკი ხომ ნულამდე დადის, თუ ორსულობას მოეკიდებით მთელი სიფრთხილით.

## აგრესიული ქალები ბიჭებს ბადებენ

**ლიდერობისადმი მიდრეკილების მქონე, აგრესიული ქალები უფრო ხშირად ბიჭებს აჩენენ, ვიდრე გოგონებს.** ამას ადასტურებს გამოკვლევა, რომელიც მოაწყვეს ახალ ზელანდიაში. გამოკვლევამ გამოავლინა კავშირი დედის ტესტოსტერონის დონესა და მომავალი ბავშვის სქესს შორის. დოქტორმა ვალერი გრანტმა თავის კოლეგებთან ერთად ოკლენდის უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის დეპარტამენტიდან მოაწყვეს ცდები ძროხებზე და აღმოაჩინეს, რომ ის წყვილჩლიქოსნები, რომლებსაც მაკეობის დროს ტესტოსტერონის დონე მაღალი აქვთ, შობენ მამრობითი სქესის მემკვიდრეებს. კავშირს ტესტოსტერონის დონესა და ბავშვის სქესს შორის ხსნის ცნობილი ფენომენი, რომელსაც „ომის დროის ფენომენს“ უწოდებენ. იგი ვლინდება აშკარა დისპროპორციაში გოგონებისა და ბიჭების რაოდენობას შორის კატაკლიზმებისა და ომების შემდეგ. წინა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სტრესი ზრდის სისხლში ტესტოსტერონის დონეს, აგრეთვე გამოავლენს ურთიერთკავშირს ქალებში. ლიდერობისადმი მიდრეკილებასა და ტესტოსტერონის უფრო მაღალ დონეს შორის.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სპერმატოზოიდები იგრეკ-ქრომოსომებით, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალი ბავშვის მამრობით სქესს, მეტი ალბათობით ანაყოფიერებენ კვერცხუჯრედს, თუ მასში ტესტოსტერონის დონე ამაღლებულია.

## თუ გაქვთ დროის შეგრძნება?

**რატომაა, რომ ზოგი მუდამ ავრალის რეჟიმში მუშაობს, სხვები კი აკეთებენ თავიათნთ საქმეს მშვიდად და დროულად?** ხშირად ეს დამოკიდებულია არა იმაზე, რომ მოგაყარეს ძალიან ბევრი დავალება, არამედ იმის უნარზე, თუ რამდენად შეგიძლიათ მართოთ თქვენი დრო.

1. თუ გჩვევიათ დაგვიანება?

ა) არა, დაგვიანება გარშემო მყოფთა უპატივცემულობად მიმაჩნია.

ბ) ვცდილობ დროზე მივიდე, მაგრამ მოულოდნელი სიტუაციისგან არავინაა დაზღვეული.

2. დღიურებს თუ აწარმოებთ?

ა) დიახ, ეს მეხმარება დავგეგმო ჩემი სამუშაო.

ბ) არა, მახსოვს, თუ რა უნდა გავაკეთო ჩანაწერების გარეშეც.

გ) ვერ ვხედავ ამის საჭიროებას – ცხოვრებას მუდამ შეაქვს კორექტივები ჩვენს გეგმაში.

3. ლანძღავთ საკუთარ თავს დღისათვის განსაზღვრული საქმის შეუსრულებლობის გამო?

ა) დიახ. სხვაგვარად სამუშაოს უდიდესი ნაწილი შეუსრულებელი დარჩებოდა სამუდამოდ.

ბ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე ჩემი სიზარმაცე და არაორგანიზებულობა იყო.

გ) არა. უბრალოდ, გაუკეთებელი საქმე გადამაქვს მომდევნო დღისათვის.

4. თუ შეგიძლიათ, რომ დღის ბოლოს თქვათ, რამდენი დრო დაკარგეთ უქმად?

ა) დიახ. ვცდილობ გავაანალიზო დროის დაკარგვის მიზეზები და აღარ დავუშვა ამგვარი რამე სხვა დროს.

ბ) შემიძლია, თუმცა მიახლოებით.

გ) დაკარგული დრო რომ ფულად იქცეს, ის უნდა დაითვალო.

5. რას გააკეთებთ, თუ სამუშაო თათბირზე იწყება ამაო ლაყბობა?

ა) შევთავაზებდი, მიაქციონ ყურადღება საქმის არსს.

ბ) მშვიდად ვუსმენ და ველოდები, სანამ მომხსენებელი საქმეზე გადავა.

გ) ჩემს ფიქრებში ვეფლობი.

ყოველ „ა“ პასუხზე დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“-ზე – 2 ქულა, „გ“-ზე 3 ქულა.

თუ დააგროვეთ 5-დან 6-8 ქულამდე, თქვენ უნდა იზრუნოთ საკუთარ თავზე, რომ უფრო ორგანიზებული გახდეთ. თქვენ ძალიან ბევრ დროს კარგავთ უქმად, ამიტომ სულ მუდამ ჩქარობთ. სიჩქარეში ხშირად გავიწყდებათ დასახული გეგმები და საქმის ნაწილი შეუსრულებელი გრჩებათ. მეგობრები და ნაცნობები ხშირად გსაყვედურობენ დაგვიანების გამო, თქვენ კი გიჭირთ დაიანგარიშოთ, რამდენი დრო გჭირდებათ ამა თუ იმ სამუშაოზე. ნაკლისაგან თავის დასაღწევად შეეცადეთ წინასწარ დაგეგმოთ თქვენი დღე, საღამოს კი ანალიზი გაუკეთეთ, თუ რატომ ვერ შეძელით დასახულის შესრულება.



თუ თქვენი შედეგი 9-დან 12 ქულაა, ეს ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევებში თქვენ მართავთ თქვენს დროს. რასაკვირველია, ზოგჯერ თქვენი გეგმები იშლება, მაგრამ თქვენ ამის გამო თავს დიდად არ ლანძღავთ. შეიძლება, თქვენ ცოტა თვითდისციპლინა გაკლიათ, მაგრამ თქვენ პატიობთ ამას თქვენს თავს.

თუ თქვენი დაგროვილი ქულა 12-ზე მეტია, მაშინ თქვენი დროის შეგრძნებისა უნდა შეგშურდეთ. თქვენ ყოველთვის იცით, თუ რამდენი საათი ან დღე გჭირდებათ ამა თუ იმ სამუშაოსათვის, არასოდეს არ კარგავთ დროს უქმად. თქვენ გულწრფელად განიცდით ამაოდ დაკარგული საათის გამო, თქვენ წონასწორობიდან გამოყავხართ საავტომობილო „საცობებში“ დგომას ან ავტობუსის დიდი ხნით ლოდინს. შეეცადეთ, მიიტანოთ ასეთი უსიამოვნო შეყოვნებანი გულთან. მცირე დროს დაკარგვა არ ღირს თქვენს განცდებად.

◉ საღამოები

# ორი სამშობლოს სიყვარულით

**როცა საქართველოშია დაღესტანი ენატრება, როცა დაღესტანშია – საქართველო, – ამბობენ მასზე. ქალბატონი, რომელსაც ორი სამშობლო უთნია გულში – მანაბა გახლავთ, დიახ, უბრალოდ მანაბა, როგორც მას სიყვარულით მოიხსენიებენ, რაც რჩეულთა ხვედრია. ძალიან ტევადია ეს სახელი, რომლის მიღმაც იგულისხმება დიდი ხელოვანი, მხატვარი – ოქრომჭედელი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე.**

ოქრომჭედლობის ტრადიციებით სახელგანთქმულ დაღესტნის მთებში მდებარე სოფელ კუბაჩში დაბადებული მანაბა მაგომედოვა ექვსი წლიდან თბილისში გაიზარდა, რადგან მისი ოჯახი აქ გადმოვიდა საცხოვრებლად. აქ დაამთავრა სამხატვრო აკადემია, სადაც შემდეგ მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა.

მანაბა მაგომედოვას დიდი ძალისხმევა დასჭირვებია, რათა იგი – ქალი ეღიარებინათ როგორც ოქრომჭედელი. აღიარება კი მასთან ჭეშმარიტად ღირსეულად მოვიდა. ერთ ცნობილ კუბაჩელ ოსტატს უთქვამს: მანაბამ კაცების ბოსტანში ქვა ჩამოგვიგდოო.

მისი მრავალმხრივობის დასტურია ის, რომ იგი თანაბარი ოსტატობით ფლობს ოქროს, ვერცხლის და სხვა ლითონების დამუშავების მრავალფეროვან ხერხებს. როგორც ითავა აკაკი რამიშვილის ფონდმა – „ტრადიცია და ინოვაციამ“ (პრეზიდენტი მანანა დავითაშვილი) საქართველოს მხატვართა კავშირის თანადგომით.



საღამოზე, რომელსაც წარუძღვა ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილი, ბევრი რამ გაიხსენეს, მათ შორის ისიც, თუ როგორ გადაარჩინა თბილისის სამხატვრო აკადემია დახურვას მანაბას ნახელავმა. თურმე, სსრ კავშირის ყოფილ ლიდერს ნიკიტა ხრუშჩოვს 60-იან წლებში უბრძანებია რიგისა და თბილისის სამხატვრო აკადემიების დახურვა, რადგან მიაჩნდა, რომ პეტერბურგის აკადემიის არსებობა საკმარისი იყო. მაშინ თბილისის აკადემიის მესვეურებს მანაბასთვის უთხოვიათ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული იშვიათი ოქროს ყელსაბამის ასლის გაკეთება სასაჩუქროდ, რაც მას არაჩვეულებრივი ოსტატობით შეუსრულებია. ყელსაბამი მაშინდელ კულტურის მინისტრს ეკატერინე ფურცევას ძალზე მოსწონებია და აკადემიაც დახურვას გადარჩენილა, პირიქით, მაშინ აუშენებიათ აკადემიის ეზოში ახალი კორპუსი.

ქალბატონ მანაბასთან შეხვედრა დაუკავშირდა ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც კავკასიის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ახალი, 2009 წლის კედლის კალენდრის გამოცემას. „ქართული ხელოვნების ვარსკვლავები მანაბას სამკაულებით“, გამოსცა ასევე აკაკი რამიშვილის ფონდმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით.

კალენდარში დიდოსტატის სამკაულებს წარმოადგენს სამი მშვენიერი და სახელოვანი ქალბატონი: ლიანა ისაკაძე, სოფიკო ჭიაურელი და ნანი ბრეგვაძე. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული კალენდარი მის მფლობელს ხელოვანის შედევრებთან შეახვედრებს.

სპეციალისტები აღნიშნავენ, მის შემოქმედებაში შერწყმულია კუბაჩური და ქართული ტრადიციები. მხატვარმა სულ სხვანაირად დაინახა ქართული ჭედური ხელოვნება. მისი უნიკალური ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციებში, მარტო საქართველოს მუზეუმებში ინახება მისი 100-ზე მეტი ნამუშევარი. იგი რამდენიმე ავტობიოგრაფიული წიგნის ავტორია („მე კუბაჩელი ვარ“, „ტრადიციების კვალდაკვალ“, „ცხოვრების ჩუქურთმები“, „ოქრომჭედლის საწრეთლით“...ძ თავად მანაბას შემოქმედებაზე წიგნის ავტორი, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე კიტი მაჩაბელი აღნიშნავს: „მანაბა პიროვნულად პოეტია, რასაც ჰყვება, თითქოს ხედავ. მისთვის ნიშნეულია მადლიერების გრძნობის განცდა, ვისაც კი შეხვედრია ცხოვრების გზაზე და ხელი წაუშველებია, არავინ დავიწყებია, უწინარესად ეს ითქმის მის ქართველ მასწავლებლებზე, მხატვრებზე“...

დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მანაბა მაგომედოვა საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „რაზარესთან“ არსებული საოქრომჭედლო სახელოსნოს კონსულტანტია. მანაბას სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ქართულმა საზოგადოებრიობამ ახლახან თავი მოიყარა თბილისის საოპერო თეატრში, რათა დაბადებიდან 80 წლისთავი მიელოცათ და ერთხელ კიდევ აღენიშნათ მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. ეს შეხვედრა

* * *

**ალბათ, ასეც ჰქონდათ ჩაფიქრებული აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მესვეურებს საღამო, რომელიც უშუალობითა და სითბოთი გამოირჩეოდა, ასეც უწოდეს „მეგობართა წრეში“.** კამერულ დარბაზში თავი მოიყარეს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა – მეგობრებმა, რომლებსაც უყვართ ერთმანეთი და ჭიქა ყავაზე ერთხელ კიდევ მიეცათ ერთმანეთის მოფერების საშუალება. შეხვედრაზე ცენტრის თავმჯდომარემ სვეტლანა ქეცბამ და მისმა მოადგილემ ლია სეხნიაშვილმა სპეციალური მოწვევით დარბაზს წარუდგინეს სტუმრები – იუბილარები მანაბა მაგომედოვა და ცნობილი მუსიკათმცოდნე გულბათ ტორაძე. ამ უკანასკნელის საიუბილეო თარიღი ახლახან ფართოდ აღნიშნა მუსიკალურმა საზოგადოებამ.



საყოველთაოდ არის ცნობილი გულბათ ტორაძის თხრობის ხიბლი. დარბაზი გაახალისა მუსიკოსის მიერ ჩვეული იუმორით ნაამბობმა მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებმა, გამორჩენილ ადამიანებთან შეხვედრებმა. პიანისტი ვახტანგ ჟორდანია კი დროდადრო თავისი ხელოვნებით სასიამოვნო ემოციურ მუხტს მატებდა საღამოს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

## განცხადება

### საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრთა საყურადღებოდ

**2008 წლის 24 დეკემბერს ქ. თბილისში, რესტორან „აფხაზეთის“ დარბაზში (მტკვრის მარცხენა სანაპირო. კინოსტუდიის საცხოვრებელი სახლების მოპირდაპირედ) გაიმართება კავშირის წევრთა XXIV (საარჩევნო) კრება.**

რეგისტრაციის დასაწყისი 9.30 საათზე.

კრების მუშაობის დასაწყისი 10 საათზე.

კრების მონაწილის მანდატები გაიცემა საკ-ის ოფისში 8-დან 23 დეკემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 17 საათამდე.

**კრების დღის წესრიგი:**

1. საკ-ის გამგეობის ანგარიში;
2. საკ-ის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. საკ-ის მმართველი ორგანოების არჩევნები;
4. საკ-ის წევრის სტატუსის შესახებ.

**საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა.**

◉ ზამთრისპირა სევდა

# ...რომ არ ჩაგვიქრნენ თვალებში ვარსკვლავები

## რევაზ ინანიშვილის მუზეუმის გახსნას საშველი არ დაადგა

**20 დეკემბერს რევაზ ინანიშვილს 82 წელი შეუსრულდებოდა. ის ისე უჩინრად წავიდა ჩვენგან, ჩვიდმეტი წლის წინათ, ისე გამოგვეტაცა ძმათამკვლელი ომის ბურუსმა, რომ მაშინ საქართველომ ვერ გაიგო, ვის ჰკარგავდა.**

**დიდი ილიას „ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი“ ჰმოსავდა, ღვაწლი, რომელსაც დრო-ჟამი კიდევ უფრო გააბრწყინებს.**

**ახლა კი მწერლის ხსოვნას საბურთალოს №40-ში მისი მეუღლე, ქალბატონი როზა ინანიშვილი მოწიწებით უფრთხილდება. მისი მოგონებით ცოცხლდება მწერალი, თითქოს ისიც აქვეა, ჩვენს გვერდით, ზამთრისპირის სევდასთან ერთად ამსადა და მყუდრო ბინაში შემოპარულა და ბავშვური ღიმილით დაგვყურებს, თვალები კი ვარსკვლავებივით უბრწყინავს...**

**ქალბატონ როზას ყველაფერი ახსოვს, რაც მეუღლესთან აკავშირებდა, გაცნობის პირველი დღიდან დაწყებული დღემდე, სწორედაც რომ დღემდე, რადგან გაცნობა მწერლის გარდაცვალებით არ დასრულებულა. ის ახლაც გრძელდება – მონატრებით და მის შემოქმედებაში ჩამყუდროებით.**

**უჯარმა, ხაშმი, თბილისი... ისე მოვიდა სიყვარული, თავიდან რომ არც ელოდა... ქალბატონი როზა შვიდი წლით უმცროსი იყო მომავალ მეუღლეზე. რევაზ ინანიშვილი მის დასთან მეგობრობდა. მას უკვე გულში ჩავარდნოდა მეგობრის და.**



**„უჯარმაში, ეზოში ალუბლები გვედგა, – ყვება ქალბატონი როზა, – მწიფდა ეს ალუბლები და ჩემმა დამ რეზო ალუბლებზე დაპატიჟა... დგას ეს რეზო საწყალი, სამუშაო ტანსაცმელში, დიდი თმა ჰქონდა, ისეთი, როგორც ერთგან წერს, მღვდელი ჩამოვიდა უჯარმაშიო... დიდი თავი ხო ჰქონდა, თან გაშავებული იყო... გავბრაზდი ჩემს დაზე, ეს როგორი ამხანაგი ჰყოლია-მეთქი. რა ვიცოდი, ის თურმე მე მაკვირდებოდა.**

**ჩამოჯდა ბილიკზე, მავთული იპოვა და ისე გაუყარა ფეხსაცმლის ლანჩას, როგორც ლადო ასათიანზე დაწერა, დაიხარა და გადახლართაო. ამაზე სულ გადავირიე...**

**გავიდა რამდენიმე წელი და ჩემმა დამ მკითხა, რეზოს არ გაჰყვებიო. რეზოც მოიყვანა – გაკრეჭილი, ჩაკოსტუმებული. თან დაამატა, ამან არაფერი არ იცის, ჩემით გეუბნებიო.**

**დაგვპატიჟა რეზომ თეატრში, დავცქვიტე ყურები, საუბრობს და რას საუბრობს. ბიჭოს, ეს ვინ ყოფილა-მეთქი, მომეწონა. ისე მეპყრობოდა, პატარასავით. სუფთა გამოხედვა ჰქონდა. მერე კიდევ მოვიდა... თეატრში დავდიოდით... სადაც მიდიოდა, თან მივყავდი... სიმპათია გამიჩნდა მის მიმართ. მერე უკვე ყველგან მივდევდი – კუდაბზარასავით ჩაბმული მასზე. ველოდებოდი, მოვიდოდა რეზო და სადმე წამიყვანდა... მაინც ვფრთხილობდი – ეს სოფლელი გოგო, ჩამოსული, ათასი ავაზაკი ბიჭი დადიოდა... ზოგი რას მეუბნებოდა, ზოგი რას... სულ თავჩაღუნული დავდიოდი... დათრგუნული ვიყავი. გამიხარდა, რომ მცველი გამომიჩნდა რეზოს სახით და რაინდი ვიშოვე“...**

**მერე დაქორწინდნენ. ორი ვაჟი შეეძინათ. ერთად მიუყვებოდნენ წუთისოფლის გზაშარას, ათოვდათ სიხარული და მწუხარებაც... და რაც მთავარია, ყველა ტკივილსა და გაჭირვებას მწერლის მეუღლე მოთმინებით იტანდა, გვერდში ედგა მას და ძალას ჰმატებდა.**

**„ვცდილობდი, ბავშვებს არ შეეწუხებინათ, რომ მშვიდად ემუშავა. ერთხელაც იყიდა რეზომ ძეხვი, რაღაც კონსერვები და მითხრა, უნდა გადავათეთრო მოთხრობები და უჯარმაში წავიდეო. გაემგზავრა კიდეც, მაგრამ მეორე დღეს დილით შემოაღო სახლის კარები. შემეშინდა, რატომ დაბრუნდი-მეთქი, შევეკითხე, – ცუდად ხომ არა ხარ-მეთქი? არა, არაო... აბა, რატომ დაბრუნდი, რეზო? – გავუმეორე შეკითხვა.**

**ისევ თქვენი ხმაური მირჩევნია იმ სიწყნარეს, იქ ისეთი სიმშვიდე იყო, თავვი რომ გაირბენდა სხვენში, მიხაროდა ცოცხალი არსების ხმაურიო“.**

**ქალბატონი როზა იხსენებს იმასაც, როგორ მუშაობდა ბატონი რეზო.**

**„უცებ არასდროს არ წაიღებდა გამოსაქვეყნებლად. შინ უნდა დაედო თვეობით, მერე, როცა დარწმუნდებოდა, რომ ღირსეულად შეამოწმა და ისეთი არაფერი არ იყო, წაიღებდა რედაქციაში. ერთი სიტყვაც რომ არ მოსწონებოდა, მთელი კვირეები იტანჯებოდა. თუ მერე მიაგნებდა ამას და შესაფერის სიტყვას მოძებნიდა, მთელი მოთხრობა უნდა გადაეწერა. რადგან ასე ილეწებოდა, საშლელიანი ფანქრით მუშაობაში იპოვა გამოსავალი... წაშლიდა, ჩაასწორებდა და ასე გრძელდებოდა“...**

ქალბატონი როზა წუხს, რომ რევაზ ინანიშვილი სათანადოდ არ დააფასეს. სამწუხაროდ, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, სადაც დიდი მწერალი დაიბადა, რამდენიმე წელია ცას შეჰყურებს მისი სახლის ფარღალალა კედლები. ძველი, მამაპაპისეული შენობა იმ იმედით დაანგრიეს, რომ მის ადგილზე მუზეუმი აეშენებინათ, მაგრამ ამაოდ... არამც თუ კახეთის რეგიონში, არამედ თბილისის საკრებულოშიც ვერ გამოინახა სახსრები მშენებლობის დასრულებისთვის. ვისთან აღარ მივიდა ქალბატონი როზა, „სახელგანთქმული“ ბიზნესმენებიც მოინახულა, ყველამ უარით გამოისტუმრა – ფული არა გვაქვსო. „ივანიშვილთან ოფისში ვიყავი, უარი მითხრეს. კერვალიშვილთანაც ვიყავი. გაეცინა, სილნალს ვაშენებთ და საშუალება არა გვაქვსო. მენანება, რეზოს წიგნები რომ მივუტანე. ისეთი უპასუხისმგებლოები არიან... ყველა მატყუებს“...

მაინც უხარია, რომ მწერლის სახელობისაა №27 ბიბლიოთეკა და თბილისის 159-ე საჯარო სკოლა. არსებობს რევაზ ინანიშვილის ქუჩაც. აი, მუზეუმი კი? თბილისს ნამდვილად არ ეკადრება, რომ თანამედროვეობის საამაყო მწერლისთვის – რევაზ ინანიშვილისთვის ერთი ოთახი ვერ გამოინახა... თუ ჩვენს სულიერებას ჩვენვე არ მივხედეთ და ვუპატრონეთ, როგორც ბატონი რეზო ბრძანებდა, „ხელისგულებით ნალესი ქოხი“, ქოხი ჩვენი სიწმინდისა და სასოებისა თვალსა ხელს შუა ჩამოგვექცევა, თვალებში კი ციმციმს შეწყვეტენ წყვდიადის მანათობელი სიკეთის ვარსკვლავები.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ფეხბურთი

# ოქმის ენით



უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. IV ტური.

**„ა“ ჯგუფი.** სიტი – პსჟ 0:0, ტვენტე – შალკე 2:1. ისვენებდა რასინგი.

სიტი – 7, ტვენტე – 6, შალკე – 4, რასინგი, პსჟ – 2-2 ქულა.

**18 დეკემბერს ითამაშებენ:** პსჟ – ტვენტე, რასინგი – სიტი. ისვენებს შალკე.

**„ბ“ ჯგუფი.** მეტალისტი – ოლიმპიაკოსი 1:0, ჰერტა– გალათასარაი 0:1. ისვენებდა ბენფიკა.

გალათასარაი – 9, მეტალისტი – 7, ოლიმპიაკოსი – 3, ჰერტა – 2, ბენფიკა – 1 ქულა.

**18 დეკემბერს ითამაშებენ:** ოლიმპიაკოსი – ჰერტა, ბენფიკა – მეტალისტი. ისვენებს გალათასარაი.

**„გ“ ჯგუფი.** სტანდარდი – სამპდორია 3:0, სევილია – პარტიზანი 3:0. ისვენებდა შტუტგარტი.

სტანდარდი – 9, სევილია – 6, შტუტგარტი, სამპდორია – 4-4, პარტიზანი – 0 ქულა.

**18 დეკემბერს ითამაშებენ:** სამპდორია – სევილია, შტუტგარტი – სტანდარდი. ისვენებს პარტიზანი.

**„დ“ ჯგუფი.** სპარტაკი – ნაიმეგენი 1:2, უდინეზე– დინამო (ზაგრებიძ 2:1. ისვენებდა ტოტენჰემი.

უდინეზე – 9, ნაიმეგენი, სპარტაკი, დინამო (ზაგრებიძ – 3-3 ქულა.

**18 დეკემბერს ითამაშებენ:** ნაიმეგენი – უდინეზე, ტოტენჰემი – სპარტაკი. ისვენებს დინამო (ზაგრებიძ.

**„ე“ ჯგუფი.** ვოლფსბურგი – პორტსმუთი 3:2, ჰერენვეენი – ბრაგა 1:2. ისვენებდა მილანი.

ვოლფსბურგი – 9, მილანი – 7, ბრაგა – 6, პორტსმუთი – 1, ჰერენვეენი – 0 ქულა.

**17 დეკემბერს ითამაშებენ:** პორტსმუთი – ჰერენვეენი, მილანი – ვოლფსბურგი. ისვენებს ბრაგა.



**„ვ“ ჯგუფი.** სლავია – ჰამბურგი 0:2,ასტონ ვილა – ჟილინა 1:2. ისვენებდა აიაქსი.

ჰამბურგი, ასტონ ვილა, აიაქსი – 6-6, ჟილინა – 4, სლავია – 1 ქულა.

**17 დეკემბერს ითამაშებენ:** აიაქსი – სლავია, ჰამბურგი – ასტონ ვილა. ისვენებს ჟილინა.

**„ზ“ ჯგუფი.** ვალენსია – ბრიუგე 1:1, კოპენჰაგენი – რუსენბორგი 1:1. ისვენებდა სენტ ეტიენი.

სენტ ეტიენი – 7, ვალენსია – 5, ბრიუგე – 3, კოპენჰაგენი, რუსენბორგი – 2-2 ქულა.

**17 დეკემბერს ითამაშებენ:** სენტ ეტიენი – ვალენსია, ბრიუგე – კოპენჰაგენი. ისვენებს რუსენბორგი.

**„თ“ ჯგუფი.** ლეხი – დეპორტივო 1:1, ნანსი – ცსკა 3:4. ისვენებდა ფეიენოორდი.

ცსკა – 12, ნანსი, დეპორტივო – 4-4, ლეხი – 2, ფეიენოორდი – 0 ქულა.

**17 დეკემბერს ითამაშებენ:** დეპორტივო – ნანსი, ფეიენოორდი – ლეხი. ისვენებს ცსკა.

კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები



**ევროლიგის ჯგუფური ეტაპი. VI ტური.**

**„ა“ ჯგუფი**. ოლიმპიაკოსი – აველინო 91:66, ლემანი – უნიკახა 55:87, მაქაბი – ციბონა 88:83.

ოლიმპიაკოსი – 5, უნიკახა, ციბონა – 4-4, მაქაბი – 3, აველინო – 2, ლე მანი – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** ციბონა – ლე მანი, უნიკახა – ოლიმპიაკოსი (10 დეკემბერიძ, აველინო – მაქაბი (11 დეკემბერიძ.

**„ბ“ ჯგუფი.** პროკომი – სიენა 71:83, ბარსელონა – ნანსი 91:68, ჟალგირისი – პანათინაიკოსი 69:80.

ბარსელონა, სიენა, პანათინაიკოსი – 5-5, პროკომი – 2, ნანსი – 1, ჟალგირისი – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** სიენა – ჟალგირისი (10 დეკემბერიძ, ნანსი – პროკომი, პანათინაიკოსი – ბარსელონა (11 დეკემბერიძ.

**„გ“ ჯგუფი.** ოლიმპია – ხუვენტუდი 65:86, რომა – ალბა 70:64, ულქერი – ტაუგრესი 69:81.

რომა – 5, ტაუგრესი – 4, ხუვენტუდი, ულქერი – 3-3, ალბა – 2, ოლიმპია – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** ალბა – ულქერი (9 დეკემბერიძ, ტაუგრესი – ოლიმპია (10 დეკემბერიძ, ხუვენტუდი – რომა (11 დეკემბერიძ.

**„დ“ ჯგუფი.** მილანი – ცსკა 80:79, პანიონიოსი – რეალი 68:66, პარტიზანი – ეფესი 83:77.

ცსკა – 5, რეალი, პარტიზანი, პანიონიოსი – 3-3, ეფესი, მილანი – 2-2 მოგება.

**შემდეგი ტური:** ცსკა – პანიონიოსი,ეფესი – მილანი (10 დეკემბერიძ, რეალი – პარტიზანი (11 დეკემბერიძ.

ევროპის პირველობა

# ჯგუფური ტურნირი გაისად გაიმართება



**საქართველოს 17 წლის ფეხბურთელებმა ევროპის პირველობის საყვალიფიკაციო ეტაპი გადალახეს და ფინალში ითამაშებენ. წილისყრის შედეგად გელა შეყილაძის შეგირდები V ჯგუფში მოხვდნენ, სადაც ავსტრიელებთან, შოტლანდიელებთან და იტალიელებთან მოუწევს პაექრობა. დანარჩენ ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ:**

**I ჯგუფი:** პოლონეთი, საბერძნეთი, სლოვენია, შვეიცარია;

**II ჯგუფი:** ესპანეთი, ჩეხეთი, ბელგია, ყაზახეთი;

**III ჯგუფი:** ხორვატია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი;

**IV ჯგუფი:** დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, ბელარუსი;

**VI ჯგუფი:** ფინეთი, თურქეთი, რუმინეთი, უელსი;

**VII ჯგუფი:** პორტუგალია, სერბეთი, ინგლისი, უნგრეთი.

მეხუთე ჯგუფის ორთაბრძოლებს ავსტრია უმასპინძლებს. მატჩები 20-25 მარტს გაიმართება.

ცხრამეტწლიანები ევროპის ჩემპიონატზე გაისად ოქტომბერში ითამაშებენ:

**9 ოქტომბერი.** შვედეთი – ჩერნოგორია, საქართველო – უკრაინა;

**11 ოქტომბერი.** შვედეთი – საქართველო, ჩერნოგორია – უკრაინა;

**14 ოქტომბერი.** უკრაინა – შვედეთი, საქართველო – ჩერნოგორია.

ინტერნეტიდან

## შარაპოვა ოჯახით გადარჩა



**აშშ პოლიციამ დააკავა 32 წლის ლეონარდ ტეილორი, ამერიკულ ფეხბურთს საუნივერსიტეტო გუნდში „ვისკონსინში“ რომ თამაშობდა. მისი დაპატიმრების მიზეზი გახდა ფეხბურთელის მუქარა ჩოგბურთელ მარია შარაპოვასადმი, აგრეთვე თავისი ყოფილი მწვრთნელის ბარი ულვარესის მიმართ.**

როგორც პოლიცია იტყობინება, ტეილორი თავის მოსალოდნელ მსხვერპლთ ტელეფონით უკავშირდებოდა, უწმაწურად აგინებდა და ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მათაც და მათ ოჯახებსაც. ტეილორმა ლამაზმანი ჩოგბურთელი დაადანაშაულა თავის ყოველ წარუმატებლობაში. ის თითქოს აპირებდა მარიას შერთვას და შემდეგ მოკვლას.

დაპატიმრებულის მამამ პოლიციას განუცხადა, რომ მისი შვილი დაავადებულია პარანოიდური შიზოფრენიით. მან სამი თვის წინათ შეწყვიტა ექიმთან სიარული და მთლიანად უარი თქვა წამლების მიღებაზე.

ტეილორმა თავის მწვრთნელს მუქარა დაუწყო სექტემბერში, მაგრამ მხოლოდ წინა პარასკევს დააპატიმრეს. ბოლო ორ დღეში დაპატიმრების წინ, როგორც ჩანს, მას დაავადება გაუუარესდა და 30-ჯერ დაურეკა ვილაც-ვილაცეებს მუქარით.

## სროლა ფეხბურთის მინდორზე

**ნიდერლანდების საფეხბურთო სამყარო შეძრწუნებულია მომხდარით. როტერდამში მატჩის დროს მოყვარულთა ფეხბურთის გუნდის ერთ-ერთმა მოთამაშემ პისტოლეტიდან სროლა ატეხა და მოკვლით ემუქრებოდა მეტოქის გუნდის ფეხბურთელებს.**

გუნდმა „შავი ისარი“, რომელშიც თამაშობენ სურინამელი წარმოშობის ფეხბურთელები, დაამარცხა თურქული დიასპორის კლუბი PVV 5:3. ფინალური სასტვენის შემდეგ მინდორზე ჩხუბი ატყდა. „შავი ისრის“, ერთ-ერთი მოთამაშე მივარდა სათადარიგოთა სკამთან, ჩანთიდან პისტოლეტი ამოიღო და მინდორზე სროლა ატეხა ჰაერში. შემდეგ კი პისტოლეტი ერთ-ერთ მეტოქეს დაუმიზნა. მხოლოდ მისი მეორე თანაგუნდელის მოხერხებით ტრაგედია თავიდან აიცილეს.

პოლიციამ მაშინვე ვერ შეიპყრო დამნაშავე, მან სტადიონიდან გაქცევა მოასწრო. სამაგიეროდ დააპატიმრეს მისი თანაგუნდელი, თითქოსდა ინციდენტში თანამზრახველი. მთავარი დამნაშავის ვინაობა ცნობილია და ფიქრობენ, რომ მასაც მალე შეიპყრობენ.

როგორც ნიდერლანდების ფეხბურთის კავშირის თავმჯდომარემ შააკ ვან დერ კროონმა განაცხადა, მომხდარს გულდასმით გამოიძიებენ და მკაცრ სანქციებსაც გაატარებენ დამნაშავე ფეხბურთელის და მისი კლუბის მიმართ.



ამბობენ, რომ განიხილება „შავი ისრის“ ეროვნული ჩემპიონატიდან გარიცხვის საკითხი. „ეს ჩვენი ფეხბურთის შავი დღეა“, – თქვა ამ კლუბის გამგეობის წარმომადგენელმა ჰენკ ვეეკერსმა.

## ანტონელას კალენდარი

**მოახლოვებული ახალი წლისთვის საყოველთაო სამზადისია. მასში სხვებთან ერთად ჩართულია ცნობილი იტალიელი ლამაზმანი ანტონელა მოზეტი, ფარიკაობაში ათენის ოლიმპიური ჩემპიონის ალდო მონდანოს „გულისვარდი“, რომელიც აგრძელებს თავისი თაყვანისმცემლების მოჯადოებას. ამჟამად მოდელი გადაიღეს ერთობ პიკანტურ ფოტოსესიაში მომავალი წლის კალენდრისთვის.**

მართალია, ანტონელა ჯერ კიდევ არ მისთხოვებია ალდოს, მაგრამ მისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს: „მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მამაკაცია. მის გვერდით თავს კომფორტულად და ძალიან კარგად ვგრძნობ“. ვერ ამბობს, თუ ქორწილს როდის გადაიხდიან, მაგრამ არ მალავს, რომ ძალიან უნდა ბავშვის გაჩენა.



შეგახსენებთ, რომ მონდანოსთან გაცნობამდე ქალიშვილი მრავალ ფეხბურთელთან იყო „ახლოს“.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

# როგორ გვეხმარება კანონი მემკვიდრეობის უფლების დაცვაში

**მემკვიდრეობის უფლება კონსტიტუციური უფლებაა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილია, რომ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.**

**მემკვიდრეობის სამართლის წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრებასთან. მას, როგორც საზოგადოების იურიდიულ ზედნაშენს, განსაზღვრავს მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ქონების განაწილებაზე და ცხოვრების პიროვნების განვითარებაზე.**

**მე-17 საუკუნის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა მემკვიდრეობის სამართლის არსებობას მისცა წმინდა თეოლოგიური დასაბუთება. ლაიბნიცის იდეალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით მემკვიდრეობის სამართალს საფუძვლად უდევს უკვდავი სულის იდეა. მისი აზრით, იმის გამო, რომ სული უკვდავია, ადამიანი გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობს არსებობას, ამიტომ კვლავ რჩება თავისი ქონების მესაკუთრედ, ხოლო მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის რწმუნებულნი სამკვიდრო ქონების გამგებლობის საქმეში.**

**სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ კერძო საკუთრების უფლების აღმოცენებასთან დაკავშირებით იქმნებოდა ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც მოწესრიგდებოდა სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ურთიერთობა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად ჩაითვალა შემუშავებულიყო სამართლის ნორმები, რომლის შესაბამისადაც მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ, მისი სამკვიდრო ქონება გადაეცემოდა უფლების სხვა სუბიექტს.**

**გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით და ანდერძით მემკვიდრეობა, მართალია, მემკვიდრეობის სხვადასხვა სახეებია, მაგრამ კანონი ითვალისწინებს ისეთ დებულებებსაც, რომლებიც მათთვის საერთოა.**

**მამკვიდრებელი (სამკვიდროს დამტოვებელი) ის პირია, რომლის პირადი საკუთრების ქონება მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობის წესით გადადის სხვა პირებზე. მამკვიდრებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მისთვის ყველა შემთხვევაში აუცილებელი არ არის ქმედუნარობა. იგი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი და ქმედუუნაროდ აღიარებული პირიც, თუ საქმე არ ეხება ანდერძით მემკვიდრეობას. ანდერძით მემკვიდრეობისას მამკვიდრებელი (მოანდერძე) აუცილებლად ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს.**

**კითხვა: *შეიძლება თუ არა, მემკვიდრე იყოს იურიდიული პირი ან ხაზინა?***

**პასუხი: დიახ, შეიძლება. მამკვიდრებლისგან განსხვავებით, მემკვიდრე შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირი და ხაზინა, ამასთან იურიდიული პირი –მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის დროისათვის.**

აღსანიშნავია, რომ კანონით მემკვიდრეობა (გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე) მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.

კანონით და ანდერძით მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც ცოცხალია სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების მომენტში, მისი ქმედუუნარობის მიუხედავად.

**კითხვა: *როგორ გადაწყდება კანონით მემკვიდრეობის დროს იმ პირთა მემკვიდრეობის საკითხი, რომლებიც დაიბადებიან მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ?***

**პასუხი: ასეთ შემთხვევაში საერთო წესიდან კანონი უშვებს გამონაკლისს მხოლოდ მამკვიდრებლის შვილების მიმართ. უფრო კონკრეტულად. სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი ადგენს, რომ კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადებიან. კანონი ხაზს უსვამს იმას, რომ მამკვიდრებლის შვილების გარდა სხვა ნათესავები (და-ძმები, შვილიშვილები), რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადებიან, კანონით მემკვიდრეთა რიცხვში არ შედიან.**

სხვაგვარად წყდება საკითხი ანდერძით მემკვიდრეობის დროს. ანდერძით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში კანონი აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ჯერ კიდევ დაბადებამდე, რადგან გარდა შვილებისა, მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ სხვებიც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ. აქ მნიშვნელობა არა აქვს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული ბავშვები მისი შვილები არიან თუ არა. საანდერძო განკარგულებისათვის დამახასიათებელია კონკრეტულობა და, აქედან გამომდინარე, ანდერძში იმ მემკვიდრეთა მითითება, რომლებიც შეიძლება დაიბადონ განუსაზღვრელ დროს. სხვაგვარი ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან იგი არ მიუთითებს კონკრეტულ პირზე, რომელიც ჩასახული იყო მამკვიდრებლის სიცოცხლეში.

**კითხვა: *რა შემთხვევაში ითვლება ბავშვი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად?***

**პასუხი: ბავშვი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე ჩასახულად ითვლება, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არა უმეტეს ათი თვისა. (შენიშვნა: აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში ქალის ფეხმძიმობა გრძელდება 9 თვეზე ცოტა მეტ ხანს).**

კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ე.წ. მემკვიდრეთა ღირსების საკითხს. აღსანიშნავია, რომ კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ უშლიდა ხელს მამკვიდრებლს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ, ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ პირი განზრახ მოქმედებდა. კანონი ნათლად მიუთითებს, რომ განზრახ მოქმედება მხოლოდ მემკვიდრედ მოწვევის მიზნით უნდა იყოს ჩადენილი და არა ამ მიზნის გარეშე. მაგ: თუ შვილმა გამოიყენა მოხუცთა თავშესაფრის მთავარი ექიმის ნაცნობობა და დამალვის მიზნით ხელში ჩაიგდო მამის ანდერძი, რომელშიც თვითონ მოხსენიებული არ იყო, მას ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება იმ ქონებაზე, რომელიც ანდერძით არ იყო გათვალისწინებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში პირი განზრახ უშლიდა ხელს მამკვიდრებლის მიერ ანდერძში გამოხატული ნების განხორციელებას.

მნიშვნელოვანია, რომ კანონით შვილების მემკვიდრეები ვერ იქნებიან მშობლები, რომლებსაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ არიან აღდგენილნი ამ უფლებებში.

კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე ის პირნი, რომლებიც თავს ბოროტად არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლოს წესით.

**კითხვა: *ვინ არ შეიძლება იყოს მემკვიდრე მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობისაგან ბოროტად თავის არიდებისას?***

**პასუხი: ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველესად, საჭიროა ვიცოდეთ, ვის აკისრია მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობა. აღნიშნულის ცოდნა იმისთვისაა საჭირო, რომ ყველა მემკვიდრეს კანონი რჩენის მოვალეობას არ აკისრებს. თავიანთი არასრულწლოვანი, ან სრულწლოვანი, შრომისუუნარო შვილების რჩენის მოვალეობა ეკისრებათ მშობლებს. ამიტომ, კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან მშობლები თავიანთი შვილების შემდეგ, თუ ბოროტად თავს არიდებდნენ შვილების რჩენის მოვალეობას.**

კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან ასევე სრულწლოვანი შვილები თავიანთი მშობლების შემდეგ, როცა ისინი თავს არიდებენ ამ მოვალეობის შესრულებას. აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს სხვა პირებზეც. კერძოდ, პაპასა და ბებიაზე, შვილიშვილებზე, დებსა და ძმებზე, თუ მათ ევალებოდათ მამკვიდრებლის რჩენა და ამ მოვალეობას ბოროტად არიდებდნენ თავს.

**კითხვა: *გადადის თუ არა მემკვიდრეობაჩამორთმეული პირის სამკვიდრო წილი სხვა ვინმეზე?***

**პასუხი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1318-ე მუხლის შესაბამისად მემკვიდრეობაჩამორთმეული პირის სამკვიდრო წილი გადადის მემკვიდრეებად მოწვეულ დანარჩენ მემკვიდრეებზე და თანაბრად ნაწილდება მათ შორის. იქვე გათვალისწინებულია, რომ ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეულ პირს მემკვიდრე ჰყავდა დანიშნული.**

მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა ხელს არ უშლის ნათესავების მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად: შვილიშვილი მაშინაც მიიღებს სამკვიდროს პაპისა და ბებიის ქონებიდან, როცა ცოცხალი არ არის მისი მშობელი, რომელიც, ცოცხალი რომ ყოფილიყო, უღირს მემკვიდრედ იქნებოდა ცნობილი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხელს არ უშლის ამ უფლებაჩამორთმეულ პირს, იყოს სხვა პირის ქონების მემკვიდრე. მაგალითად: თუ პირს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება მშობლის ქონებაზე, ეს მას ხელს არ შეუშლის მიიღოს სამკვიდრო, რომელიც სხვა პირმა უანდერძა (მაგ:დეიდამ, ბიძამ) ან (მაგ:გარდაიცვალა უძმარ-შვილო მამიდა რომლის ერთადერთი მემკვიდრე, მშობელზის მიერ მემკვიდრეობაჩამორთმეული შვილია).

**კითხვა: *შეიძლება თუ არა პირი უღირს მემკვიდრედ იქნეს ცნობილი სამკვიდროს მიღების შემდეგ და თუ ასე მოხდა, მაგრამ მოგვიანებით გამოირკვა, რომ მან არასწორად ჩაიგდო ხელში სამკვიდრო, რა ვალდებულება ეკისრება ამ ფაქტის გამოაშკარავების შემთხვევაში?***

**პასუხი: დიახ, არის ასეთი შემთხვევები, როცა პირი დაინტერესებული მემკვიდრეობის სასარჩელო განცხადების საფუძველზე შეიძლება უღირს მემკვიდრედ იყოს ცნობილი მას შემდეგ როცა მან მიიღო სამკვიდრო და ფაქტობრივადაც შეუდგა მის ფლობას. აღნიშნული ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ, იგი მოვალეა, დააბრუნოს ყველაფერი, რაც მემკვიდრეობით მიიღო, მათ შორის სამკვიდროდან მიღებული ნაყოფიც და შემოსავალიც.**

აქვე გათვალისწინებულია ერთი გარემოება, რომ კანონის თანახმად სარჩელი უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 5-წლისა იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა სამკვიდროს ფლობას.

მოქმედი კანონის თანახმად, სამკვიდრო წარმოადგენს იმ უფლებებისა და ვალდებულებების კომპლექსს, რომლებიც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის არა კონკრეტული საგნები, არამედ უფლება ამ საგნებზე. მაგ: არა სახლი, არამედ უფლება სახლზე. ამდენად უფლება ნივთზე შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეზე მაშინაც, როდესაც იგი სხვის მფლობელობაშია. მაგ: თუ მამკვიდრებელმა გარდაცვალებამდე სახელოსნოში შესაკეთებლად მიიტანა ნივთი, უფლება ამ ნივთზე, როგორც სამკვიდროს ნაწილზე, მის მემკვიდრეზე გადავა. ე.ი. ამ უფლების საფუძველზე მემკვიდრე მიიღებს ნივთს, რომელიც სახელოსნოშია. აღნიშნულის გამო, როცა ვამბობთ, რომ ესა თუ ის ნივთი შედის სამკვიდროში, აუცილებლად იგულისხმება უფლება ისეთ ნივთზე, რომელიც გადაცემულია სხვა პირისათვის გირაოთ, შესანახად, გასაყიდად და ა.შ. ასეთივეა ქონება, რომელიც მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე უნდა მიეღო და არ მიუღია. მაგ:სამკვიდროში შედის უფლება, ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც სასამართლომ მიაკუთვნა მამკვიდრებელს, მაგრამ მან სიცოცხლეში ვერ მოასწრო მისი მიღება.

სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელს ეკუთვნოდა, ხოლო თუ ქონების ნაწილი [illegible] ბელია– მაშინ ამ ქონების ღირებულება. საკითხს იმის შესახებ– უნდა შევიდეს თუ არა სამკვიდროში სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის წილი, წყვეტს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამ კანონის 43-მუხლით დადგენილია, რომ კომანდიტის წილი (საქმე ეხება კომანდიტურ საზოგადოებას) შეიძლება გასხვისდეს ან გადაეცეს მემკვიდრეობით. მაშასადამე, კომანდიტის გარდაცვალების შემდეგ მისი წილი შევა სამკვიდროში. ასევე ითქმის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის წილზეც. ზემოაღნიშნული კანონის 46-ე მუხლი ადგენს, რომ პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.

საყურადღებოა, რომ სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. ასევეა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი გარდაცვალებით. მაგ: უფლება ალიმენტზე, პენსიაზე და სხვა.

**კითხვა: *შეიძლება ანდერძში მამკვიდრებელმა მიუთითოს იმ ქონებაზე, რომელიც მისი შედგენის დროს არ გააჩნდა, მაგრამ სამკვიდროს გახსნის დღისათვის მისი საკუთრება იქნება?***

**პასუხი: დიახ, შეიძლება. უფრო კონკრეტულად, მაგ: ანდერძში შეიძლება მითითება სახლზე, რომელიც მოანდერძეს ანდერძის შედგენის დროს არ ჰქონდა, მაგრამ მისი შედგენის შემდეგ შეიძინა.**

კანონი სპეციალურად მიუთითებს ზოგიერთი სახის ქონებაზე, რომელიც სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა. ესენია: საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახის მატიანე, სულის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები. ეს საგნები გადაეცემა რომელიმე მემკვიდრეს საკუთრების უფლებით, დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით. მემკვიდრეებს შორის არ ნაწილდება და მათ საერთო საკუთრებად რჩება დოკუმენტები, რომლებიც ეხება მამკვიდრებლის პიროვნებას, მის ოჯახს და მთელ სამკვიდროს.

**კითხვა: *გადადის თუ არა მემკვიდრეობით არაქონებრივი უფლებები, მაგ: თუ მამა იყო მწერალი მისი ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება?***

**პასუხი: არაქონებრივი უფლებები მემკვიდრეობით გადადის კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგ: დადგენილია, რომ საავტორო უფლების მოქმედების ფარგლებში, მემკვიდრეებზე გადადის ნაწარმოების გამოქვეყნების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაგ: მემკვიდრეობით გადადის ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება, მაგრამ არამც და არამც –ავტორობის უფლება.**

თუ გარდაცვლილს დარჩა რამდენიმე მემკვიდრე, სამკვიდროს გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს, ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების და ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები.

**კითხვა: *მემკვიდრეთა რამდენი რიგი არსებობს და როგორია მისი თანმიმდევრობა მოქმედი კანონის შესაბამისად?***

**პასუხი: კანონით დადგენილია მემკვიდრეთა 5-რიგი:**

**I-რიგის –მემკვიდრეებად ითვლებიან: გარდაცვლილის შვილები (შვილად აყვანილები), გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები);**

**II-რიგში –გარდაცვლილის დები და ძმები;**

**III-რიგში –ბებია და პაპა;**

**IV-რიგში –ბიძები, დეიდები, მამიდები;**

**V-რიგში –ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები.**

**საყურადღებოა, რომ თუ წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრე ცოცხალია, დანარჩენი რიგის მემკვიდრეები მემკვიდრეობას ვერ მიიღებენ.**

განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება მეუღლეთა ურთიერთ მემკვიდრეობის საკითხი. რეგისტრირებული ქორწინებით შეუღლებული პირი კანონით მემკვიდრეა გარდაცვლილი მეუღლის შემდეგ, თუ ქორწინება გრძელდებოდა მათ გარდაცვალებამდე. მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის უფლება მათ სიცოცხლეშივე შეწყდება განქორწინების შემდეგ . კანონით დადგენილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით განქორწინების შესახებ ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციის მომენტიდან, რისთვისაც დადგენილია არაუმეტეს 3-წლიანი ვადა, მაგრამ თუ ქორწინება გრძელდება, ე.ი. არ მომხდარა განქორწინების რეგისტრაცია, მეუღლე მემკვიდრეობის უფლებას ინარჩუნებს.

## ვირის ეკრანი

# სანდროსა და ბანჯოს ორივეს გაუმარჯოს!



– ზურა, დღეს რაღაც კაი ხასიათზე ჩანხარ, – მუშაობა ხომ არ დაგიწყია?

– მე არა, ბანჯომ დაიწყო.

– ბანჯომ? – ვიშმუშნები.

– ჰო, ბანჯომ, ჩემმა ვირმა. კახეთში რო ვიყავით, ხო გაგაცანი?

– აა, ბანჯო, ბანჯო, გამახსენდა, კაი ტანადი და ყურადი ვინმეა, ვერ დაიწუნებდნენ.

– ჰო, ეტყობა, მაგის გარეგნობასა და ინტელექტს დახარბდნენ, სამსახურში უნარჩევების შეუმოწმებლად გააფორმეს.

– ეგ სადა, ტვირთების გადაზიდვის კომპანიაში?

– რა ტვირთები, რი ტვირთები, სიმონ, „რუსთავი-2“-ში მოეწყო ტელეწამყვანად.

– ვაა, გადამრევს ეს ხალხი, ვირმა ტელეკომპანიაში რა უნდა აკეთოს?

– შენ მასე გეგონოს და პოლიტიკური თოქ-შოუ ვერ გაირტყა?

– აბა რას ამბობ, კაცო, ვირი და პოლიტიკოსი?

– ეგ კახეთში იყო ვირი, ჩემო ძმაო, თორემ აქ ნაღდ პოლიტიკოსად მოგვევლინა. სახელიც მაგიტომ შეიცვალა, ერთი შეხედვით ბრიყვი და მოუხეშავი ბანჯო უცებ თავაზიან და მოქნილ სანდროდ იქცა.

– ეტყობა, მაგიტომაც ვერ ვიცანი ეკრანზე.

– ეთერში გასვლის წინ ისეთ ევრომაკიაჟს უკეთებენ, ჩემო ოტია, შენ კი არა, ზოგჯერ მეც ველარა ვცნობ.

– ჰო, აბა, – დავუქნიე თავი, – ჯეირანივით გამოიყურება, თანაც ლაპარაკში ყურებსაც როგორ ლაზათიანად აპარტყუნებს?

– მაგიტო გეუბნები და არა გჯერა. მე თუ მკითხავ, ახლა ვირზე ჭკვიანი პოლიტიკოსი მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება. გამრჯეა, პატიოსანი, სამართლიანი, უამბიციო, თანაც ყველაზე დიდი დემოკრატი.

– დემოკრატი?

– ჰო, რა გიკვირს. ვირი დემოკრატი რომ არ იყოს, ამერიკაში დემოკრატიული პარტია თავის ემბლემად რატომ გაიხდიდა?

– მერე, ამერიკელი ვირი და ჩვენებური ერთიდაიგივეა?

– მართალი ხარ, მაგრამ იქაური ვირი, ჩემო ძმაო, ერთბაშად კი არ გააკადემიკოსებულა. აი ბანჯოც ჩაერთვება ევროატლანტიკურ დებატებში და ნახავ მისგან რა ჩინებული ტელეწამყვანი დადგება.

– ვითომ ინგას აჯობებს?

– რატომაც არა, ხო ნახე, ინგას ძირითადად ოპოზიციური პარტიები სწყალობდნენ, „ნაცები“ კი სათოფეზეც არ ეკარებოდნენ.

– მერე?

– მერე ისა, რო დემოკრატია არ გამოსდიოდა.

– ბანჯოს კი გამოუვა?

– უკვე გამოუვიდა. ვერა ხედავ, მინისტრები და დეპუტატები, ინგას ტელეფონზეც რომ არ ელაპარაკებოდნენ, ამას რიგში უყენია.

– მერე, ეგ კარგი გგონია?

– რაზე მეუბნები?

– იმაზე, რომ ბანჯო (ბოდიში, სანდროძ ეკრანზე ყურებს ძალიან საეჭვოდ აპარტყუნებს.

– და შენ ფიქრობ, რომ ჩემი ბანჯო „ნაცების“ კაცია?

– ეგრე გამოდის. მიშას ამბავი ხო იცი, თადარიგიანი ლიდერია, რო შეხედა ამერიკის სათავეში დემოკრატი მოვიდაო, ადგა და ჩვენთან კიდევ ტელევიზიაში პირველ კომენტატორად დემოკრატი ბანჯო დასვა.

– მაგრამ მიშა პრესის საქმეებში რომ არ ერევა? აკი საქვეყნოდ განაცხადა კიდეც, გაზეთებს არ ვკითხულობო.

– ეგ გაზეთებზე თქვა, თორემ ტელევიზიას პირადად აკონტროლებს, გარდა აქუს არხისა, რა თქმა უნდა. მე რომ აქუს ადგილზე ვიყო, ავდგებოდი და ოპოზიციის მხარდასაჭერად ვირის ნაცვლად ცხენს გამოვიყვანდი.

– არ ივარგებს.

– რატომ?

– სად ვირის ჭკუა და მოხერხება და სად კიდევ ცხენისა? მით უფრო ახლა, როცა ამერიკაში დემოკრატებმა გაიმარჯვეს და ვირი მსოფლიო საპოლიტიკო დაფაზე ნომერ პირველი ფიგურა გახდა.

– აბა კაცო, ეტყობა ჩვენმა მთავრობამ ბანჯოს ჭკუით ლაპარაკი ამიტომ დაიწყო.

– თუ ბანჯომ მთავრობის ჭკუით ლაპარაკი?

– ეგ ერთიდაგიგივეა, ბანჯო თვითონვე ხო ამბობს, ლობის იქით და ლობის აქეთ, ორივე მე ვარო. ამასთან დაკავშირებით ერთი აზრი მომივიდა.

– რა აზრი?

– ბანჯო ლობის იქით, კერძოდ, რუსეთში ხომ არ გადაგვება?

– არ ივარგებს, ძმაო, თორემ დიდი სიამოვნებით გადავაბამდი.

– რატომ არ ივარგებს?

– იმიტომ, ბანჯოს ამბავი რო ვიცი, რუსეთს ერთ კვირაში გაადემოკრატებს.

– მაგრას რა სჯობია, დიდი მეზობელი ერთხელ და სამუდამოდ დაგვასვენებს.

– პირიქით, დავგლუპავს, რუსეთს ნატოში მიიღებენ და ჩვენ მშრალზე დაგვტოვებენ.

– აბა, ვირის ჭკუით როდემდე ვიაროთ?

– რა უჭირს მერე, თუკი ვხედათ რო გვიმართლებს?!

**ოტია ჩართოლანი**

## მუზა

# „როდის გამოხვალ, ცხრათვალა მზეო?“

**ჭირსა თუ ლხინში, ქართველი კაცი დარდის გასაქარვებლად, ლექსს ამოთქვამდა და სიმღერით ცოცხლობდა. ეს რწმენა მას ასაზრდოებდა, უკეთესი მომავლის იმედს უნერგავდა.**

ნანა გოგუაძემ მშვენივრად იცის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანაში ლექსებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ როცა მამულს გართმევენ, დარდის სიმზე გოდებს სული. პოეტური კრებულისთვის „იდუმალებაც“ შემთხვევით არ დაურქმევია (გამომცემელი იულონ ტოლიაშვილიძ, იდუმალებით მოცული სული ექებს იმ სხივს, რითაც სამშობლოს ტკივილს შეუმსუბუქებს.




ქალბატონი ნანა გოგუაძე სკოლა „იავნანას“ დირექტორია და მომავალი თაობის აღზრდაში ათენ-ალამებს. „ეს მრავალგაჭირვებაგამოვლილი ქალი დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ პირნათელი ყოფილიყო საკუთარი ოჯახის, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ამიტომაც უყვართ, აფასებენ მას. ამიტომაც ცხოვრობს თვითონაც სიყვარულით სავსე, ყველაფერს აკეთებს, რათა ადამიანებმა არ დაკარგონ რწმენა და იმედი“, – გვამცნობს წინასიტყვაობა.

ნანა გოგუაძის პოეტური სტრიქონები ღვთისმშობლის წილხვედრ მამულზე ლოცვაა, რათა ტანჯულ ქვეყანას ამით ულხინოს. მხოლოდ ასე დარჩება „ურმულის“ ხმები და მოშუშდება აფხაზეთის თუ სამაჩაბლოს იარა.

**„ეს ჩემი მიწაა, ცრემლით დანამული...**
**დედის სამყაროა, კალთით შენახული“...**

ამიტომაც ვერ ამოძირკვეს „ვაზი მსხმოიარე“, მისი ასჯერ გადამწვარი ფესვი მაინც აყვავდა და გაიხარა.



პოეტს სურს, „ალმაშენებლის დროშით ხარობდეს მთა და ბარი“. როდის გამოხვალ ცხრათვალა მზეო? – კითხულობს ამაგდარი ქალბატონი და ლოცვად გადაქცეული უფალს ავედრებს აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად გარდაცვლილ მამულიშვილებს.

**„ღვთისმშობელი ჩუმად ტირის,**
**ჩვენო მიწავ, ჩვენო მდელო!“**

ამ ცრემლში მოკიაფე იმედით სავსეა ნანა გოგუაძის კრებული „იდუმალება“.

**ნატა ნიზლაძე**

## ინფორმაცია

# „კარგოლუქსის“ პირველი რეისი

**საქართველოს მიმართულებით ლუქსემბურგის უმსხვილესმა ავიაკომპანია „კარგოლუქსმა“ რეგულარული სატვირთო რეისების განხორციელება დაიწყო.**

როგორც ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, ავიაკომპანია რეგულარულ სატვირთო რეისებს ლუქსემბურგი-თბილისი-ბაქოს მიმართულებით კვირაში ერთი სიხშირით, ყოველ პარასკევს შეასრულებს.

ფრენები ბოინგ-747 ტიპის საჰაერო ხომალდით შესრულდება. შესაძლოა, მომავალში ფრენების სიხშირე გაიზარდოს.

**ინტერპრესნიუსი**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგებსა და მეგობრებს მარიკა გიგაურსა და ლევან ბოჭორიშვილს მამისა და სიმამრის**
**მერაბ გიგაურის**
**გარდაცვალების გამო.**

# ინფორმაცია აუქციონის გამოცხადების შესახებ (იბეჭდება განმეორებით)

შპს ჩოგბურთის კლუბი „ბათუმის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციაზე ერთ ლოტად, კერძოდ: ჩოგბურთის კორტების კომპლექსი, ადმინისტრაციული შენობა და სასტუმრო კომპლექსი (სარეგისტრაციო ზონა ბათუმი 05, სექტორი II, კოდი 02, კვარტლის №01, ნაკვეთის №001, მისამართი: ბათუმი, ზღვისპირა პარკი), საერთო სასარგებლო ფართი 8625,5 კვ.მ და მასზე მიმაგრებული 13907 კვ.მ მიწის ნაკვეთი, აგრეთვე, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი ინვენტარი.

აუქციონზე გამოტანილი ლოტის ღირებულებაა – 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი; ბიჯი – 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი; ბე – 2000000 (ორი მილიონი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 50 ლარია, ხოლო იურიდიული პირისთვის 100 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „თიბისი ბანკის“ ბათუმის ფილიალი; ბანკის კოდი: 220101835, ანგარიშის №81736020100468, საიდენტიფიკაციო კოდი №245435952.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ...აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2008 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით 10 სთ-დან 15 სთ-მდე (შპს ჩოგბურთის კლუბი „ბათუმის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მის.: ბათუმი, ზღვისპირა პარკი, შენობა №1), აუქციონი გაიმართება 2008 წლის 21 დეკემბერს 16.00 საათზე შპს ჩოგბურთის კლუბ „ბათუმის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ საუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 895 33 17 74.

ინფორმაცია

## გვერდწითელის კონცერტები ერთი თვით გადაიდო



**თბილისში, დეკემბრის მეორე ნახევარში დაგეგმილი თამარ გვერდწითელის კონცერტი ჩაიშალა. ამის შესახებ ინფორმაცია კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის უფროსმა დავით ოქიტაშვილმა დაადასტურა. მისი თქმით, კონცერტი დეკემბრის ნაცვლად იანვარში, ან თებერვალში გაიმართება.**

გვერდწითელს დეკემბერში რამდენიმე გადაღება აქვს დაგეგმილი, რის გამოც იგი დეკემბერში ჩამოსვლას ვერ მოახერხებს, თუმცა 19 დეკემბერს თბილისს ეწვევა მიშელ ლეგრანი თავის მეგობრებთან ერთად. იგი ქართველი მსმენელის წინაშე 21-ში ოპერისა და ბალეტის თეატრში გამოვა. რაც შეეხება გვერდწითელს, მისი კონცერტი სავარაუდოდ, იანვარში, ან თებერვალში ჩატარდება, – განაცხადა ოქიტაშვილმა.

## საზღვრის დაცვა შსს-ს ნებისმიერ სტრუქტურას შეეძლება

**საზღვრის დაცვა, სასაზღვრო პოლიციასთან ერთად, შსს-ს ნებისმიერ სხვა სტრუქტურასაც შეუძლია. ამის შესახებ საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტმა გუშინ დაამტკიცა.**

უკვე მიღებული კანონით, შს სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას არსებული სამართლებრივი ბარიერების შემცირების მიზნით, სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელება შეიძლება, სამინისტროს სხვა დანაყოფებსაც დაევალოთ.

ამავე ცვლილებით, საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში, სასაზღვრო პოლიციასთან ერთად, გადავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა დანაყოფი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვას ახორციელებს.

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი**

ხუმარსიტყვა

## სადღეისო აზრები

- არც აგვისტოში და არც მანამდე არაფერი არ დამიშავებიაო, ხუთი საათის სიგრძეზე ამტკიცებდა მიშა ისე, რომ ხუთი წუთიც არ შეუსვენია...
- ვინ იფიქრებდა, რომ ინგლისურად ჩინებულად მოტიკტიკე ეს ახალგაზრდა ქალბატონი ასე გარეკავდა საერთაშორისო სარბიელზე...
- აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი შვილად მერგება და მორიდებით უნდა ვთხოვო: მამაშვილობამა, ბევრს არ გთხოვ, ჩემი ტერიტორიების დაბრუნებაში მომეხმარეო...
- მაპის მიღება ნატომ აგერ მერამდენედ გამიხადა სანატორელი... არ მოგვცეს მაპი...
- ზოგიერთს კალმისტრის ტყორცნა შუბის ტყორცნასთან აქვს გაიგივებული...

**თამაზ ილმელი**

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

**წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) **წელი შეუსრულდა!**

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

კრიმინალი

## ქებნილის ცხედარი გალში იპოვნეს

**გალის რაიონის სოფელ სიდაში დიმიტრი გამისონიას ცხედარი იპოვეს.**

როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პაატა შამუგია აცხადებს, გამისონია ქართველი სამართალდამცავების მიერ იძებნებოდა. იგი კრიმინალური დაჯგუფების წევრი იყო და სავარაუდოდ, ერთ-ერთ კრიმინალურ გარჩევას ემსხვერპლა.

პაატა შამუგიას ინფორმაციით, გამისონია გალის რაიონის სოფელ ბარღებში ცხოვრობდა და ქართველი სამართალდამცველები ზუგდიდის რაიონში ჩადენილი დანაშაულებისთვის ეძებდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** *კოსტავას 12*

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-65-87; 899 32-85-76.**

კადრი



ანეკდოტები

თუ ტყეში გზა აგებნათ და ისე დაიღალეთ, რომ ფეხებს ძლივს მიათრევთ, მოძებნეთ დათვი, ესროლეთ ქვა და თქვენი დაღლილობა უცებ გაქრება.

* * *



ერთ შორეულ სოფელში მოხუცი მზეს ეფიცხება. ხედავს, ახალგაზრდა ყმაწვილი მოდის საქაღალდით ხელში.

– რაო, შვილო, პენსია მომიტანე?

– არა, ბაბუ, მე აღმრიცხველი ვარ.

– რისი?

– მოსახლეობის აღწერისა, ბაბუ. ვცდილობთ, გავარკვიოთ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს ქვეყანაში.

– ეჰ, შვილო, ჩემთან დროს ტყუილად დაკარგავ. ნამდვილად არაფერი ვიცი ამისა.

* * *

დღის ციტატა: დღეს ისეთი მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა, რომ ქალები უკვე სიყვარულით თხოვდებიან.

* * *

– ჩემს შეყვარებულს საახალწლო საჩუქარი ნაძვის ხის ქვეშ დავუდე.

– რომ ნახა, რა გითხრა?

– არ უნახავს, დღემდე ეძებს – ტაიგა ხომ დიდია!

* * *

– მამი, რამდენი დამჭირდება ფული დასაქორწინებლად?

– რა ვიცი, შვილო... მე დღემდე ვიხდი...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.